გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად



# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№188 (247) 18-25 სექტემბერი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

## რეაქციონერ გადამთიელთა ოცნება ვერასდროს აჯობებს "ქართულ ოცნებას"!

იგრძნეს რა საქართველოს ხელისუფლებაში თავიანთი ყოფნის დასასრულის დასაწყისი, განსაკუთრებით გააქტიურეს თავიანთი ანტიქართული საქმიანობა რეაქციონერი სომხების **"თვალსაჩინო"** წარმომადგენელმა მიხეილ სააკაშვილმა და საქართველოს წურბელებივით მიტმასნილმა მისმა სომხურმა სახელისუფლებო ბანდამ. მათთვისაც ნათელია, რომ ისინი ანტიქართული განაზრახის ბოლომდე მოყვანას ვერ შესძლებენ და ამიტომ ჩქარობენ, რადგან, როგორც ჩანს, გარკვეული წრეების წინაშე მათ ანტიქართული ვალდებულებები აქვთ აღებული და თუ ეს ვალდებულებები არ შეასრულეს, შეიძლება დამკვეთმა რეაქციულმა ძალებმა მკაცრად მოსთხოვონ პასუხი!

თვალშისაცემია ის გარემოება, რომ, სააკაშვილი და მისი სულიერად თუ ეთნიკურად არაქართველი დამქაშები თანდათან აჩვევენ ქართულ საზოგადოებას იმ აზრს, რომ აღმოსავლეთ საქართველო სომხებს ეკუთვნით. მაგალითად, როცა კახეთში სტიქიით დაზარალებულებს ასაუბრებენ თავიანთ გასაჭირზე, ძირითადად სომხურგვარებიანი ადამიანები გამოჰყავთ ეკრანზე, რომელთა წინაპრები ან სომხები იყვნენ, ან გარკვეულ ობიექტურ გარემოებათა გამო გასომხებული ქართველები.

პარლამენტის ქუთაისში გადატანით გარკვეული პოლიტიკური მინიშნება გაკეთდა იმაზე, რომ მალე ქვეყნის დედაქალაქიც დასავლეთ საქართველოში გადაინაცვლებს. მაგალითად, ქუთაისის გარეუბან კოპიტნარის აეროპორტში ასაფრენი ბილიკის გახსნისას მიხეილ სააკაშვილი იმ ბანერის ფონზე იდგა, რომელსაც ვეებერთელა ასოებით ეწერა – **"ქუთაისი – საპარლამენტო დედაქალაქი"!** განა სწორედ ეს არ გახლდათ სტეფანე შაუმიანისა და აღასი ხანჯიანის ოცნება, რომელსაც გზა ჩაუჭრა ვლადიმერ ლენინმა და არ გაიზიარა მათი მისწრაფება საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანის, თბილისის კი ამიერკავკასიის დედაქალაქად გამოცხადების თაობაზე, რაც თავისთავად თბილისის განქართველებას და მის სომხურ-აზერბაიჯანულ ქალაქად გარდაქმნას ნიშნავდა.

მოკლედ, ის, რაც ვერ მოახერხეს სომხებმა შაუმიანმა და ხანჯიანმა, შესანიშნავად ახერხებს სომეხი სააკაშვილი, და, რაც ყველაზე უფრო აღმაშფოთებელია, ამას აკეთებს ქართულად გვარგადაკეთებული სომხებისა და ბრიყვი ან ანგარებით თვალებდავსილი ქართველების ხელშეწყობით.

დღემდე ვერ გაიგო ქართველების დიდმა ნაწილმა, ვინაა სააკაშვილი – საქართველოს აღმაშენებელი (უფრო მართებული იქნებოდა, მისთვის გვეწოდებინა **"გაღმამშენებელი"**, რადგან საქართველოს ასუსტებს და სომხებს აძლიერებს) თუ მისი დამაქცევარი. ხოლო, როცა საზოგადოება მისი სამშობლოს მტერმოყვარეს ვერ ანსხვავებს ერთმანეთისაგან, იგი არაა სამშობლოს ღირსი, მან აღასფერივით უნდა იწანწალოს დედამიწის ზურგზე, ზუსტად ისე, როგორც ბოშები დაწანწალებენ დედაწულიანად, ურემ-ჩარდახებში ჩაჭედილები.

ასეც მოგვიწევს, თუ დროზე არ გავიღვიძეთ და უარი არ განვუცხადეთ ნაცებსა და მათ ნეტარღიმილიან ბელადს – მიხეილ სააკიანცს!

ყველაფერს აკეთებს ეს პროსომხური ბანდა, რომ საქართველოს დაუმახინჯოს სულიერება, რელიგია, კულტურა, ისტორია, ესთეტიკა, ეთიკა, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, და, რაც მთავარია – სახელმწიფოებრიობა, რის შედეგადაც საქართველო უკვე ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ არშემდგარ სახელმწიფოდ. აბა, რომელ სახელმწიფოებრიობაზე შეიძლება საუბარი იმ ქვეყანაში, სადაც მისი აღმაშენებელი მეფის ძეგლს ქალაქის ცენტრიდან გარეუბანში გაიტანენ, ნაძეგლარზე კი ველოსიპედის უგემოვნოდ აჩორჩხლილ საშინელებას დაამონტაჟებენ. თელავში კი, სადაც ყოველი ადგილი დიდ ერეკლეს უკვდავების მიმანიშნებელია, ლოკოკინის ძეგლს წამოყანთრავენ...

ავადმყოფური წარმოსახვა ჟონავს სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ყოველი ნააზრევიდან, იქნება ეს ხალხის მიერ **"ზენდუქიძის ოყნად"** წოდებული შადრევანი, კვერცხებზე შემართული **"შლოპანცები"** თუ გმირთა მოადანზე ავბედითად წამომართული ფალოსის ქანდაკება...

ნეტავი სად დაიბადნენ და სად გაიზარდნენ ასეთი მახინჯი სულისა და გონების მქონე არსებები?!

ყველაზე დიდად საწუხარი კი ის გახლავთ, რომ ქართული საზოგადოების თვალდავსებულ თუ სიხარბისაგან გონწართმეულ ნაწილს ჯერ კიდევ ვერ გაუსიგრძეგანებია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური კურსი გახლავთ ფაშისტურ ნაციზმთან შეზავებული ეთნიკური სიძულვილის თესვა, რაც, ერთხელაც იქნება, მათვე შემოუბრუნდებათ ცუდად. ამის დასტური გახლავთ ე.წ. **"ლოპოტის სპეცოპერაცია"**, რასაც შეეწირენ ჩრდილოკავკასიელი და ქართველი მებრძოლები. ეს კი მიწასთან ასწორებს ქართველთა ისტორიულად მაღალ ავტორიტეტს კავკასიის ქვეყნებს შორის და გარკვეული საფრთხის წინაშე აყენებს საქართველოს. სწორედ ეს გახლავთ რეაქციონერი სომხების მიზანი – ნულამდე დაიყვანონ ქართველთა ავტორიტეტი ამიერკავკასიაში და პირველ პლანზე ის სომხები გამოიყვანონ, რომელთაც არასდროს არ ენდობოდნენ ჩრდილოკავკასიელები და ვერც ვერასოდეს მოიპოვებენ მათ ნდობას.

სამწუხაროა, რომ ამ განაზრახის რეალიზებას მიხეილ სააკაშვილი და მისი თანამზრახველები ცდილობენ მოქრთამული რუსებისა და გარუსებული სომხების (ამისთანები კი, რუსეთში ყოველთვის ბევრი იყო და ახლაც თავსაყრელად არიან. მაგრამ, ალბათ, რუსებიც დაუკვირდებიან იმ ამბავს, რომ კავკასიაში პოლიტიკურ სიტუაციას თითქმის მთლიანად აკონტროლებენ ამერიკაში მცხოვრები მილიარდერი სომხებები, ამერიკელები კი, თუნდაც სომხები, ნაკლებ სავარაუდოა, რამ რაიმე სასიკეთოს მოიმოქმედებენ რუსეთისა და რუსებისათვის) ხელშეწყობით.

გაიხსენეთ, წლების წინ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა საბოლოოდ არ იყო გაფუჭებული ურთიერთობები რუსეთთან, საქართველოს სახელისუფლებო დელეგაციის მორიგი ვიზიტი მოსკოვში, რომელშიც შედიოდნენ ეთნიკური სომხები – სააკაშვილი, ბეჟუაშვილი, გილაური და ბაქრაძე. ხალხს ისიც კარგად ეხსომება, თუ როგორ მოიხმო თითით თავისთან პუტინმა საქართველოს საგარეო დაზვერვის შეფი გელა ბეჟუაშვილი და ყურში რაღაც უჩურჩულა. იუმორის მოყვარულმა ქართველმა ხალხმა, მაშინ, ვლადიმერ პუტინის ამ **"წაჩურჩულებას"** ორი ახსნა მოუძებნა:

*" – გელა, გარეგნობით ძალიან ჰგევხარ ბერიას, მაგრამ გონებით მას დიდად ჩამორჩებიო!"*

*" – კი მაგრამ, სულ სომხები რომ ჩამოხვედით საქართველოდან, ერთი ქართველი მაინც წამოგეყვანათო!"*

განა რომელიმე ეს ვერსია მოკლებულია ჭეშმარიტებას?

ბეჟუაშვილმაც ალბათ წაუჩურჩულა: აქ სულ ოთხი სომეხი ჩამოვედით, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაში ორასამდე სომეხი გვყავს და ყველას ხომ ვერ წამოვიყვანდითო. და ალბათ წარუდგენდა პუტინს გვარგადაკეთებულ გაქართველებულ სომხებს – ხათუნა გოგორიშვილს (ბარსეგიანი), ლადო ვარძელაშვილს (აკოფიანი), ლევან რამიშვილს (ასრატიანი), გოგა ხაჩიძეს (ხაჩიკიანი), აკო მინაშვილს (მინასიანი), გიგი წერეთელს (უეჭველი ...იანი), მიხეილ მაჭავარიანს (ისედაც ...იანი), ჩიორა თაქთაქიშვილს (...იანცი), ალეკო ხეთაგურს (...იანცი), გიორგი ბალავაძეს (...იანცი) და სხვადასხვა **"ძე"**-ებად და **"შვილ"**-ებად გვარგადაკეთებულ, მაგრამ ქართველებად ვერგადაკეთებულ **"იანცებს"!**

ნეტავი სხვას ჯურის გადამთიელს რას ვერჩით? როცა შენს თვალწინ შენივე სამშობლოს დაურიდებლად გიუპატიურებენ გადამთიელები, შენივე უგუნური თუ ხარბი თანამემამულეების ხელშეწყობით, მაშინ მოძალადეების მიმართ რა პრეტენზიები შეიძლება გაგაჩნდეს?

შეგნებულად გაამათხოვრეს ნაცებმა და მიხეილ სააკაშვილმა ქართველი ერი? რახან პროტესტის განცდა არ გიჩნდება, ესე იგი, მეტის ღირსი ხარ!

ვერა გრძნობ, რომ სამშობლოს შეგნებულად გინადგურებენ და ქართველობას გარყვნილების მორევში გიძირავენ? მაშინ, არა ხარ ქართველობის ღირსი!

ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარან სომხების მიერ **"გიჟ-ვრაცუად"** (ბრიყვ ქართველებად) შერაცხული ჩვენი გაუბედურებული თანამემამულეები, რომ მათთვის თუნდაც ათასლარიანი ვაუჩერების დარიგება დიდი შეურაცხყოფაა და მასების ოფიციალურად გამათხოვრების დაკანონების ტოლფასია. თუნდაც ამ თანხის მცირე ნაწილი რომ პენსიონერებისათვის წაემატებინათ, ქართველი ხალხი რაღაც შვებას მაინც იგრძნობდა, მაგრამ პენსია სახელმწიფოს მიერ დაკანონებული თანხაა და ხელისუფლება მას ვერავის დაუკავებს, თუნდაც ყველაზე ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებსაც კი.

რაც შეეხება ვაუჩერს, ხელისუფლება მას მხოლოდ იმ ხალხს გამოუწერს, რომელთა მხარდაჭერის გარანტიებსაც ისინი წინასწარ მიიღებენ!

როცა ვერ მიხვდები, რომ ხელისუფლება მაჯაზე ჯაჭვით გამობმულ ფინიასავით გექცევა, მაშინ მართლაც ყველაფრის ღირსი ხარ!

შენს თანამემამულეებს რომ საქართველოდან ერეკებიან, ქართველებს რომ სომხები **"დიდგორობის"** დღესასწაულზე რომ არ მიუშვებენ და უბრალო ხალხი რომ ამას **"დიდღორობას"** დაარქმევს, ნუთუ ამან პროტესტის გრძნობა არ უნდა გაგიმძაფროს?

შეგუებული ხარ ამგვარ ნაძირალობას? ესე იგი, მეტის ღირსი ხარ!

როცა ვერ ხვდები, რომ სწორედ არაქართულმა ხელისუფლებამ გიქცია შავი ზღვის ულამაზესი ქართული ისტორიული ადგილი – გონიო – ბორდელების ქალაქად, მაშინ მართლაც ყველაფრის ღირსი ხარ და დიდი რუსი თეატრალის სტანისლავსკის ის შეგონებაც უნდა იცოდე, რომ როცა სცენაზე თოფი ჰკიდია, იგი პირველ აქტში თუ არა, მეორე აქტში მაინც გაისვრის, რაც იმას ნიშნავს, რომ, ერთ – არც თუ მშვენიერ დღეს, **"ბორდელად"** წოდებულ ქალაქ გონიოს მარაქაში შენი უახლოესი ნათესავი ქალბატონიც იქნება ჩაბმული!

მერე გვიანი იქნება მკერდზე მჯიღის ცემა!

ხელისუფლება ცდილობს ახალგაზრდობას ნიჰილიზმი და უნდობლობა გაუჩინოს ქართული ცნობიერების მიმართ, რათა მოწყვიტოს იგი ტრადიციულ ფესვებს და აქციოს იმ უსახურ მასად, რომელიც მთავარ საზრუნავად **"ჭამას და სექსს"** გაიხდის! სახედაკარგული ხელისუფალი ბუჩქებისაკენ ერეკება ახლად ტანაღერილ ყმაწვილ გოგო-ბიჭებს – იმ ადგილისაკენ, სადაც თავად არიან შექმნილები!

ჩვენ უკვე ვიცით, აღზრდის ამ სისტემამ როგორ მახინჯ რუდიმენტად ჩამოაყალიბა ევროპელი ახალგაზრდობა, რომლებიც ახლაღა ცდილობენ გლობალიზმის მიერ თავსმოხვეული უბედურებებისაგამ გამიჯვნას.

მაგრამ უკვე გვიანაა!

იმის გამო, რომ ქალი ქალზე ქორწინდება, მამაკაცი კი მამაკაცზე, მაშინ, როცა ევროპაში მცხოვრებ მუსულმანურ ოჯახებში ათზე ნაკლები შვილი იშვიათად იზრდება, ევროპის სახელმწიფოები რელიგიური სახეცვლილების რეალური საფრთხის წინაშე დგანან და ძნელი დასაჯერებელია, რომ ისინი მოახერხებენ მუსულმანური ექსპანსიისაგან თავის დაცვას!

ისიც მწარე ფაქტია, რომ გახალისებული ქართველი თუ უცხოელი ჟურნალისტები მიხეილ სააკაშვილს ხშირად ჰიტლერს ამსგავსებენ ხოლმე. იმას კი არავინ უფიქრდება, რომ ჰიტლერის სიკვდილის შემდეგ კაცობრიობამ მიიღო საძირკვლამდე დანგრეული გერმანია, მისი ხელმეორედ აშენების შემდეგ კი მივიღეთ თურქების, ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების გერმანია, რომელშიც უკვე სულს ღაფავენ დიდი ისტორიული გამოცდილებისა და კულტურული ტრადიციების მქონე გერმანელი ხალხი.

რა გარანტია გვაქვს, რომ არასწორი არჩევნის გაკეთების შემთხვევაში, **"მოჰიტლერო"** სააკაშვილის შემდეგ ჩვენც იგივე მახინჯ საქართველოს არ მივიღებთ? მით უმეტეს, რომ, საქართველოში, სწორედ მიხეილ სააკაშვილისა და მისი ოჯახის წევრების მცდელობით, უკვე შეინიშნება თურქების მოძალება და, სამწუხაროდ, არც ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების დეფიციტს განვიცდით!

ნუთუ ქართველ ადამიანს არა აქვს იმის შეგნების უნარი, რომ სიცრუის მკადრებელი ადამიანი უკულტურო ბარბაროსია და არ შეიძლება მას სახელმწიფოსა და ხალხის ბედი ანდო. კვირა არ გავა, რომ საქართველოს ოპოზიციურმა ტელეარხებმა არ გამოაქვეყნონ მასალები სახელმწიფო სახსრების დანაშაულებრივად ხარჯვისა და საერთაშორისო ფინანსური დანაშაულის ფაქტები, რომლებშიც სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი წრეებია გარეული. და არავის ახსოვს, რომ ამ მხილებულებს გაეპროტესტებინოთ მოკვლევის შედეგები და სასამართლოში დაეყენებინოთ მათი ღირსების შელახვის საკითხი, რაც თავისთავად მიანიშნებს ოპოზიციონერ ჟურნალისტთა მიერ მოპოვებული მამხილებელი მასალების უტყუარობაზე. და კიდევ, გაიხსენეთ, რამდენჯერ მოატყუეს ჯერ შევარდნაძემ და მოქკავშირმა, შემდეგ სააკაშვილმა და ნაცებმა ქართველი ხალხი და ამის შემდეგ ნუთუ ვინმემ უნდა გაბედოს დღის წესრიგში ამ უბადრუკი ადამიანების ხელისუფლებაში დატოვების საკითხი? საქართველოს 20 პროცენტი უკვე გაასხვისეს ამ უჯიშოებმა და რა გინდათ – გსურთ საერთოდ უსაქართველოდ დარჩეთ?

ასეც მოხდება, თუ დროულად არ მოვეგებით გონს და არ გავაკეთებთ სათანადო დასკვნებს!

ერთი რამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, გაუბედურებული ქართველებისათვის გულის მისაცემად – ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს ხელისუფლებას წურბელებად შესეულმა **"ნაციონალებმა"** და სააკაშვილმა, რომ გამარჯვებულის გამარჯვების ქვაკუთხედს დამარცხებულის ბოროტი მოქმედება ან სრული უმოქმედობა წარმოადგენს.

ამიტომ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ **რეაქციონერ სომეხთა ოცნება ვერასდროს აჯობებს "ქართულ ოცნებას"!**

**ჩვენ უკვე გავაკეთეთ განცხადება იმის თაობაზე, რომ სახალხო მოძრაობა "სამეგრელო" და გაზეთი "ილორი" მხარს დაუჭერენ მაჟორიტარი დეპუტატობის ყველა ღირსეულ კანდიდატს, რომელ პარტიასაც არ უნდა წარმოადგენდეს იგი. ამჯერად, გაზეთის მე-3 გვერდზე წარმოგიდგენთ მარტვილის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს ბატონ მურთაზ ხურცილავას!**

**რამდენიმე დღეში არჩევნებია – დაფიქრდი – ნუ აირჩევ სატანას!** (იხ. გვ. №8)

# ხიბლა გერზმავა: "სიყვარულის შეგრძნება უკვე მიმზიდველი მელოდიაა"



ჩვენი გაზეთის ამ ნომრის სტუმარია ცნობილი საოპერო მომღერალი ხიბლა გერზმავა, რომელსაც ჟურნალისტი ლიანა ებჟნოუ ესაუბრა.

**ლიანა ებჟნოუ:** ხიბლა, ამ ინტერვიუს ჩვენ სახელად დავარქვით **"სეზონიდან სეზონამდე"** და გვინდა გაგესაუბროთ იმ მნიშვნელოვან მოვლენებზე, რომელიც თქვენს პროფესიულ კარიერაში მოხდა აფხაზეთის შარშანდელი ფესტივალის ჩატარების დღიდან წელს მიმდინარე ფესტივალამდე. დავიწყოთ იმით, რომ ეს გახლდათ ფრანკო ძეფირელის მიერ დადგმული პუჩინის ოპერა **"ბოჰემა"**. თქვენ ამ სპექტაკლში მიმის პარტია შეასრულეთ. ხელოვნების დარგის კრიტიკოსები ამ როლს თქვენს რეპერტუარში გამორჩეულად შთამბეჭდავად მიიჩნევენ. თქვენს რას გვეტყვით ამ როლის თაობაზე?

**ხიბლა გერზმავა:** მიმის როლი ჩემთვის ფსიქოლოგიურად უაღრესად დატვირთული მოვლენა გახლავთ, რომელთანაც მე წლების განმავლობაში მივდიოდი. საოპერო ხელოვნების ფონზე მე ვიზრდებოდი როგორც მომღერალი, როგორც ქალი, როგორც პიროვნება. სხვაგვარად **"მიმისთან"** ახლოს ვერ მიხვალ! ეს გახლავთ უაღრესად მიმზიდველი პერსონაჟი, იგი ძლიერი ქალია და საკუთარი ტკივილით აზიარებს მაყურებელს იმის ჭეშმარიტებას, რომ ცხოვრებაში უმთავრესია სიყვარული და სიყვარულის შემეცნების უნარი. მე, არა როგორც მსახიობი, არამედ როგორც ქალი, აბსოლუტურად ვიზიარებ ჩემი გმირის ამ სულისკვეთებას და მიმაჩნია, რომ ადამიანის ცხოვრებაში მთავარი სიყვარულია.

**ლიანა ებჟნოუ: თქვენ ამბობთ, რომ ეს არ იყო პირველი პარტია თქვენი სასცენო კარიერის მანძილზე. თქვენ ადრე მოღვაწეობდით სტანისლავსკის და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრებში. რითი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თქვენი პირველი და უკანასკნელი პარტიები?**

**ხიბლა გერზმავა:** ეს სპექტაკლები ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ჩვენ უფრო თანამედროვეობის ფონზე წარმოვადგენთ სპექტაკლის ეპოქას. ალექსანდრე ბორისის ძე ტიტელმა ჩვენ შეგვიქმნა სულ სხვა, პირველწყაროსაგან ბევრად განსხვავებული და ლამაზი ისტორია. ფრანკო ძეფირელი მეტად თავისებურად აყალიბებდა სასცენო სახეებსა და ხასიათებს. სწორედ აქ იმალება მთელი ინტრიგა. ჩემის აზრით, გამორიცხულია, რომ მომღერალი არ იზრდებოდეს ყოველ ახალ სპექტაკლში მონაწილეობით. შენ გაძლევენ ახალ როლს, გაძლევენ ახალ ტანსაცმელს, ახალ რეკვიზიტებს და უნებლიედ ხდები იმ გარემოს, იმ საზოგადოების წევრი, სადაც შენს მიერ განსახიერებულმა გმირმა უნდა იტრიალოს. ეს კი უკვე სასცენო ოსტატობა გახლავთ და ყველაფერი მსახიობზეა დამოკიდებული. სცენური დრო ელვის სისწრაფით იცვლება ხოლმე და თუ დღეს შენ შუა საუკუნეების მორიდებული მადონა ხარ და სცენაზე კოჭის გამოჩენაც კი გეუხერხულება, ხვალ თანამედროვეობის ამსახველ სპექტაკლში იჭერ ადგილს, სადაც გარკვეული **"წახულიგნო"** ელემენტების გამომზიურებაც კი ხდება აუცილებელი. როგორ ამბობენ: **"ასეთია ჩვენი სპორტული ცხოვრება"**. ასეთ დროს მე დიდი ინტერესით ვაკვირდები საკუთარ თავს და პარტნიორებსაც და უნდა ვაღიარო, რომ ასეთ **"ექსტრემალურ გარემოში"** ტრიალი და საქმიანობა ფრიად მიმზიდველიც კი გახლავთ!

**ლიანა ებჟნოუ: რას იტყოდით თეატრში გამეფებულ ატმოსფეროზე. მაგალითად, როგორ შეუდარებდით ერთმანეთს "მეტროპოლიტენ-ოპერას" და თქვენს მშობლიურ თეატრს?**

**ხიბლა გერზმავა:** ჩემის აზრით, ყველაფერი დამოკიდებულია იმ ადამიანზე, ვინც ამა თუ იმ თეატრს სტუმრობს ხოლმე. ჩვენ ხშირად მიწვეული პერსონები ვართ და სწორედ ეს გვავალდებულებს იმ **"ქუდის დახურვას"**, რომელ სოფელშიც ვიმყოფებით. ჩვენ უნდა გვიყვარდეს იქაური მაყურებელი, ჩვენ უნდა გვიყვარდეს რეჟისორი, რომელიც ჩვენთან მუშაობს, ასევე დირიჟორიც, ჩვენ უნდა გვიყვარდეს მთელი დასი და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მათ აინტერესებდეთ ჩვენთან მუშაობა. ეს ძალიან მნისვნელოვანია არა მხოლოდ საოპერო ხელოვნებაში. თუ მსახიობი ამ ზღვარს გადალახავს, მას ძალიან გაუადვილდება მანამდე მისთვის უცნობ კოლექტივში მოღვაწეობა. თითქოს რაღაც მარწუხებისაგან იხსნი თავს, შემოქმედებით აღმაფრენას გრძნობ და ახალ ამპლუაში შეიძლება საკუთარი თავი ვერც კი იცნო. ჩემის აზრით, შემოქმედი ძალიან გახსნილი უნდა იყოს, მუდამ სითბოს უნდა ასხივებდეს და ნებისმიერი თეატრი უნდა გიყვარდეს. სიყვარულის შეგრძნება უკვე თავისთავად მიმზიდველი მელოდიაა და ამდენად, ყველაზე ძნელი სამუშაოც კი იოლი შესასრულებელი ხდება. ხშირად ხდება ხოლმე, რომ თავს ვიყრით რამდენიმე თეატრის წარმომადგენლები და იქმნება რაღაც შერეული საშემსრულებლო ჯგუფი – ხშირად ძალიან ჭრელი. და იმიტომ, რომ თვენახევრის განმავლობაში შევქმნათ ქმედითი ტანდემი, საჭიროა ვიყოთ გახსნილები და თავი დავიხსნათ გაუცხოების სინდრომისაგან. ასეთ დროს გამონაკლისი არც **"მეტროპოლიტენ-ოპერა"** გახლავთ და არც სხვა საოპერო თეატრი.

**ლიანა ებჟნოუ: კიდევ ერთ თქვენს უცხოურ პროექტზე მინდა გესაუბროთ – დიდ ბრიტანეთში, ლონდონის საქვეყნოდ ცნობილი კოვენტ-გარდენის თეატრის გახმაურებულ სპექტაკლზე. რამდენადაც ვიცი, აქ ნათამაშევი დონა ანას პარტია თქვენი საოპერო დებიუტი გახლდათ. მოგვიყევით ამ სპექტაკლის თაობაზე. ვინ იყო თქვენი პარტნიორი სცენაზე?**

**ხიბლა გერზმავა:** ჩემი პარტნიორი გახლდათ ჩემთვის ფრიად საყვარელი და პატივსაცემი მომღერალი **"როიალ-ოპერიდან"** ჯეფრი ფინლი, რომელთან ერთადაც ერთ დროს ვმუშაობდი **"ევგენი ონეგინის"** საოპერო დადგმაზე. იგი მართლაც ფანტასტიური მომღერალი და შესანიშნავი პიროვნებაა. როგორც ჩვენი დიდი მწერალი ფაზილ ისკანდერი იტყოდა – **"ადამიანური ადამიანია"**. როგორც წესი, მე დიდი ხანი ვემზადები ხოლმე ახალი პარტიისათვის და თუ პირველ ხანებში, ამ მხრივ, შესაშური შედეგი არ მქონდა, ახლა მდგომარეობა სტაბილურია. მაგალითად, ძნელად იგრძნობოდა წინსვლა დონა ანას პარტიის შემთხვევაში, რადგან იგი ჩემს მიერ ადრე შესრულებული სხვა პატრიებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. სცენაზე უნდა წარმომედგინა ამ ქალბატონის ფრიად ელეგანტური ვნებები, რადგან აქაც გმირის ხასიათში იდო თითქმის გიჟური სიყვარული, ნამდვილი სიყვარული... მთავარი იყო ამ ქალის ხასიათის მრავალწახნაგოვნების წარდგენა მაყურებლის წინაშე და ეს უნდა გამეკეთებინა ვოკალის მეშვეობით. მართლაც კარგ ჯგუფთან მომიწია მუშაობამ – თავი მოიყარეს მსოფლიო საოპერო სცენის ვარსკვლავებმა. როცა ხედავ, რომ სცენის აკუსტიკა ხელს გიწყობს, როგორც ამბობენ, ხმას არ ზოგავ. მხოლოდ მესამე სპექტაკლზე ვიგრძენით, რომ ამპლუაში ვისხედით და, მერე, რაღა შეგვაკავებდა. მაყურებლის აღფრთოვანებას ზღვარი არ ედო. რაც შეეხება მოცარტს, მოცარტი ნამდვილი კოსმოსია და როცა მის მელოებში იძირები, რაღაცნაირად იცვლები ხოლმე. მეჩვენება, რომ, როცა მოცარტის უკვდავ ქმნილებებს ვმღერი, მერე სულ სხვა ხმითა და შემართებით ვმღერი დონიცეტისა და ვერდის ნაწარმოებებს! სწორედ ამაშია ვოკალური სკოლის სიდიადე...

**ლიანა ებჟნოუ: ხიბლა, ჟაკ ოფენბახის "ჰოფმანის ზღაპრები" თქვენი კიდევ ერთი თეატრალური დადგმაა. ამ ოპერაში თქვენ ერთდროულად ოთხ პარტიას ასრულებთ. კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ეს ძალიან რთული საქმეა – ვოკალის ტექნიკით, თეატრალური და სასცენო სახიერებით. თქვენ რისკზე წახვედით?**

**ხიბლა გერზმავა:** მე დიდი ხანი ვემზადებოდი ამ სპექტაკლისა და პარტიებისადმი. ახლა მსოფლიოში მხოლოდ ორი მომღერალი ასრულებს ოთხ პარტიას – დიანა დამრაუ და მე. სიმართლე გითხრათ, ეს ძალიან მეამაყება. სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ვიდრე წამებში გამოგიცვლიან კოსტუმს, შენ სულ სხვა სასცენო სახე უნდა მიიღო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოთხი ტაქტით წინ უნდა გაიაზრო ყოველივე. გამოსვლას ვიწყებ სტელას დრამატული როლით, რომელიც, უბრალოდ, თეატრში ცხოვრობს. შემდეგ ვანსახიერებ ოლიმპიას, რომელიც თოჯინაცაა, გოგონაც, მექანიზმიც, მაგრამ ჩვენ იგი უფრო გრძნობიერად, ცოცხალ არსებად წარმოვადგინეთ კოლორატული სოპრანოს წყალობით, რომელიც ძალზე მაღალ ტემბრში სრულდება. შემდეგ – სწრაფად გადავიცვამდი მდიდარი კურტიზანი ქალის – ჯულიეტას კოსტუმს, რომელიც მხოლოდ ღირსეულ მამაკაცებს ემსახურება და თავს არ უყადრებს წვრილფეხობას. და თუ ეს სიყვარულია, იგი ამ სიყვარულს მხოლოდ ღირსეულ მამაკაცებს უძღვნის. ეს პარტია გახლავთ მეცო-სოპრანო და, დამეთანხმეთ და ოლიმპიის პარტიის შესრულების შემდეგ უაღრესად ძნელია დაბალ ტონალობაში სიმღერა. ათი წლის უკან მე ამას ნამდვილად ვერ გავაკეთებდი. და ბოლოს მოდიოდა ანტონიას პარტია – აბსოლუტურად ლირიული, რომელიც მართლაც შეეფერებოდა ჩემს ყოფას. ეს გახლდათ ჩემს მიერ განვლილი ცხოვრების გზა, როცა ოცი წლის წინათ გარდამეცვალა დედა. სცენაზე გადამქონდა უდედობის განცდა, როცა ადამიანი ობლად გრძნობ თავს, როცა მაყურებელს აგრძნობინებ, თუ რას ნიშნავს დედის ენერგეტიკა. ვიდრე არის დედა, შენ ზღვა სითბოს გრძნობ. სწორედ ეს დამეხმარა ანტონიას პარტიის შესრულებაში...

**ლიანა ებჟნოუ: ხიბლა, აფხაზეთში შენ ასრულებ ხოლმე მშობლიურ სიმღერებს. ხომ არ შეგისრულებია როდისმე საზღვარგარეთ აფხაზური სიმღერა?**

**ხიბლა გერზმავა:** ერთხელ, იაპონიაში, ჩაიკოვსკის კონკურსის შემდეგ, ჩემთან ხელი მოაწერა კონტრაქტზე **"ჯაპან არტს"**-მა და ჩავატარე გასტროლები. იმდენჯერ გამომიძახეს **"ბის"**-ზე, რომ სამღერი აღარაფერი დამრჩა და სწორედ მაშინ ვიმღერე აფხაზური ხალხური სიმღერა. დარბაზი ნამდვილად არ ელოდა ამას, მაგრამ კვლავ **"ბის"**-ზე რომ გამომიძახეს, დავრწმუნდი, რომ ძალიან მოეწონათ.

# აფხაზი არქეოლოგები მონაწილეობას იღებენ რომის ლიმესის XXII საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში

აფხაზი არქეოლოგები მონაწილეობას იღებენ რომის ლიმესის XXII საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, რომელიც მიმდინარეობს ბულგარეთის ულამაზეს ისტორიულ ქალაქ რუსეში. კონგრესის მუშაობა სულ 6 დღის განმავლობაში გაგრძელდება და მასზე განხილული იქნება უახლესი არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი არტიფაქტების წარმოშობისა და რაობის საკითხები.

საკუთარი მოხსენებები პონტიის ლომისის წარსულზე აღნიშნულ კონფერენციას წარუდგინეს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა ალიკ გაბელიამ და აფხაზეთის ეროვნული სამხატვრო გალერეის დირექტორმა, ხელოვნებათმცოდნემ სურამ საკანიამ.

თვით **"პონტიის ლიმესი"** (**"პონტო"** – შავი ზღვა, **"ლიმესი"** – საზღვარი) თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობით ყოველთვის იპყრობდა ანტიკური ევროპული ცივილიზაციის დიდ ყურადღებას და არც ის არის შემთხვევითი, რომ ჰომეროსის უკვდავი პოემა **"ოდისეას"** გმირები სწორედ პონტოს ზღვის აუზში გადაშლილი კოლხეთის სახელმწიფოში მოდიან **"ოქროს საწმისის"** დასაუფლებლად, ხოლო ულამაზესი და უჭკვიანესი კოლხი ასული მედეა მსოფლიო მედიცინის წარმოშობის სათავეებთან დგას.

**"პონტიის ლიმესი"** ასევე ღირშესანიშნავია იმით, რომ იგი წარმოადგენდა რომის ურთულეს აღმოსავლეთ საზღვაო-საფორტიფიკაციო ნაგებობათა სისტემას, რომელიც ამ მხარეს იცავდა ჩრდილოეთში მოთარეშე ბარბაროსთა მუდმივი თავდასხმებისაგან.

# კოდორის ხეობის ახალი სტატუსი

აფხაზეთის პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბის ინციატივით, **"აფხაზეთის სამოთხედ"** წოდებულ კოდორის ხეობას განსაკუთრებით დაცული ტერიტორიის სტატუსი მიენიჭება. **„აფსნიპრესის"** ცნობით, ამის შესახებ ანქვაბმა სოხუმში გამართულ მთავრობის თათბირზე განაცხადა.

კოდორის ხეობის ბუნება რომ მართლაც უნიკალური და განუმეორებელია, ამას ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინ აღნიშნავდნენ უცხოელი მოგზაურები. ადამიანს თვალს სტაცებს დიდებულად მოშრიალე წაბლისა და ცაცხვის ხეები, უსიერი ტევრები, კაკლის კორომები, ტანაშოლტილი ნაძვები, წიფლები, კოპიტები, მუხები, რცხილის ხეები, რომელთა ვარჯს რამდენიმე კაციც კი ვერ შემოაწვდენს ხელს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდები ნადირსა და ფრინველს, მდინარეში ქვებს ევლებიან კალმახები და წვერა თევზები...

თათბირზე ანქვაბმა აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ კოდორის ხეობაში ტურისტების გარდა ბრაკონიერებიც შედიან და ტყეს უკანონოდ ჭრიან, ეს კი უმსგავსობაა.

აღნიშნულ თათბირზე აფხაზეთის რესპუბლიკის ეკოლოგიური სამსახურის უფროსმა რომან დბარმა განაცხადა, რომ უწყება კოდორის ხეობაში გზის მშენებლობის კატეგორიული წინააღმდეგია, რადგან ამას შესაძლოა, მეტად მძიმე შედეგები მოჰყვეს.

საპასუხოდ ბატონმა ალექსანდრე ანქვაბმა რომან დბარს პროექტის მომზადების კონკრეტული დავალება მისცა, რომლის მიხედვითაც კოდორის ხეობა განსაკუთრებით დაცული ტერიტორიის სტატუსს მიიღებს.



**გვერდში გამოყენებულია აფხაზეთის რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტო "აფსნიპრესის" მასალები**

# ქართეხილები ვერაფერს აკლებენ სიდიადის ელვარებას...

ჩვენს თაობას არ ახსოვს ბორის პაიჭაძის, სპარტაკ და გაიოზ ჯეჯელავების, ნიაზ ძიაფშიპას, შოთა შავგულიძის, მიშა ჯოჯუას, ვლადიმერ მარღანიას, ავთანდილ ღოღობერიძის, გივი ჩოხელის, სერგო კოტრიკაძის და დიდი სამამულო ომის დროინდელი თუ შემდგომი პერიოდის ფეხბურთელების თამაში, მაგრამ პრესის ფურცლებიდან ვიცოდით, რომ თბილისის **"დინამოს"** ჰყავდა პირველი თაობის დიდ ფეხბურთელთა პლეადა, რომელთაც სახელი გაუთქვეს ქართულ ფეხბურთს როგორც საბჭოთა, ასევე საერთაშორისო არენაზე.

სამაგიეროდ, ჩვენი თაობის წარმომადგენლებს კარგად გვახსოვს, თუ როგორი მორიდებით გამოვიდა პირველად ფეხბურთის მოედანზე ქართული ფეხბურთის სპეციალისტების მიერ მარტვილიდან (მაშინ **"გეგეჭკორად"** წოდებული რაიონიდან) ჩამოყვანილი მოჭიდავესავით ჩასკვნილი შავტუხა ყმაწვილი, რომელსაც ჩვეული სკეპსისით შეეგება თბილისის **"დინამოს"** მრავლისმნახველი და ფეხბურთის ნიუანსებში პროფესიონალ სპეციალისტებზე არანაკლებ გარკვეული ქართველი გულშემატკივარი.

მაშინ თბილისის **"დინამოს"** ძირითად შემადგენლობაში ბევრად უფრო ძნელად მოხვდებოდა ადამიანი, ვიდრე კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, რადგან ამ ორგანოში ასეულობით ადგილი იყო, თბილისის **"დინამოში"** კი მხოლოდ 11 ღირსეულ და ბედნიერ სპორტსმენს შეეძლო მოხვედრა. ისიც ბუნებრივი გახლდათ, რომ ფეხბურთის გრანდების ვირტუოზული თამაშით განებივრებულ ქართველ გულშემატკივარს მეტი პრეტენზია უჩნდებოდა საკუთარი გუნდის მიმართ და სულაც არ სურდა დროის დაკარგვა იმის მოლოდინში, რომ ახალბედა ფეხბურთელი როდესმე ავიდოდა მისი წინამორბედი ფეხბურთელების სიმაღლეზე. მაგრამ, იმ მარტვილელმა **"მოჭიდავესავით ჩაფსკვნილმა"** ყმაწვილმა – მურთაზ ხურცილავამ აშკარად არ **"გაუმართლა"** სკეპტიკოსებს და პირველი თამაშისას ისეთი სპორტული გამბედაობა გამოავლინა, თითქოს უკვე წლების განმავლობაში თამაშობდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად აღიარებულ თბილისის **"დინამოში"**.

ასე დაიწყო მურთაზ ხურცილავას დიდი აღმასვლა მსოფლიო ფეხბურთის ოლიმპზე!

და ეს ხდებოდა მაშინ, როცა მსოფლიოს სტადიონებზე ქუხდა მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, ვლადიმერ ბარქაიას, გიორგი სიჭინავას, სხვა დიდი ქართველი ფეხბურთელების სახელები. მართლაც დიდი ნიჭი და სპორტული ჟინი უნდა გააჩნდეს გამოუცდელ ახალგაზრდას, რომ ამ დიდებულ გალერეაში მოკლე ხანში დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი!

შემდეგ იყო თამაშები საბჭოთა კავშირის ნაკრების შემაგენლობაში და ბრინჯაოს



ალბერტ შესტერნიოვმა კაპიტნობა მურთაზ ხურცილავას გადაულოცა

მედალი 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც წარმატების ლომის წილი სწორედ მურთაზ ხურცილავას უნაკლო თამაშზე მოდიოდა. მანამდე, 1960 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა გივი ჩოხელისა და სერგო კოტრიკაძის უნაკლო თამაშითა და მესხისა და მეტრეველის **"ქართულ ფრთებზე"** დგომის წყალობით. 1966 წლის შემდეგ კი, საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრებს, თვით ამ ზესახელმწიფოს დაშლამდე, მსგავსი წარმატებისათვის აღარ მიუღწევია.

მალე მურთაზ ხურცილავას საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის კაპიტნობა გადაულოცა საბჭოთა ფეხბურთის ერთ-



მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავ ჰერდ მიულერთან ერთად

ერთმა გრანდმა ალბერტ შესტერნიოვმა. ეს გახლდათ არა მხოლოდ სპორტული ვალდებულება, არამედ დიდი პოლიტიკური პასუხისმგებლობაც, რადგან უცხოეთის არასოციალისტური ქვეყნების სპორტული წრეები, რომელთა მიზანს, სპორტულის გარდა, ფინანსური კონკურენციაც წარმოადგენდა, ყოველთვის ცდილობდნენ სოციალისტური ბანაკიდან დიდი სპორტსმენების გადაბირებას (გაიხსენეთ დიდი უნგრელი ფეხბურთელის პუშკაშის ბედი, რომელიც **"რეალში"** გადავიდა, ხელისუფლების სურვილის საწინააღდეგოდ და საბჭოთა იდეოლოგიის დაშლამდე **"სამშობლოს მოღალატის"** დამღა არ მოაშორეს). უცხოური ფეხბურთის მესვეურთა პროპაგანდა ხშირად აღწევდა მიზანს, რადგან ისინი გამორჩეულ სპორტსმენებს მილიონებს უხდიდნენ, მაშინ, როცა დიდი საბჭოთა ფეხბურთელები თუ სპორტის სხვა სახეობათა ფენომენალური წარმომადგენლები შედარებით მოკრძალებულად ცხოვრობდნენ. ამიტომ ეკისრებოდათ დიდი პასუხისმგებლობა საბჭოთა სპორტული გუნდების კაპიტნებს, რომლებიც არა მხოლოდ გუნდის სპორტული ლიდერები, არამედ მათი იდეური და პოლიტიკური ორიენტირები იყვნენ. ამდენად, მურთაზ ხურცილავას საბჭოთა საფეხბურთო ნაკრების კაპიტნად დანიშვნა (რომელიც ლამის სსრკ კომპარტიის ცეკას პოლიტბიუროს დონეზე წყდებოდა) გახლდათ ამ პიროვნების სპორტული და პირადი ავტორიტეტის აღიარებაც!

მურთაზმა, თავისი სადა, მაგრამ მაღალპროფესიული თამაშით იმდენად გაამარტივა ფეხბურთის ფსიქოლოგია, რომ, მისი შემხედვარე, კაცი იფიქრებდი – ასეთ ფეხბურთს მეც ხომ ვითამაშებო! მაგრამ ერთია – გამარტივება, და, მეორეა – გაუბრალოება. საქმეში ჩახედული ადამიანი ყოველთვის ხვდებოდა, რომ ხურცილავას თამაშის სიმარტივე ეფუძვნებოდა დიდ შინაგან ენერგიას, ამოუწურავ საფეხბურთო ფანტაზიას, მაღალ სპორტულ ინტელექტს, კომპოზიციურობას...

იშვიათია, რომ ყველა ამ თვისებამ ერთ



მუდამ დაძაბული, მუდამ ბურთის, მუდამ მოწინააღმდეგის შემოტევისა და მუდამ მეტოქის კარის დალაშქვრის მოლოდინში...

სპორტსმენში მოიყაროს თავი, მურთაზი კი სწორედ ამგვარი გამონაკლისი გახლდათ!

წლები გავიდა, ქართულ ფეხბურთშიც თაობები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს და იგი დღემდე მოგვივიდა საამაყო სახეებით დამშვენებული. თუნდაც კახი კალაძე რად ღირს, რომელიც, მიუხედავად მავანთა ავი ყარყაშისა, ყოველთვის დარჩება არა მხოლოდ სპორტის, არამედ სრულიად საქართველოს სიამაყედ!

და იმედია, რომ **"კვლავადაც დაიზრდებიან..."**

მაგრამ, ცოდვა გამხელილი სჯობს – ჩვენს თაობას მაინც, მსხვერპლს გამოკიდებული ლომივით ფაფარაშლილი, ის მურთაზ ხურცილავა ურჩევნია, საომარი ზათქით რომ მიუძღოდა წინ ჩვენს ფეხბურთელებს, მოწინააღმდეგის კარის დასალაშქრად!

მართლაც რა ბედნიერი ჟამი გვედგა მაშინ!

**P.S.** *კაცობრიობის უდიდესი ჟამთააღმწერელი თომას მანი, რომელმაც უამრავი დიდი და საინტერესო ადამიანის ბიოგრაფიას გვაზიარა, მუდმივად ბოდიშს იხდიდა იმისათვის, რომ, თავის წიგნში, ვერ შესძლო ბოლომდე გაეხსნა მრავალი ისტორიული გმირის ხასიათი.*

*არავინ გაგვიგოს ისე, რომ, გაკადნიერებულები თომას მანს ვადრით თავს, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ თუ პიროვნების არსის გახსნას ეს დიდი შემოქმედი მთელ წიგნშიც კი ვერ ახერხებდა, ბუნებრივია, რომ ჩვენ, მურთაზ ხურცილავას ღვაწლის ასახვას, ერთ საგაზეთო წერილში, ნამდვილად ვერ მოვახერხებთ!*

*სამწუხაროდ, არც მურთაზ ხურცილავას სპორტული გმირობის ამსახველი ბევრი ტელეჩანაწერი შემოგვრჩა, რადგან ტელევიზია მაშინ არ იყო ესოდენ ძლიერი და მაღალგანვითარებული.*

*სამაგიეროდ, შემოგვრჩა უამრავი ფოტომასალა, რომელსაც დროდადრო მივაწვდით ხოლმე გაზეთ "ილორის" მკითხველებს, ვიდრე მას წიგნად დაწერილს მიიღებს დაინტერესებული მკითხველი.*

*ჩვენი საამაყო მამულიშვილისა და სპორტსმენის მურთაზ ხურცილავას უაღრესად საინტერესო ცხოვრების გზის შესახებ კი, ალბათ, მომავალშიც უამრავი ნაწარმოები შეიქმნება.*

*აღნიშნულ წიგნებს, არა მარტო ჩვენთან, არამედ უცხოეთშიც დიდი ინტერესით წაიკითხავენ. გვახსენდება, საქართველოში ახალჩამოსულ ცნობილ გერმანელ ფეხბურთელთან და მწვრთნელთან კლაუს ტოპმიოლერთან საუბრისას, როცა მას ვკითხეთ, როგორ ხედავს იგი ქართული ფეხბურთის მომავალს, მან გაიღიმა და არაორაზროვნად გვიპასუხა:*

*" – მესხებს, მეტრეველებს და ხურცილავებს თუ არ მოგვთხოვთ, ქართულ ფეხბურთს კარგი მომავალი აქვს, თუ იგი ხანგრძლივი პროექტის სახით დაიგეგმება!"*

*ასევე გვახსენდება ლეგენდარული ჰერდ მიულერის გაოცებული სახე, როცა მას, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ მწვრთნელ, ჩვენს მეგობარ ჰერბერტ ცანკერთან ერთად, "ბაიერნის" ბაზაზე შეხვედრისას ვკითხეთ – თუ გახსენდებათ სსრკ-ს ნაკრებთან შეხვედრები, კერძოდ მურთაზ ხურცილავა?*

*" – როგორ არ მახსოვს, მას რა დამავიწყებს, მაგრამ ხურცილავა რუსი არ იყო (სსრკ რუსეთად აღიქმებოდა მაშინ უცხოეთში), ნეტავ რას აკეთებს ამჟამად?"*

*ეს ორი მოგონება, პირადად ჩვენგან, საჩუქრად, ფეხბურთის ჭეშმარიტ, ქართველ გულშემატკივარს და არა იმათ, ვინაც პოლიტიკური და პარტიული ნიშნით ყოფს ლეგენდარულ ქართველ სპორტსმენებს, რომელთა ღირსეული ფლაგმანი, გაზეთ "ილორის" სტუმარი, საპარლამენტო არჩევნებში მარტვილის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი კოალიცია "ქართული ოცნებიდან", ბატონი მურთაზ ხურცილავაა!*

***"ილორის" წმინდა გიორგი მიგიძღოდეთ წინ ყველა იმ საქმეში, რაც კი ჩვენი სამშობლოს სასიკეთოდ დაისახოთ, მურთაზ ბატონო, თქვენს თანამოაზრეებთან ერთად!***

როლანდ ჯალაღანია,
დავით ქობალია

რაც შეეხება ბატონ მურთაზ ხურცილავას ავტორიტეტს მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში, ამის ყველაზე ოპტიმალურ შეფასებად მსოფლიო ფეხბურთის გრანდის, ინგლისის ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის ალფ რამსეის სიტყვებიც იკმარებდა: "...ჩემი აზრით, ახლა მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელთა სამეული ასეთია: პელე, ხურცილავა და რივერა".

2004 წელს უეფა-მ აღნიშნა მისი დაარსების 50 წლის იუბილე. ამასთან დაკავშირებით, ევროპის ყველა ქვეყანაში, სპეციალური გამოკითხვით გამოვლინდა ამ პერიოდის (1954-2004 წ.წ.) ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი. საქართველოში ასეთ ფეხბურთელად მურთაზ ხურცილავა აღიარეს. ამ შედეგიდან გამომდინარე, მურთაზ ხურცილავა დაჯილდოვდა სპეციალური მედლით, მისი ფოტოსურათი კი გამოფენილია უეფა-ს შტაბ-ბინაში, სხვა ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელთა ფოტოებთან ერთად.



მილიონობით გულშემატკივართათვის გულდასაწყვეტი მომენტი – მურთაზი დიდი ფეხბურთიდან წავიდა...



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

ერთადერთი, რაც მან მართებულად შენიშნა, იყო ის, რომ **"შეპილოვის ჰიპოტეტური საბჭოთა კავშირი"** პრინციპიალურად არაფრით იქნებოდა განსხვავებული **"ხრუშჩოვისეული"** საბჭოთა კავშირისაგან...

შეპილოვის შვილისშვილი – კოსირევი თვლის, რომ ბაბუამისს მაინც გადააყენებდნენ, იმიტომ, რომ **"მმართველი ბიუროკრატიისათვის"** იგი არასოდეს არ ყოფილა **"თავისიანი"**. თითქოსდა იგი იყო ადამიანი **"ბრწყინვალე ბიოგრაფიით, იყო ზომაზე მეტად ნათელი ფიგურა, ძალზე უცხო გახლდათ პარტაპარატის ვირთხების მასისათვის"**.

**"დავამატებ იმასაც,** – აგრძელებს კოსირევი, – **იგი იყო ადამიანი, რომელიც ვერ მალავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას რომელიმე ფლანგს მიუმხრობელი, შუაში გაჩხერილი ბიუროკრატებისადმი"**. აი, აქ კი შეიძლება მას შევედავოთ! დიმიტრი შეპილოვი, რამდენადაც მე ვიცი, პრაქტიკული ცხოვრების ნიუანსებში საკმაოზე მეტად გარკვეული და ფრთხილი ადამიანი გახლდათ. ამიტომ, თავისი შინაარსით იგი ის **"აპარატჩიკი"** იყო, რომელიც ქვეყნის პირველ პირად ყოფნის დროსაც კი აერიდებოდა მკვეთრ მოძრაობებისა და რისკიანი გადაწყვეტილებების მიღებას!

შეპილოვის შვილისშვილს თავში იმ აზრის გავლებაც კი არ სურს, რომ ჭეშმარიტად დიდი პიროვნება, ნათელი ფიგურა, როგორც კი ხელისუფლების სათავეში მოვა, მაშინვე დაიწყებს მომწიფებული რეფორმების გატარებას – თუ კი იგი მომწიფებულია! და თუ იგი მართლაც ნათელი და ძლიერი პიროვნებაა, ეს რეფორმები აუცილებლად იქნება წარმატებული.

მაგრამ, ჯერ ერთი, **რეფორმა** (იხილეთ **"რუსული ენის დიდი სასაუბრო ლექსიკონი"**, უშაკოვის ავტორობით, 2005 წელი) – ესაა **"რაიმე ახლის შექმნა და არსებულის შეცვლა, რაც მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება"**, საზოგადოებასთან დამოკიდებულებაში კი – **"საკანონმდებლო ან სახელმწიფო მოწყობაში იმ სასარგებლო ცვლილების შეტანა, რაც ზიანს არ მიაყენებს სახელმწიფოს არსებობის საფუძვლებს"**.

მეორეც, რეფორმა მაშინ იქნება წარმატებული, თუ მას ატარებენ კომპეტენტურად, ესე იგი: 1) იმ საზოგადოების სასარგებლოდ, რომელსაც ეძღვნება ეს რეფორმა; 2) რეფორმის პროცესებში წესიერი პროფესიონალების ჩართვისას.

კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ აკადემიკოსი ტარლე, რომელსაც მხედველობაში ჰყავდა ნაპოლეონ ბონაპარტე, წერდა: **"ნაპოლეონისათვის ხელისუფლება იყო იგივე, რაც მუსიკალური ინსტრუმენტი დიდი მაესტროს ხელში. მან ნელაააჟღერა ეს ინსტრუმენტი, როგორც კი ხელში აიღო იგი"**. ასე რომ, შეპილოვს კი შეეძლო შეესრულებინა რამდენიმე არია მოსკოვის დიდი თეატრის საოპერო რეპერტუარიდან, მაგრამ დიდი მაესტრო იგი ნამდვილად არ იყო.

ბერია?

ბერია კი ზედგამოჭრილი იყო ამ როლისათვის!

სიტყვისათვის, შეპილოვს არც კი ჰყოლია ნამდვილი მტრები, ისეთები, როგორებიც ჰყავდა ბერიას!

კარგით, ჩამოაშორეს თანამდებობას **"მათ მიტმასნილი შეპილოვი"**... კარგით, გაასახლეს იგი ფრუნზეში (მაგრამ კოლიმაში ხომ არ გადაუსახლებიათ – ს.კ.). მაგრამ ის, რომ წიგნში მოშველიებულია კეთილსიტყვიანი მოგონებები ისეთი დამპალი პიროვნებისა, როგორიცაა აკადემიკოსი ლეონიდე აბალკინი, თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს! ბერიაზე აბალკინს ცხოვრებაში სასიკეთო არაფერი უთქვამს და არც იტყვის, იმიტომ, რომ ბერია და აბალკინი სრული ანტიპოდები არიან! ლავრენტი ბერია სამშობლოს ემსახურებოდა, ლეონიდ აბალკინი კი – ამა ქვეყნის ძლიერთ. და დღესაც ემსახურება, მაგრამ არა რუსულ **"შეშის რუბლებზე"**, არამედ **"მწვანე-მწვანე"** დოლარებზე!

თუ შეპილოვი რამეთი გამოირჩეოდა მსხვილი პარტოკრატების უმრავლესობისაგან, ეს იყო უეჭველი პირადი კეთილსახეობა.

მაგრამ აი, კიდევ ორი ციტატა, სავსებით **"დემოკრატი"** ჟურნალისტის ნიკოლოზ ბარსუკოვის საუბრიდან დიმიტრი შეპილოვთან, რომელიც შესულია 1989 წელს გამოცემულ შეპილოვის ცხოვრების ამსახველ მოგონებათა კრებულში:

**1) "მე მხიბლავდა ნიკიტა ხრუშჩოვის უშუალობა და მასთან უპრობლემო ურთიერთობის საშუალება. იგი მუშის ოჯახიდანაა. იგი უაღრესად დემოკრატიულად იქცეოდა და ამიტომ, თავიდან მე შეყვარებული ვიყავი მასში. და, საერთოდ, მას ბევრი ვინმე მიიჩნევდა სიმპატიურ ადამიანად (გვ. 123).**

**2) საერთოდ, ხრუშჩოვი – ბოროტი და შურისმაძიებელი კაცი იყო. მისთვის დამახასიათებელი გახლდათ (თავად შეპილოვი გვამცნობს, თუ რა იყო დამახასიათებელი ხრუშჩოვისათვის – ს.კ.) თუნდაც ის, თუ როგორ სასტიკად იძია შური თევოსიანზე, ჭკვიან ადამიანზე, შესანიშნავ მეტალურგზე, რომელიც კარგად იცნობდა მსოფლიო პრაქტიკას (მუშაობდა ჯერ კიდევ გერმანიაში, კრუპის ქარხნებში). იგი ერთხელ ხრუშჩოვს შეედავა სპეციალურ საკითხში (თევოსიანი სტალინსაც ედავებოდა და ბერიასაც – ს.კ.), მან კი ჰკითხა: "შენ რა, მე მედავები"?**

**3) "დიახ, მე მეტალურგი ვარ და კარგად ვიცი ეს საკითხი, თქვენ კი რაღაც სისულელეს ამტკიცებთ".**

**ორი დღის შემდეგ თევოსიანი მოხსნეს და საერთოდ ჩამოაშორეს საქმეებს"** (134-ე გვერდი).

მაშ ვინ იყო ხრუშჩოვი სინამდვილეში?

და ვინ იყო შეპილოვი, ინტელიგენტი და მოხდენილი **"ჭკვიანი, რომელიც ნახევარი საათის განმავლობაში ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს აფრქვევდა?"** სჭირდებოდა კი სამშობლოს ამგვარი **"მიმზიდველი და ჭკვიანი"** ხალხი? იგი ხომ ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ – 1957 წელს დადგა პრინციპულ პოზიციაზე და მისი დაცვაც ვერ მოახერხა?

შეპილოვის მეორე მტკიცებულობის დაცვისათვის მოვიყვან სუხომლინოვის მიერ მოწოდებულ ცნობას:

**"ბერიას თანამშრომლები, რომლებიც დღესაც ცოცხლები არიან, აღნიშნავდნენ, რომ, მიუხედავად მთელი სიმკაცრისა, ბერია უცებ მშვიდდებოდა ხოლმე, წყენას ივიწყებდა..."**

აღვნიშნავ, რომ ამ ტიპის ადამიანები იშვიათად არიან სულმოკლეები, ინტრიგებისადმი მიდრეკილების მქონეები და სხვების დატანჯვის მსურველები. ისინი უშუალოები და გულღიები არიან. ტყუილად კი არ უყვარდა ხრუშჩოვს ნადირობა, ბერია კი, რომელიც შესანიშნავად ისროდა, უპირატესობას საბრძოლო მეგობრებთან ერთად თევზაობას ანიჭებდა.

დიახ, ბერია მკაცრი და, არც თუ იშვიათად, უკომპრომისოც იყო. მაგრამ, ეს თვისება... დამახასიათებელია ხელმძღვანელისათვის, რომელიც ფორს-მაჟორულ სიტუაციაში მიუძღვის მასებს და ექსტრემალურ ისტორიულ ერაში საკუთარ კვალს სტოვებს თითქმის დაუჯერებელი მიღწევებით. ამას ხომ ვეებერთელა ენერგის და თავდაუზოგავი შრომა სჭირდება!

ისინი ხომ საერთოდ არ გამოირჩეოდნენ გულმოწყალებისათს და უსაქმურებისადმი მზრუნველი დამოკიდებულებით: იულიუს კეისარი, ლუდოვიკო XI, ოლივერ კრომველი, პეტრე პირველი, ნაპოლეონ ბონაპარტე, ოტო ბისმარკი, ვლადიმერ ლენინი, იოსებ სტალინი...

შეიძლება თუ არა ამ უძლიერესი ადამიანების მწკრივში ჩავაყენოთ ლავრენტი ბერია?

ეს, რა თქმა უნდა, შეკითხვაა. ალბათ, მაინც – არა! ამ მწკრივში ბერიას ვერ ჩავაყენებთ მხოლოდ იმიტომ, რომ მან ვერ მოასწრო აეღო ქვეყნის პირველი პირის **"მუსიკალური ინსტრუმენტი"**, რომლითაც მას შეეძლო შეესრულებინა თავისი **"ხელისუფლების სიმფონია"**.

მაგრამ, მას შეეძლო ამ **"სიმფონიის"** შესრულება!

იყო კი ბერია გენიოსი?

ამბობენ, რომ გენიოსები არიან ის მუშახარები, რომლებიც დღე-ღამეში თავაუღებლად მუშაობენ 14 საათის განმავლობაში. ბერია ზოგჯერ მეტ დროსაც ანდომებდა სამუშაოს, მაგრამ გენიოსი იგი მაინც არ იყო. იგი არ შეიძლებოდა გენიოსი ყოფილიყო თუნდაც იმ გარემოებათა გამო, რომელიც მის გარშემო ყალიბდებოდა. არ მახსოვს ვინ თქვა, მაგრამ ფაქტია, რომ მოხდენილადაა ნათქვამი: **"სიმშვიდეში მწიფდება ინტელექტი, ქარიშხლებში იბადება და იწრთობა ხასიათი"**.

შევადაროთ ლენინის, სტალინის, ბერიას ცხოვრების საწყისები...

ლენინს, გარდა იმისა, რომ ჰქონდა გენიოსის მონაცემები, მას ამ მონაცემის განვითარების საშუალებაც გააჩნდა: ინტელექტუალური მეგობრული ოჯახი, საკმაოდ კარგი ეკონომიკური მდგომარეობა, კომფორტი – თუნდაც მორიდებული... წიგნები, ბრძენ მამასთან ურთიერთობა, კარგად განათლებული პედაგოგების მეთვალყურეობა. უნივერსიტეტიდან გარიცხვის შემდეგ, თვით ციხის საკანშიც კი მას ჰქონდა წიგნის კითხვის, ფიქრისა და მუშაობის საშუალება. და მით უმეტეს ეს შეეძლო მას ეკეთებინა გადასახლებებსა თუ ემიგრაციაში.

კიდევ რა არის საჭირო განვითარებადი შურისმაძიებლისათვის? მით უმეტეს – სოციალურ საკითხებზე მოაზროვნისათვის!

სტალინი უფრო რთულ პირობებში იმყოფებოდა. მისი გენიის განვითარებისათვის ნაკლებად ხელსაყრელი პირობები არსებობდა – იგი როგორც ვითარდებოდა, ასევე – მუხრუჭდებოდა. სტალინსაც ჰქონდა საშუალება, რომ მშვიდად, აუჩქარებლად ეფიქრა, გადაეხარშა გონებაში მისი წინამორბედი ადამიანების ნაფიქრალი. ამის საშუალება სტალინს სიყმაწვილისა და ახალგაზრდობის წლებში ჰქონდა. იგი ხომ პროფესიონალი რევოლუციონერი იყო, რევოლუციონერის ყოველდღიური საქმიანობა არის არა ბომბები, მიტინგები, გაფიცვები, არამედ მუდმივი ფიქრი და მისი სიტყვებად გარდაქმნა.

და – წიგნის გამუდმებულად კითხვა...

და – დისკუსიები.

დაძაბული მიმდინარე სამუშაოები, მაიაკოვსკის ენით რომ ვთქვათ: **"ყოველდღიური საზრუნავი და თავსამტვრევი"** იოსებ სტალინს არც ცხრამეტი წლის ასაკში ჰქონია და არც ოცდაათი წლის ასაკში. სტალინისათვის ყველაფერი ეს დაიწყო 38 წლის ასაკში.

ლენინისათვის კი – 48 წლის ასაკში.

ბერიასათვის – ცხრამეტი წლის ასაკში!

აქ უკვე აღარ გრჩება საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვისა და მუშაობის დრო! აქ მხოლოდ იმ ტვინისსაჭყლეტ პრობლემებთან გამკლავება უნდა შეგეძლოს, რომელიც დილიდანვე უხვად გაყრია თავზე.

როგორც ამბობენ: **"ჰა ბურთი და – ჰა მოედანი..."**

მაგრამ ამ მდგომარეობას გააჩნია როგორც თავისი **"მინუსები"**, ასევე თავისი **"პლიუსებიც"**. ამ სიტუაციაში აღმოჩენილი ადამიანი, რომელიც ახერხებს პრობლემებთან გამკლავებას, უკვე თავისთავად გენიოსია! არა მხოლოდ როგორც მოაზროვნე გენიოსი, არამედ პრაქტიკოსი-გენიალური, საქმეების გენერატორი. აი, ასეთი განმარტება შეიძლება მივცეთ ლავრენტი ბერიას გენიალურობას.

ყველა მისი მოვალეობის ჩამოთვლას, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტსა და სსრკ შინსახკომში, დიდი სამამულო ომის მძიმე პერიოდში მივყავართ იმ დასკვნამდე: ერთ კონკრეტულ ადამიანს არ ძალუძს, რომ ერთდროულად გაუმკლავდეს ამდენ საქმეს. მაგრამ იგი ხომ უმკლავდებოდა! თანაც, უმკლავდებოდა არა **"ასე თუ ისე"**, არამედ ბრწყინვალედ, მაღალპროფესიულად!

და გამოვიდა რა ქვეყნისათვის უმძიმესი ომიდან სულ 46 წლის ასაკში, ლავრენტი ბერიამ შეიძინა ისეთი მდიდარი გამოცდილება, გახდა იმდენად კომპეტენტური, რომ შეეძლო გამკლავებოდა ნებისმიერ უმძიმეს პრობლემას... მაგალითად, ურანის პრობლემას... ტყუილად კი არ მიუჩინა შემსრულებელ-ზედამხედველად სტალინმა იგი ამ სამუშაოებს.

შეგახსენებთ: ურანის სამუშაოებს ჯერ ხელმძღვანელობდა მოლოტოვი, მაგრამ კურჩატოვს რატომღაც უნდოდა, რომ ურანის სამუშაოებისათვის ეხელმძღვანელა არა მოლოტოვს, არამედ ბერიას და სწერდა მას 1944 წლის 29 სექტემბერს:

**"პერვუხინისა და ჩემს მიერ თქვენს სახელზე გამოგზავნილ წერილებში ჩვენ გაცნობებდით იმ ურანული პრობლემების თაობაზე, რომლის გადასაჭრელადაც დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ქვეყნის ფარგლებს გარეთ. საზღვარგარეთ, ამ პრობლემის გარშემო თავმოყრილია მეცნიერთა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთა ისეთი მასშტაბური გაერთიანებები, რომელიც არ ახსოვს მსოფლიო მეცნიერების ისტორიას... მიუხედავად ამ სფეროში ჩვენს მიერ 1943-1944 წლებში მიღწეული წარმატებებისა, მდგომარეობა მაინც სავალალოა... ვიცი რა, რომ თქვენ საშინლად დაკავებული ბრძანდებით, ურანის პრობლემის გადაჭრის ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაინც გადავწყვიტე შემეწუხებინეთ, რათა გასცეთ ამ სამუშაოების გაფართოების განკარგულება, ჩვენი ძლიერი სახელმწიფოს შესაძლებლობების ფარგლებში."**

სწორედ ლავრენტი ბერია ხსნიდა აბურდულს კვანძებს ასეთ მძიმე სიტუაციაში! და ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ იგი ასევე წარმატებით გაართმევდა თავს კომუნისტური საზოგადოების აღმშენებლობის საქმეებსაც, რაც მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე გაიყვანდა საბჭოთა კავშირს! აღმშენებლობა ხომ მისი უპირველესი საქმე გახლდათ, რასაც იგი ბავშვობიდან ესწრაფვოდა.

მხოლოდ უკიდურესმა ქედმაღლობამ (რაც მისი აზროვნების შეზღუდულობაზე მიანიშნებდა – ს.კ.) და თავხედობამ (სხვა განმარტებას ამ საქციელს ვერ მივცემ – ს.კ.) უკარნახა აკადემიკოს კაპიცას ერჩია ბერიასათვის, გაცნობოდა ტრანსატლანტიკური კაბელის გაყვანის სამუშაოებს, რათა იგი უფრო მეტად კომპეტენტური ყოფილიყო საბჭოთა ატომური საქმეების ხელმძღვანელობაში.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობისას უზარმაზარ გამოცდილებამიღებულ ლავრენტი ბერიასათვის რომ დაევალებინათ თავის დროზე ტრანსატლანტიკური კაბელის გაყვანა, იგი ამ საქმესაც შესანიშნავად გაართმევდა თავს და მთელს მსოფლიოსაც იმაზე ბევრად ადრე დაქსელავდა კავშირგაბმულობის კაბელით, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა! და ამას გააკეთებდა **"პატიმრების იძულებითი სამუშაოების"** გარეშე. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი სამუშაო ძალის ოპტიმალურად გამოყენებასაც საკმაოდ დიდი ცოდნა და გამოცდილება სჭირდებოდა.

კაპიცასათვის ატომურ **"სპეცკომიტეტში"** მუშაობა **"მოსაწყენი"** იყო, ბერია კი არასოდეს იყო **"მოწყენილი"** – მას მოსაწყენი დროს არასოდეს ჰქონდა. აი, რა უნდა ვთქვათ ამასთან დაკავშირებით.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# ბრმების ქვეყანა და ხალხის დაშინების "ნაციონალური მეთოდები"

**"ძალაუფლებისკენ სწრაფვას შიში ბადებს. ვისაც სხვების არ ეშინია, მას არც მათზე ბატონობა სურს".** სიმართლე რომ გითხრათ, არ მახსოვს, ვინ არის ამ სიტყვების ავტორი, მაგრამ გულის სიღრმეში ვეთანხმები. მას შემდეგ, რაც საარჩევნო კამპანია **"გახურდა"**, ეს გამონათქვამი მიტრიალებს გონებაში და რაც უფრო ახლოვდება პირველი ოქტომბერი, მით უფრო ვრწმუნდები მის ჭეშმარიტებაში. მეც ვხედავ და თქვენც, პატივცემულო მკითხველო, რომ ქვეყანა შიშს მოუცავს. ხელისუფლებას გავლენის, სკამების, ქონების, კანონისთვის გვერდის ავლის შესაძლებლობისა და მისი გადაწერა-გადმოწერის საშუალების, მოკლედ რომ ვთქვათ — ძალაუფლების დაკარგვის ეშინია. თავად შეშინებული, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებსა თუ ზოგადად ხალხში შიშს თესავს. რომ არა შიში, ალბათ არც ერთი ადამიანი არ მიაბარებდა საკუთარ მიცვალებულს მიწას ყოველგვარი რელიგიური წესის, დატირების, ახლობლების მისამძიმრების გარეშე, ისე, როგორც ეს 3 სექტემბრის ღამეს დუისში მოხდა, როდესაც პანკისში მიმდინარე სპეცოპერაციის დროს დაღუპული ქისტი ახალგაზრდები დაკრძალეს: მიცვალებულები სახლშიც კი არ მიუსვენებიათ, ისე ჩაფლეს რამდენიმე დღით ადრე გათხრილ საფლავებში...

### "ამას — სიკვდილი, იმას — ჩამოხრჩობა!"

ამას წინათ შევესწარი სცენას: გაჩერებაზე მდგარმა ერთმა ქალბატონმა მეორეს უთხრა, — ცოტა გვერდზე გავდგეთ, ამათთან არავის ვეგონოთო, — და იქვე მდგარ რამდენიმე ახალგაზრდაზე მიუთითა, რომლებსაც **"ქართული ოცნების"** მაისურები ეცვათ. — რა იყო, გეშინია? — ჰკითხა მეორემ. — რას ამბობ, ჩემს ქმარს ისედაც არ უყურებენ კარგი თვალით და ესღა მინდა?! დაიჭერენ და ციხეში უკრავენ თავს, **"ოცნება"** მიშველის მერე?!.

1937 წელი გამახსენდა, რადგან დღესდღეობით ხალხის დაშინების ძირითადი მეთოდი ციხეში მოხვედრის მუქარაა — რეპრესიის ახალი ტალღაა აგორებული ქვეყანაში.

რომელი პარტიის წარმომადგენელიც გინდა იყავი, რომელ პარტიასაც გინდა დაუჭირე მხარი და რომელზეც გინდა, იმ შეკრებაზე მიდი, თუნდაც **"ქრისტიან-დემოკრატების"**, რომლებსაც პარლამენტში მოხვედრის რეალური შანსი აქვთ, ოღონდ — არა **"ქართული ოცნების"**. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ყველაზე მეტად სწორედ ამ პარტიის გამარჯვების ეშინია — როგორც ჩანს, მასში ხედავს რეალურ საფრთხეს.

რამდენიმე ხნის წინ **"ფეისბუკზე"** ასეთი ინფორმაცია გავრცელდა: **"სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში "ოცნებამ" თავისი შტაბის განთავსება განიზრახა და საამისოდ, სოფლის ცენტრში, ბიძაჩემისგან ფართობი იქირავა. იმავე ღამეს მიადგნენ ოჯახს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული, პოლიციის თანამშრომლები და გააფრთხილეს, — თუ ხვალვე არ დაითხოვთ "ოცნების" ხალხს, ოჯახის ყველა წევრს, ქალია თუ კაცი, დაგიჭერთო. რა უნდა ექნა ბიძაჩემს? ადგა და უარი უთხრა".**

შორს წაგვიყვანს იმ ადამიანების ჩამოთვლა, რომლებიც იმის გამო დააპატიმრეს ან დაემუქრნენ, რომ **"ქართულ ოცნებასთან"** თანამშრომლობდა. მაგალითად, მარნეულელი აბესალომ კუჭაშვილი ამ საარჩევნო ბლოკის აქტივისტია. ცოტა ხნის წინ ის პოლიტიკური ნიშნით განხორციელებულ ზეწოლაზე საუბრობდა. მისი თქმით, მარნეულის სოფლების — მუღანლოს, ქუთლარისა და ბაიდარის რწმუნებული ფოლად ისმაილოვი კოალიციასთან თანამშრომლობის გამო ფიზიკური ანგარიშსწორებით არაერთხელ დაემუქრა. მისი მუქარისგან ოჯახის დასაცავად, კუჭაშვილმა ცოლ-შვილი სიდედრთან გახიზნა. **"სამი ნიღბიანი ღამის 4 საათზე დაგვადგა თავზე. ჩემს მეუღლეს კითხულობდნენ",**— ჰყვებოდა კუჭაშვილის ცოლი. მას შემდეგ, რაც ოჯახს, გახიზვნის მიუხედავად, მიაგნეს, კუჭაშვილმა საჩივრით მარნეულის პოლიციას მიმართა. პროკურატურაში ამავე საკითხზე სარჩელი სოზარ სუბარმა და კუჭაშვილის ადვოკატმა, თედო კობახიძემ შეიტანეს. საჩივარს უკურეაქცია მალევე მოჰყვა — კუჭაშვილი დასაკითხავად მარნეულის პოლიციაში ადვოკატის გარეშე დაიბარეს. **"ჩემთვის უცხო ადამიანმა, რომელიც შემდეგ გავიგე, რომ მარნეულის პოლიციის უფროსი ყოფილა, ამიყვანა გამომძიებელთან. მითხრა,— სანამ ადვოკატი მოვა, პირადი მონაცემები შევავსოთო. იქ კი ზეწოლა დაიწყო. მითხრა, დაგიჭერო, მერე "ნარუჩნიკები" დამიდო წინ. მეუბნებოდა, მაგ საჩივრის გამო დაგიჭერო. რა დამიშავებია ამ ქვეყანაზე, მომიპარავს რამე, მომიკლავს ვინმე, ნარკომანი ვარ თუ რა ვარ?! ბოლოს მითხრა, — ვიცი, რა გაჭირვებული ოჯახი გაქვს, ამიტომ, თუ ჭკუაზე მოხვალ, შემიძლია 400-ლარიანი სამსახური გიშოვოო",—** ჰყვებოდა კუჭაშვილი. **"ქართული ოცნების"** მარნეულის ოფისის აქტივისტის, აბესალომ კუჭაშვილის მიმართ ინტერესი ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმაც გამოიჩინეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მიერ მომზადებულ წინასაარჩევნო ანგარიშებში კუჭაშვილის თემა აუცილებლად მოხვდება.

ჩემი ინფორმაციით, მარნეულის პოლიციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი კი საქართველოდან იმის გამო გაიქცა, რომ მისი ძმა **"ქართული ოცნების"** აქტივისტია. ის რამდენჯერმე გააფრთხილეს, — შენც დაგიჭერთ და შენს ძმასაც, არ გეკადრება თანამდებობის პირს, ძმა რომ ოპოზიციაში გყავსო. როგორც ჩანს, ძმასთან ვერაფერი გააწყო და უცხოეთში გადახვეწა არჩია. მისი კერძო სახლი კრწანისის რაიონში დიდი ხანია, გამოკეტილია და არავინ არაფერი იცის ოჯახის შესახებ. როგორც ჩანს, გაქცევა ერთადერთი გამოსავალია, რომ არ დაგიჭირონ...

...მსგავსი ფაქტის მოყვანა მრავლად შეიძლება. მე კი ეს ყველაფერი ზვიად გამსახურდიას ერთ იგავს მახსენებს, რომელსაც **"ბრმების ქვეყანა"** ჰქვია: ბრმათა ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი თვალხილული ექიმი, რომელმაც ბრმათა მკურნალობა იცოდა. ნაცვლად იმისა, რომ მისთვის კლინიკა მიეცათ, შინ ჰყავდათ დამწყვდეული და არ აძლევდნენ უფლებას, ხალხში გასულიყო და უსინათლოთათვის ემკურნალა, ვინაიდან ქვეყნის ხელმწიფე და დიდებულნი არწმუნებდნენ ხალხს: **"თქვენ თვალხილულნი ხართ, ხოლო ის ერთი მეტიჩარა, რომელიც ვითომდაც თვალის ახელას გპირდებათ, თავად არის ერთადერთი ბრმა ჩვენს სამეფოში და სახლშიც იმის გამო გვყავს დამწყვდეული, რომ თვალხილულები არ დაგვიბრმაოს და გარდა ამისა, თავად არ გადაიჩეხოს სადმე და არ დაშავდესო".**

### "უკაცრავად, თქვენ ბელით... უმუშევრობა!"

**"ნაციონალური მოძრაობის"** საარჩევნო პროგრამაში ხალხის დასაქმება პრიორიტეტად არის გამოცხადებული. ხელისუფლებამ წინასაარჩევნოდ დასაქმების სამინისტროც კი შექმნა. ერთ-ერთი ჩემი ახლობელი (გვარს არ დავასახელებ, ისიც კვლავ უმუშევართა რიგებს რომ არ დაუბრუნდეს) პირველია, ვინც აღნიშნულმა სამინისტრომ, მართალია დროებით, მაგრამ მაინც დაასაქმა და უმუშევარი მოსახლეობის აღწერა დაავალა. წინასწარ ჩატარებული ტრენინგების დროს ყველა აგენტი გააფრთხილეს, რომ მოსახლეობასთან პოლიტიკურ დებატებში არ უნდა შევიდნენ; მხოლოდ ანკეტა უნდა შეავსონ და აუხსნან, რა მიზანს ისახავს მოსახლეობის ასეთი ფორმით აღწერა. აქვე გეტყვით, რომ ნებისმიერ მსურველს, მიუხედავად იმისა, მუშაობს თუ არა, შეუძლია დარეგისტრირება იმ მოტივით, რომ თუ არსებული სამსახური არ აკმაყოფილებს, შესაძლოა, უკეთესი შესთავაზონ. იმის შანსი, რომ შემეძლო, საკუთარი თვალით მენახა, როგორ ხდებოდა უმუშევართა აღწერა და რა განწყობა ჰქონდა ხალხს პროცესის მიმართ, ხელიდან არ გავუშვი და ერთ დღეს, როდესაც ჩემი ახლობელი დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად მიდიოდა, ავედევნე.

თავიდანვე საინტერესო ფაქტი დავაფიქსირე: როდესაც კარზე აკაკუნებ და ხელში ფურცლები გიჭირავს, მაშინვე **"ნაციონალური მოძრაობის"** წევრად, მხარდამჭერად ან აქტივისტად აღგიქვამენ და უმეტესობა აგრესიულად გხვდება. კარს გვიჯახუნებდნენ, გვლანძღავდნენ, მთავრობის **"პუტანკებიც"** კი გვიწოდეს... წესის თანახმად, აგენტი ვალდებულია, ყველას აუხსნას მისვლის მიზეზი და მიზანი, ამიტომ ხელმეორედ დაკაკუნება გვიწევდა... ჭკუა ვისწავლეთ და კარის გაღებისთანავე ვეუბნებოდით (მე რა შუაში ვიყავი და — ვეხმარებოდი ახლობელს, თან მის გასაჭირსაც ვიზიარებდი), რომ არჩევნებთან დაკავშირებით არ ვიყავით მისული. თუმცა, როდესაც ჩვენი მისვლის რეალურ მიზეზს იგებდნენ, უკმაყოფილებას მაინც გამოხატავდნენ.

იმ დღეს ზუსტად 50 ოჯახი მოვიარეთ; აქედან 46 დარეგისტრირებას დათანხმდა, თან ყველა იმას იმეორებდა, — **"მაგათი"** ზღაპრების არ გვჯერაო. ერთი ქალბატონი კი თვალების დათხრითაც დაგვემუქრა, — თუ ასე წუხდა მთავრობა ჩემს დაუსაქმებლობაზე, სამსახური იმის გამო რად დამატოვებინა, **"ქართული ოცნების"** აქტივისტი რომ ვიყავიო?!

— სად მუშაობდით, ქალბატონო? — ხელიდან არ გავუშვი შანსი, რომ მეტი ინფორმაცია მიმეღო.

— პედაგოგი ვარ და სკოლაში ისტორიას ვასწავლიდი. აპრილში დამითხოვეს. მანდატური მოვიდა სახლში და მითხრა, ხვალიდან სკოლაში აღარ გამოცხადდე, დათხოვნილი ხარო. — კი, მაგრამ რატომმეთქი? — ჩემი თვალით დაგინახე **"ქართული ოცნების"** აქციაზე და ისიც ვიცი, ფიზიკის მასწავლებლის გადაბირებას რომ აპირებდიო. ასეთი რამე გაგიგონიათ?! სამსახურიდან დათხოვნასაც თავისი წესი აქვს. მანდატურები სკოლაში იმისთვის ჰყავთ, რომ მასწავლებლების პოლიტიკური შეხედულებები გადაამოწმონ!.. ჯერ გამათავისუფლეს, ახლა კი შინ მომადექით, — უმუშევართა სიაში შეგიყვანთ და დაგასაქმებთო. ნორმალურები ხართ თქვენ?! მეტი არ იქნა ჩემი მტერი, ვინმე დაასაქმოთ; სანამ თვალები არ დამითხრია თქვენთვის, აქედან გამეცალეთ!

პოლიტიკური ნიშნით ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტიც უხვადაა ჩვენს სინამდვილეში. ადამიანთა უმეტესობას კი (ვინც ჯერ კიდევ მუშაობს) უმუშევრად დარჩენის ისე ეშინია, საკუთარ პრინციპებსაც ღალატობს: მაგალითად, ზოგიერთი ექიმი ჰიპოკრატეს ფიცსაც კი არღვევს და დაშავებულ მომიტინგესა თუ ჟურნალისტს დახმარების გაწევაზეც უარს ეუბნება.

ვინც გამუდმებით შიშის ქვეშ ცხოვრობს, ის სიცოცხლის განმავლობაში რამდენჯერმე კვდებაო, — ნათქვამია. **"ერთ სიკვდილსაც"** ალბათ სწორედ ასეთ შემთხვევაში განიცდის ადამიანი. შიშს დიდი თვალები აქვს და ამ თვალებით, კაცი უმუშევრობასა და ციხის გისოსებს ხედავს.

სამსახურის დაკარგვის შიშმა აიძულა სამარშრუტო ტაქსების მძღოლები, გაჩუმებულიყვნენ, როდესაც არახელსაყრელი პირობები შესთავაზეს; როდესაც ავტომობილებში რადიოები გაუთიშეს და **"ხუთნომრიანი"** მაისურებით მუშაობას აიძულებენ... მათი უმეტესობა მხრებს იჩეჩს — რა ვქნა, 2 **"კაპიკს"** ვშოულობ და უმუშევარი ვერ დავრჩებიო...

სამსახურის დაკარგვის შიში აიძულებს პოლიციის მაღალჩინოსნებს, ზეწოლა მოახდინონ იმ ადამიანებზე, ვინც ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს არ იზიარებს და ოპოზიციის მიტინგებზე დადის; საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს — გზა გადაუკეტონ რაიონში მიტინგზე მიმავალ მანქანებს, გამოუწერონ რაც შეიძლება დიდი ჯარიმები; რაიონების რწმუნებულებს — ყველა ოპოზიციონერი მოსახლე აღწერონ და სიები, სადაც საჭიროა, იქ წარადგინონ; ხელი შეუშალონ პრეზიდენტთან იმ ადამიანების შეხვედრას, ვისაც პრეტენზიის გამოთქმა სურს და, თუ საჭიროა, ამ ადამიანებს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენონ, მიწაზე ათრიონ, სარდაფშიც გამოკეტონ, მიუხედავად იმისა, რომ ქალია და თანაც — მოხუცი...

ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ შიში აიძულებს ჩემს **"კოლეგებს"** — ე.წ. მედიაჯგუფების წარმომადგენლებს (რომელთაც ჩემი აზრით, ჟურნალისტიკასთან საერთო არაფერი აქვთ), კუდში სდიონ ამა თუ იმ არასამთავრობო ტელევიზიის ჟურნალისტებს და მუშაობაში ხელი შეუშალონ.

სამსახურის დაკარგვის შიში აიძულებს ზოგიერთ მინისტრს, პრეზიდენტს **"მიშა მაგარია"** უმღეროს, შემდეგ **"ქართული ოცნების"** შეხვედრაზე **"გაიჩითოს"** (მაპატიეთ, მაგრამ სხვას ვერაფერს დავარქმევ გარემოს დაცვის მინისტრის, ბატონი გოგა ხაჩიძის საქციელს) და იძახოს — მიმიშვით ბიძინასთან, გამატარეთ, მინისტრი ვარო...

შიში აიძულებს მსახიობებს, სპექტაკლის რეპეტიციებზე ჩაიცვან მაისურები, რომელსაც **"ხუთიანი"** აწერია, ხოლო ვარსკვლავებს (მე ამ სიტყვას ბრჭყალში ჩავსვამდი) აიძულებს — ასეთი მაისურები ხალხს დაურიგონ...

შიში აიძულებს გარე მოვაჭრეს, მთელი დღე სიცხეში იწანწალოს და იყვიროს — **"აბა, იყიდეთ "ბანკის" ხუფი და შემოხაზეთ ნომერი ხუთი"...**

შიშმა აიძულა ცესკოს თავმჯდომარე, **"ოცნების" "შვიდიანი" "ორმოცდაერთიანად"** გადაეკეთებინა, ქვეყნის **"მთავარ აღმსრულებელი"** — ბიძინა ივანიშვილის ქონება დაეყადაღებინა; მოსამართლეებს — ის გადაწყვეტილება (უკანონო, რა თქმა უნდა) მიეღოთ, რომელიც ხელისუფლებას, მმართველ გუნდს ან პროკურატურას აძლევს ხელს...

შიში აიძულებს **"ნაციონალური მოძრაობის"** პრესსპიკერს, ჩიორა თაქთაქიშვილს, აკეთოს მკვეთრი განცხადებები, ხალხს თვალებში ნაცარი შეაყაროს და არ გაუშვას ხელსაყრელი მომენტი, რომ თქვას **"მაგიური სიტყვები" — "მეტი სარგებელი ხალხს"...** კი, ნამდვილად შიში აიძულებს, თორემ როდესაც **"ფეისბუკზე"** მისი სალანძრავი პოსტები გამოქვეყნდა, მისი მეგობარი არ დაწერდა — **"კარგი რა, ნუ ლანძღავთ, ჩიორას კარგად ვიცნობ, ჩემი ბავშვობის მეგობარია, სულ ასეთი კი არ იყო"...**

შიში აიძულებს თითქმის ყველა მაღალჩინოსანს, ხმამაღლა, აუცილებლად ტელევიზიით დააფიქსიროს აგრესია **"ქართული ოცნების"** მიმართ და რაც შეიძლება მეტი სალანძღავი სიტყვა გამოიყენოს, რომ თავის პრეზიდენტს ერთგულება დაუმტკიცოს... და არ გაუშვას ხელსაყრელი მომენტი, თქვას იგივე **"მაგიური სიტყვები"**, რასაც ჩიორა ამბობს ხოლმე... დაბოლოს, შიში აიძულებს პრეზიდენტს, რომ შიში დათესოს ხალხში და არჩევნები ისე მოიგოს!

შიში ვერ შეიქმს სიყვარულს... შიში კლავს გონიერებას...

### მითები, რომლებიც ხალხს აშინებს ანუ — "მოვიდა ბუა!"

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი **"შიშებისა"**, კიდევ არსებობს ხალხში გავრცელებული **"საშიში მითები"**, რომლებიც იმავე მიზანს ემსახურება — დაზაფროს ხალხი და არჩევნებში ხმა მმართველ პარტიას მისცეს... თუ არა და... ხმის მისაცემ ოთახში დაყენებული კამერები ასახავს, რომელ ნომერს შემოხაზავ და მერე დედის რძეს არ შეგარჩენენ... დიახ, სწორედ ასეთი ჭორები დადის ხალხში... ეს დაშინების ერთგვარი მეთოდია...

ამას რომ მოისმენ, გინდა თუ არა, როდესაც ფარდის მიღმა მარტო დარჩები და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას დააპირებ, ზევით უნდა აიხედო, როგორც ქათამმა წყლის დალევის შემდეგ, და კარგად მოათვალიერო, კამერა ხომ არ **"გიყურებს"**... მაგრამ ჭორის თანახმად, კამერა ფარულია! ამიტომ, რა თქმა უნდა, ვერ დაინახავ... შიშის ჭია კი გღრღნის — ნეტავ, მართლა მიყურებენ თუ — არა?.. და ვინაიდან შიშს დიდი თვალები აქვს, შემოხაზავ იმ ნომერს, რომელიც მმართველ პარტიას ეკუთვნის... ეს ჭორიც ხომ სწორედ ამ მიზანს ემსახურება...

ამ ჭორის არ გჯერა? ხვდები, რომ ამდენი ადამიანის გაკონტროლება შეუძლებელია? და თუ გჯერა, მაგრამ მაინც შენი აზრის დაფიქსირებას აპირებ, რადგან არაფერი გაქვს დასაკარგავი, მაშინ აგერ, მეორე მითი, რომელიც ნამდვილად გაჭრის და შეგაშინებს, რადგან სიკვდილის ყველას ეშინია: თურმე მეცნიერებს გამოუგონიათ პრეპარატი, რომელიც ორგანიზმში ენდორფინის (სიყვარულის ჰორმონი გახლავთ) გამოყოფას აფერხებს; ეს პრეპარატი ხელისუფლებას საქართველოში ჩამოუტანია და სამხედრო მოსამსახურეებს, სპეცრაზმელებსა და პილიციელებს საჭმელში უყრის; გარკვეული პერიოდის განმავლობაში მისი მიღება კი იწვევს სიყვარულის გრძნობის გაქრობას, ამიტომ, იმ ადამიანებს, ვინც ამ პრეპარატის გავლენის ქვეშ იმყოფება, აღარ ძალუძთ საკუთარი მშობლებისა და შვილების სიყვარულიც კი და შეუძლიათ, საკუთარი ოჯახის წევრებიც გაწირონ...

ნათქვამია — თუ გინდა, შიში დაამარცხო, ის უნდა ჩაიდინო, რისი ჩადენისაც გეშინია!

**მ. ჯაფარიძე**

# კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-187

აღდგომის კუნძულზე მრავალჯერადი ექსპედიციის წევრები და მრავალი და მრავალი სხვები, ვინც ამ ამბებში იყვნენ გათვითცნობიერებულნი, გაკვირვებული იყვნენ კუნძულზე ქვის გიგანტური ქანდაკებების არსებობით. ამის შესახებ ტ. ჰეიერდალი წერს: ხალხს, რომელსაც ჯერ თავი არ გამოეჩინა კულტურის სხვა სფეროებში, როგორ შეეძლო მოეცა ესეოდენი გენიალური ინჟინრები და უნიჭიერესი მხატვრები, როგორიც ამ გიგანტური მონუმენტების შემქმნელები იყვნენ? როგორ შეძლეს ქვის ერთიანი მონოლითების გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე და აღმართვა?

მიწაზე დაგდებული გოლიათი ქვის ადამიანების მუცელზე ასვლაც ძნელია. მწოლიარე გოლიათის სხეულზე და სახეზე შეიძლება თავისუფლად გაისეირნო, ან წამოწვე მის ცხვირზე, რომელიც თავისი ზომით საწოლს არ ჩამოუვარდება, ასეთია ამ ფიგურების სიმაღლე. მათ შორის უდიდესია დაუმთავრებელი ფიგურა, რომლის სიმაღლე ოცდაორ მეტრს აღწევს. როგორ მოახერხეს ამ იდუმალი წარსულის გონიერებმა ორი სპილოს წონა ქანდაკების მაღლობზე ატანა, როცა არ იყო ამწეები, მანქანები, კუნძულზე კი ტყე არ არის?!.. ამას მოსდევდა უკანასკნელი პროცედურა – თავზე ადგამდნენ ცილინდრის ფორმის, განსხვავებული მოწითალო ფორმის ქუდს, რომლის წონა ორიდან ათ ტონამდე აღწევდა; ასეთ ქუდს პუკაო ერქვა, რაც ნიშნავს თმის კულულებს, (**ტურ ჰეიერდალი,** აღდგომის კუნძულის..., გვ. 110, 126.) – დასძენს ტურ ჰეიერდალი.

ეს თავსაბური, იყო მეგრული ყაბალახი, რომელიც ჰიერდალისათვის უცნობი იყო.

**„პუკაო"** – ყაბალახების მოცულობა იყო ექვსი კუბური მეტრი, ხოლო გიგანტი ქანდაკებების წონა ორმოცდაათ ტონას აღწევდა.

ტურ ჰეიერდალი აღნიშნავს: **„მშენებლობის ტექნიკა, რითაც თავი ისახელეს ინკებმა, შეტანილი იქნა აღდგომის კუნძულზე იმ დროს, როცა თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ის შეიტანა იმ კულტურულმა ხალხმა, რომელმაც პირველმა შედგა ფეხი კუნძულზე."** – შემდეგ აგრძელებს: **„პირველ რიგში მე გამაოცა იმან, რომ ჩვენს წინ მიწაში მდებარე საგანი საოცრად მოგვაგონებდა ინკების წინადროინდელი პერიოდის კოლონა-ქანდაკებებს, რომლებიც ანდებში გვხვდება".**

აქ **„გასაოცარი"** არაფერია! სწორედ ინკებში, აცტეკებში და მაიას ტომებში ცივილიზაცია შეიტანა იბერია-მეგრული ხალხის წარმომადგენლებმა. ამიტომ, ბუნებრივია, ინკების წინადროინდელი პერიოდის **„კოლონა-ქანდაკებები" „საოცრად გავდა"** აღდგომის კუნძულების **„მიწაში მდებარე საგნებს".** სამწუხაროდ, იბერიელების, კოლხ-მეგრელების უშორეულესი წარსულის ისტორიაში არ იყო გაცნობილ-გათვითცნობიერებული ტურ ჰეიერდალი, ამიტომ ვერ გაერკვა აღნიშნულ საკითხებში და **„გაოცებული"** დარჩა! მაგრამ, ტურ ჰეიერდალი იმდენად ნიჭიერი მკვლევარი და მაძიებელი იყო, რომ ინტუიციით, გამოცდილებით, დაკვირვებით მიხვდა, რომ ინკებში **„მშენებლობის ტექნიკა" „შეიტანა იმ კულტურულმა ხალხმა, რომელმაც პირველმა შედგა ფეხი კუნძულზე"** და **„როცა თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია".** კარგადაა ნათქვამი, აქ ყველაფერი თავის რიგზე და თავის ადგილზეა. სწორედ ტურ ჰეიერდალმა, მთელ მსოფლიოში ყველაზე უკეთესად იცის, რომ აღდგომის კუნძულზე **„უმაღლეს წერტილს მიღწეული კულტურა"** შეიტანა ხოტუ მატუამ და მისმა თანამებრძოლებმა, რომ ხოტუ მატუა იყო კუნძულის პირველი თეთრკანიანი მეფე, რომელსაც კუნძულზე უდიდეს პატივს სცემდნენ.

უფრო არასასურველია ის, რომ ევროპისა და ამერიკის მეცნიერები შესაფერისად არ იცნობენ პელაზგ-იბერიის-კოლხეთ-სამეგრელოს უძველეს სასწაულებრივ წარსულს, მის ისტორიას და ჰგონიათ იბერია-კოლხეთის ძველი ისტორიის ძირითადი საკითხებია მხოლოდ, პელაზგ-არგონავტების ლაშქრობა იბერია – კოლხეთში, დიდი აიეტის კოლხეთი, რომ მედეა მთელ მსოფლიოში მედიცინის ფუძის ჩამყრელია, რომ ხალიბებმა პირველებმა დაიწყეს მეტალურგიული წარმოება, რომ კოლხეთი ყურძნის და ღვინის სამშობლოა, რომ კოლხებმა ერთ-ერთმა პირველებმა მოჭრეს მონეტა, რომ კოლხები იყვნენ პირველი გემთმშენებლები და მამაცი მეზღვაურები (იძულებული ვარ ზოგიერთი რამ გავიმეორო). მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ კოლხეთი მსოფლიოს პირველი ქვეყანაა, რომ კოლხური (ქართული) ენა მსოფლიოს პირველი ენაა, რომ კოლხეთი პირველი რელიგიის, რწმენის, ცივილიზაცია-განვითარების მესაძირკვლე, კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანია. კიდევ უფრო საწუხარი ის არის, რომ ყოველივე ამის **„გაგება",** ამის **„ცოდნა"** არ სურთ ქართული მეცნიერების ზოგიერთ წარმომადგენელს.

წინამდებარე წიგნს დართული აქვს **„მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები ძველი კოლხეთის შესახებ",** რომელშიც მოტანილია აღნიშნული გამოჩენილი მოღვაწეების შეხედულებანი, გამონათქვამები, აზრები კოლხეთზე, მის წარსულზე, მის ისტორიაზე, რომლიდანაც ჩანს, რომ კოლხპელაზგებით იწყება სამყაროს ისტორია. ამაზე უკანასკნელ პერიოდში ბევრი იწერება ევროპაში და ამერიკაში, განსაკუთრებით აშშ-ში (ბრაიან საიქსი, კლაუს შმიდტი, ალექსანდრე ვოლკოვი, იური მოსენკისი და სხვები).

ტურ ჰეიერდალი აღდგომის კუნძულის საიდუმლოებათა შესახებ, ერთ ასეთ რეზიუმეს აკეთებს: **„რით დასრულდებოდა ყოველივე ეს? სად იყო საზღვარი შეუძლებლობისა? ეს არავინ იცის, რადგან უფრო ადრე, ვიდრე საზღვარი გამოჩნდებოდა, მოხდა კატასტროფა, რომელმაც შეაჩერა ქვის გიგანტების მღელვარე ლაშქრობა, ყველაფერი მიწაზე დაემხო."**

ტ. ჰეიერდალის ექსპედიციას უსაზღვროდ აინტერესებდა, შეძლებდნენ თუ არა აღდგომის კუნძულზე მცხოვრები გრძელყურებიანები, ისევ, როგორც მრავალი საუკუნეებით ადრე, გიგანტური ქვის ქანდაკების, ერთ ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანას, მათ შორის აღმართზე და ქვიან ადგილებზე, ქანდაკებების აღმართვას და წითელი-მოწითალო უზარმაზარი ქვისგან გამზადებული ე.წ. პუკაოს (ყაბალახის) დახურვას? ტ. ჰეიერდალის თხოვნით, და გასამრჯელოთი, კუნძულის მამასახლისის მეთაურობით ყველა ეს ამოცანა შეასრულეს – გიგანტური ქანდაკებები გადაიტანეს, ფეხზე დააყენეს და ყაბალახიც დაახურეს.

ტურ ჰეიერდალს მიაჩნია: **„კუნძულზე მოვიდნენ ადამიანები ძვალ-რბილში გამჯდარი შრომის წყურვილით, რომელთაც განვითარებული პრაქტიკული ჭკუა ჰქონდათ. მშვიდობისა და სიმშვიდის პირობებში, განუსაზღვრელი დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ მსოფლიოში ყველაზე განმარტოებულ კუნძულზე, არ იცოდნენ მტერი და მეზობლად ჰყავდათ მხოლოდ ვეშაპები და თევზები."** (**ტურ ჰეიერდალი,** აღდგომის კუნძულის..., გვ. 128.)

ტ. ჰეიერდალს აღწერილი აქვს კუნძულზე არსებული მრავალი გამოქვაბული. იყო ისეთი ოჯახიც, რომელსაც ოთხი გამოქვაბული ეკუთვნოდა, რომელშიც ინახებოდა ძვირფასი ნივთები, როგორიც არის პატარა წარწერიანი დაფები – რონგო. რონგო, პატარა ქანდაკებები და სხვ. გამოქვაბულებში ქანდაკებებთან ერთად იყო ქვის ჯამები – შემკული სამი თავით, ასევე ადამიანებისა და ცხოველების გასაოცარი გამოსახულებები, ყველგან მრავლად ეყარა ქვის ნაჯახები. კუნძულზე აღმოჩნდა ფართო ქვაფენილიანი გზები, მოკირწყლული გზები, რომლებიც ჩადიოდა პირდაპირ ზღვაში და გზები იქაც გრძელდებოდა.

აღდგომის კუნძული მსოფლიოს ყველაზე უფრო განმარტოებული ადგილია, ის წყნარი ოკეანის კუნძულებს შორის ყველაზე უფრო მიკარგული კუთხეა.

კუნძულის მაცხოვრებლებმა, კითხვაზე, რატომ აკეთებენ ამას (ქვის გიგანტურ და ასევე ქვის პატარა ქანდაკებებს), უპასუხეს: **„ამით თავს ვიცავთ უწმინდური სულებისაგან, რაც ღამით გამოდის გარეთ".** მაგრამ ჩანს, რომ ეს ქანდაკებები ღმერთების პატივსაცემად იქმნებოდა.

ტურ ჰეიერდალი აღნიშნავს, რომ ნახშირის ანალიზმა გვიჩვენა, რომ **„მარკიზის არქიპელაგის ყველაზე ადრინდელი ქანდაკებები აღმართული იყო დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის 1300 წელს, ანუ დაახლოებით ცხრაასი წლის შემდეგ იმ დღიდან, რაც აღდგომის კუნძულზე პირველი ადამიანი დასახლდა." (ტურ ჰეიერდალი,** აღდგომის კუნძულის..., გვ. 413, 423.) (IVს.) დიდი სამეცნიერო ექსპედიციის მეთაურს, გამოჩენილ მკვლევარს ტურ ჰეიერდალს არ შეიძლება არ ცოდნოდა, რომ მის მიერ აღნიშნულ თარიღამდე (ახ. წ., IVს.) არსებობდა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი, ყველაზე პირველი – აიეტისა და მედეას ქვეყანა – კოლხეთი. სწორედ ამ ქვეყნიდან წარმოშობით იყო (ჰ)ხოტუ მატუა და მისი თანამებრძოლები, რომელი ქვეყნის შვილებიც ფართოდ იყვნენ მოდებული თითქმის მთელს ჩვენს სამყაროს და ყველგან ცივილიზაცია და კულტურა შეჰქონდათ. რატომღაც ტურ ჰეიერდალი არ დაინტერესებულა, რომელი ქვეყნიდან, რომელი რეგიონიდან იყო ხოტუ მატუა, თუ არა, ბევრ საიდუმლოს ფარდა აეხდებოდა, მათ შორის, ათას საიდუმლოებათა კუნძულის – აღდგომის კუნძულის და ამერიკის კონტინენტის მრავალ საიდუმლოებას.

ტურ ჰეიერდალი აგრძელებს: – **„პერუში როცა ესპანელებმა აღმოაჩინეს ინკების სამეფო, პედრო პისარომ ჩაწერა, რომ „ანდების შავგვრემან და ტანმორჩილ ინდიელებს შორის ცხოვრობდა ინკების გაბატონებული მოდგმა. ეს იყო ტანმაღალი, თვითონ ესპანელებზე უფრო თეთრი კანის მქონე ადამიანების ტომი",** აქაც გასაკვირია, რატომ არ მიუთითა ტურ ჰეიერდალმა, ვინ იყვნენ მაღალი ტანის ესპანელებზე უფრო თეთრკანიანი და ქერათმიანი ადამიანები, **„როცა პისარომ ინდიელებს, ჰკითხა, ვინ იყვნენ თეთრკანიანი, და ქერათმიანი ადამიანები, მათ უპასუხეს, რომ ესენი იყვნენ უკანასკნელი შთამომავალნი თეთრკანიანი, წვერიანი (ინდიელებს წვერი არ აქვთ) ადამიანებისა, ვირაკოჩა ღმერთების შთამომავალნი." „რომ ინკების მოსვლამდე დიდი ხნით ადრე ეს შენობები აუგიათ წვეროსანს და თეთრკანიან ადამიანებს. მაგრამ ერთხელ ამ ადამიანებმა მიატოვეს ეს ქანდაკებანი და კედლები და თავიანთი ბელადის კონტიკი ვირაკოჩის წინამძღოლობით გაემართნენ კუსაკოში, შემდეგ კი წყნარ ოკეანეში. ზედწოდება ვირაკოჩა, ანუ „ზღვის ქაფი" მათ იმიტომ მიიღეს, რომ თეთრი კანი ჰქონდათ და ზღვის ქაფივით გაქრნენ გრძელყურიანები? – „ეს ჩვეულება შემოტანილია გარედან, მათმა პირველმა მეფემ, რომელიც სამოცი დღე მოცურავდა აღმოსავლეთიდან მზის დასავლის მიმართულებით, თან ჩამოიყვანა პირველი გრძელყურიანები."** ერთი ასეთი მნიშვნელოვანი კითხვა: **„...წვერითა და ინკური ცხვირით საიდან მოვიდნენ ისინი?"** სვამს ამ კითხვას ტურ ჰეიერდალი, მაგრამ ვერ პასუხობს (ეს არის არა ინკური ცხვირი, არამედ ულამაზესი ქართული არწივისებური ცხვირი.)

ვლადიმერ ალფენიძემ 1999 წელს, შემდეგ განმეორებით, 2002 წელს, წამოაყენა დებულება, რომ ქართულმა ტომმა კოლხუამ კოლუმბამდე მრავალი საუკუნით ადრე ამერიკა აღმოაჩინა, სადაც ატლანტიდური ცივილიზაცია დაამკვიდრეს (ამერიკაში მიმოსვლა ზღვით ხდებოდაო). 2007 წელს ადამიანის გენეტიკის სპეციალისტ მეცნიერებმა (აშშ) აღმოაჩინეს, რომ ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიელები არიან (მაშინ სამხრეთ კავკასია და თითქმის მთელი კავკასია კოლხური მოსახლეობით იყო დასახლებული). როგორც აღვნიშნეთ, ევროპის **„დის"** კლანებიდან უძველესია ქსენია-ზანას (დალის) კლანი, რომელიც ჩამოყალიბდა 25 ათასი წლის წინ და ბოლო დიდ გამყინვარებამდე გავრცელდა. მთელს ევროპაში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის, რომ ქსენია-დალის გენი (ჯიში) აღმოაჩნდა ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთი ინდიელი ტომის წარმომადგენლებსაც.

ამერიკელ მეცნიერთა აზრით, აღნიშნული კლანი ევროპის ათვისების შემდეგ, დიდი გამყინვარების დროს გადასულა ჩრდილოეთ ამერიკაში და იქაც დაფუძნებულა.

ყველაფერი ამის თქმა იმიტომ დაგვჭირდა, რომ ტურ ჰეიერდალმა, ალბათ, ძველი საქართველოს ისტორიის შესაფერისად უცოდინარობის გამო, ვერ გაიგო იბერიულ-კოლხურ-მეგრული სამყაროს გავრცელების არეალი და ვერც ხოტუ მატუას (რომელსაც თავის შრომებში ბევრჯერ ახსენებს თვითონაც, და მთელი აღდგომის კუნძულის მცხოვრებლები ხოტბას ასხამენ და აღმერთებენ) და საერთოდ მეგრელ-იბერების მისიონერულ როლს ვერ ჩაწვდა.

გაზეთმა **„ალიამ"** გამოაქვეყნა მასალა სათაურით: **„შექმნილია პრეპარატი, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს გაახანგრძლივებს",** რომელშიც ნათქვამია: **„შეიქმნა უახლესი თაობის პრეპარატი, სახელწოდებით რაპაგიცინი. იგი დამზადებულია ბაქტერიებისაგან, რომლებიც აღდგომის კუნძულების ნიადაგში აღმოაჩინეს და რომელსაც სიცოცხლის გახანგრძლივება შეუძლია".** (შექმნილია პრეპარატი, რომელიც სიცოცხლეს ახანგრძლივებს, გაზ. **„ალია",** 2011, 149-18 ივლისი, №54, გვ. 21.)

ეს რომ წავუკითხე ქალაქ ონში მცხოვრებ მწიგნობარს, განათლებულ მეგობარს, სიცილით და სიხარულით მითხრა: თქვენ მეგრელებს მიწაც განსხვავებული გქონიათ, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ახანგრძლივებს, აღდგომის კუნძული ხომ ჰოტუ მატუას სამფლობელო იყო; ჩემი რაჭაც ხომ, ძველ დროში კოლხეთი იყო. უფრო გვიან სამეგრელოს სამთავროში შედიოდა და სადადიანო იყო.

მკვლევარ რევაზ ერისთავის წიგნის **„მზის შვილების"** რედაქტორი წერს: ნაშრომი **„ეხება დედამიწაზე ბიბლიური წარღვნის შემდეგ, მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის შემქმნელ ხალხს – იბერებს, მათი აზროვნებისა და კულტურის განთესვას მთელს ჩვენს პლანეტაზე".**

ამ ნაშრომში ასევე განხილულია მეგრულ-ლაზური ტომების ერთი ნაწილის მიგრაცია მთელს დედამიწაზე. მათი ენის აშკარა გავლენა მსოფლიოს ხალხთა ენებზე, რელიგიური ტერმინოლოგიისა და ტოპონიმების ჩამოყალიბებაზე (3500-4500წ.წ. ჩვენს ერამდე).

სიუჟეტები, ქარგა აგებულია საოცრებით აღსავსე აღდგომის კუნძულის მაგალითზე. მასში აღწერილია ამ კუნძულზე იბერთა ტომის ბელადის, ხოტუ მატუას მოსვლა თავისი გვარ-ტომით და მასთან დაკავშირებული ფრიად საინტერესო საკითხებით." (**რევაზ ერისთავი,** მზის შვილები, წიგნის რედაქტორს შესავალი წერილი.) გასაკვირი ის არის, თუ როგორ შეძლო კუნძულზე მცხოვრებმა ერთმა მუჭა ხალხმა, რომელთაც ცხოვრების პრიმიტიული პირობები ჰქონდათ, არ გააჩნდათ რკინა, მანქანები, გამწევი ძალა და სხვა საშუალებანი, ასეთი გაბარიტების მქონე ქვის კერპების შექმნა?

კუნძულის თეთრკანიანი მცხოვრებლები შედარებით მაღლები იყვნენ, ჰგავდნენ ევროპელებს და არავითარი საერთო არ ჰქონდათ ფერადკანიან აბორიგენებთან.

უზარმაზარი ქვის გოლიათური ლოდები ისეთი სიზუსტით იყო გაკეთებული, რომ ისინი მჭიდროდ ეკვროდნენ ერთმანეთს, არ იყო გამოყენებული არავითარი შემაერთებელი სითხე ან რაიმე შემაკავშირებელი საშუალება.

რევაზ ერისთავი აღნიშნავს: რომაელი პოლიტიკური მოღვაწე და ისტორიკოსი მარკუს ტერნეციუს ვარონი (116-27წ.წ. ჩვენს ერამდე) – პომპეის ელჩი ესპანეთში, ნაშრომში **„სიძველენი"** წერს, რომ იბერიელები, რომლებიც მოვიდნენ და დასახლდნენ იბერიის (ახლანდელი ესპანეთი) მიწა-წყალზე არიან კოლხეთიდან – საქართველოდან წამოსულები (ჩვენს ერამდე XV საუკუნე). რომლებმაც თავიანთი მიწა-წყალი დატოვეს მიწისძვრებისა და სხვა კატაკლიზმების გამო. თავდაპირველად ისინი დასახლდნენ კატალონიასა და არაგონიაში, მხოლოდ შემდეგ გადასახლდნენ ბისკაის ყურის სანაპიროზე. ასე რომ ქართველი ტომები – იბერები (ე. ი. ძველი კოლხები) 3500 წლის წინათ დასახლდნენ ბასკონიაში. როგორც ითქვა, აპიანე (II ს. ჩვენს ერამდე) წერდა, რომ კავკასიის იბერები და ესპანეთის იბერები ნათესავები არიანო. გარდა მარკუს ტერნეციუს ვარონისა, ამ მოსაზრებას იზიარებდნენ როგორც აპიანე, ისე დიური, დე მორგანი, დერინგი და სხვები. ძველი რომის უდიდესი ისტორიკოსი და ასევე არანაკლებ დიდი სკეპტიკოსი აპიანე კატეგორიულად ამტკიცებდა თავის მოსაზრებას. გამოჩენილი მეცნიერი კ. ულენბევი კი თვლის, რომ გენეტიკის თვალსაზრისით პირენეისა და კავკასიის განცალკევება ყოვლად დაუშვებელია.

**კლიმენტი შელია,**
**პროფესორი,**
**მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# სასკოლო წიგნების ფასს მასზე მიბმული რვეულები აორმაგებს

სასკოლო სახელმძღვანელოების გაყიდვის წესის ცვლილებამ მშობელთა ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ფიქრობენ, რომ გაყიდვის ეს ცვლილება მათთვის უფრო მეტი სირთულის მომტანი იქნება. ამის გარდა, ისინი წიგნების ფასებსაც აპროტესტებენ და ამბობენ, რომ მათი შეძენის საშუალება არ აქვთ.

სასკოლო სახელმძღვანელოები მთელი ქვეყნის მასშტაბით 10 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით 400 სკოლასა და სავაჭრო ობიექტში გაიყიდება.

როგორც განათლების სამინისტროში განმარტავენ, სკოლებში სახელმძღვანელოები ისე გადანაწილდება, რომ წიგნების შეძენას მომიჯნავე სკოლების წარმომადგენლებიც შეძლებენ. მათივე ინფორმაციით, სახელმძღვანელოს მაქსიმალური ფასი 10 ლარი იქნება.

2012-2013 სასწავლო წელს 1 069 530 სასწავლო სახელმძღვანელო 1-დან მე-12 კლასის ჩათვლით, 128 919 მოსწავლეს სახელმწიფოსგან უფასოდ გადაეცემა. სასკოლო სახელმძღვანელოს უფასოდ მიიღებენ: სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრები (70001-ზე ნაკლები ქულით); იმ ოჯახების მოსწავლეები, სადაც ერთდროულად სამი ან მეტი სკოლის ასაკის მოსწავლეა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოადგილე გიორგი ჩახნაშვილი ჟურნალისტებთან საუბარში ამბობს, რომ მშობლებს წიგნების შეძენა საქართველოს ფოსტის მეშვეობითაც შეუძლიათ. ვებგვერდის ან ტელეფონის საშუალებით გამოწერილ სახელმძღვანელოებს თბილისში მოსახლეობა გამოწერიდან 24 საათის განმავლობაში, ხოლო რეგიონებში 48 სააათის განმავლობაში მიიღებს.

„განათლებისა და მაცნიერების სამინისტროს საიტზე დაწვრილებითაა მითითებული, რომელ სავაჭრო ობიექტებსა და სკოლებში გაიყიდება წიგნები. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ აქედანაც მიიღონ ინფორმაცია.

რაც შეეხება რეგიონებს, იმ სკოლებს, რომლებიც რაიონული ცენტრიდან მოშორებულია, მათ სპეციალური მანქანები მოემსახურებათ. სკოლას შეეძლება შეუკვეთოს წიგნები და სახელმძღვანელოებს ადგილზე მიუტანენ. ეს მომსახურება წიგნის ფასს არ გაზრდის. ყველა დისტრიბუტორი ვალდებულია, რომ წიგნის ღირებულება არ აღემატებოდეს წიგნის უკანა გვერდზე მითითებულ ფასს.

იგივე ხდება ფოსტით სარგებლობის შემთხვევაშიც. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია წიგნები ინტერნეტის ან ტელეფონის მეშვეობით გამოიწეროს. ყველა წიგნის ფასი ჩვენს საიტზევეა მითითებული",– ამბობს გიორგი ჩახნაშვილი.

მისივე თქმით, წიგნის ფასში, რომელიც 10 ლარს არ აღემატება, იმ სავარჯიშო და საკონტროლო რვეულების ღირებულებაც შედის, რომლებიც წიგნებს მოყვება.

„წიგნის ღირებულებაში, რვეულების ფასი, უმეტეს შემთხვევაში შედის. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში რვეული წიგნზე უფრო დიდია და მისი ფასი წიგნის ფასში ვერანაირად ვერ შევა.

მოსწავლეებს 1-6 კლასებში წინა წელს ნაქონი წიგნები გამოადგებათ. რაც შეეხება 7-12 კლასებს, მათ მომდევნო წლიდან შეეძლებათ ნაქონი წიგნებით სარგებლობა. ყველა სკოლა ვალდებულია, რომ უახლესი 5 წლის განმავლობაში წიგნები არ შეიცვალოს. ანუ, უახლოესი 5 წელი მოსწავლეებს შეეძლებათ და-ძმის წიგნებით ისარგებლონ.

ასევე, სახელმძღვანელოები, რომელთაც სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილებს ვაძლევთ, მათი საკუთრება არ არის. ისინი ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დასრულებისთანავე წიგნები სკოლას ჩააბარონ და მომდევნო წელს სკოლის ადმინისტრაცია თავად გადასცემს მათ სხვა სოციალურად დაუცველ ბავშვებსა თუ მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენლებს." მინისტრის მოადგილის ნათქვამს ჩვენი რესპოდენტი მშობლები არ ეთანხმებიან და ამბობენ, რომ დამატებითი რვეულები, არცერთი სახელმძღვანელოს ფასში არ შედის.

მზია ნიქაბაძეს მეექვსეკლასელი შვილისთვის წელს 10-ზე მეტი წიგნის ყიდვა მოუწევს. მიუხედავად იმისა, თავად წიგნის ფასებიც არ არის დაბალი და საერთო ჯამში, მას სოლიდური თანხის გადახდა უწევს, კმაყოფილი იქნებოდა, მხოლოდ წიგნებში რომ ხარჯავდეს ფულს. თითოეულ წიგნს საშუალოდ 2-4 რვეული მოყვება, რომლის ღირებულებაც მშობელმა ცალკე უნდა გადაიხადოს.

„შარშან 10 წიგნის ყიდვა მოგვიწია და წელს კიდევ უფრო მეტი საგანი უნდა ისწავლონ. ანუ, უფრო მეტი ფულია საჭირო. პრობლემა ისაა, რომ ყველა წიგნს, მინიმუმ 2 რვეული მაინც მოყვება. ზოგს 3-4-იც კი. ცალკეა სამუშაო რვეული, ცალკე საკონტროლო, ტესტები და ა.შ. მათემატიკის წიგნს, მაგალითად, 3 რვეული მოყვება. მათი ფასი წიგნის ღირებულებაში არ შედის. სათითაოდ მათში გარკვეული თანხის გადახდა მიწევს.

ზოგი რვეული 3 ლარი ღირს, ზოგი – 2 ლარი და ა.შ. ლარნახევარზე ნაკლები არც ერთი მათგანი არ ღირს. შარშან ინგლისურის რვეულები თითო 5 ლარიც კი ღირდა. ზოგიერთი რვეულის ყიდვის აუცილებლობა სულაც არ არის, იმდენად უბრალოდ გაკეთებულია.

მაგალითად, შარშანდელ ინგლისურის წიგნს ლექსიკონისთვის განკუთვნილი რვეული მოყვებოდა. არაფერი განსაკუთრებული არ იყო, უბრალოდ ფურცლის შუაში ხაზი იყო ჩამოსმული.

მაგას მე ვერ გავაკეთებდი ჩვეულებრივ რვეულში? მაგრამ მასწავლებლები ითხოვენ, რომ ვიყიდოთ. ის რვეული ჩვეულებრივთან შედარებით სამჯერ უფრო ძვირი ღირდა",– აცხადებს ქალბატონი მზია ჟურნალისტებთან საუბრისას.

მისივე თქმით, მთლიანი კომპლექტის ყიდვა გასულ წელს 170 ლარი დაუჯდა, ახლა კი ვარაუდობს, რომ უფრო მეტის გადახდა მოუწევს.

„თუ წიგნი 10 ლარი ღირს, მაგას ასე 6-7 ლარი რვეულების ფასი ემატება – ზოგს მეტიც კი. საერთო ჯამში, საკმაოდ დიდი თანხა გამოდის. შარშან მარტო წიგნები დაახლოებით 100 ლარი დამიჯდა და რვეულებმა ეს თანხა 150-170 ლარამდე გაზარდა. მე ერთიანად ვერ ვიყიდე და რვეულები მოგვიანებით, ნაწილ-ნაწილ შევიძინე, მაგრამ რა, ნაწილ-ნაწილ ყიდვა არ აზარალებს ოჯახის ბიუჯეტს? ვინც ერთიანად იყიდა 170 ლარი დაუჯდა მთლიანი კომპლექტი. წელს ალბათ მეტის გადახდა მოგვიწევს.

გარდა მაგისა, ბავშვს ათასი სხვა ნივთი სჭირდება – ფანქრები, კალმები, სახაზავები, ფარგალი და ა.შ. ჩანთაზე, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე აღარ მაქვს საუბარი",– ამბობს მზია ნიქაბაძე.

ქალბატონი ნანა კი 2 შვილის დედაა. მისი უფროსი ბიჭი მე-7 კლასელია, უმცროსი გოგონა კი მე-5. ორივე მოსწავლეს ერთად, მინიმუმ 20 წიგნის ყიდვა უწევს თავის რვეულებიანად. ქალბატონი ნანა შიშობს, რომ შვილებისთვის სახელმძღვანელოების ყიდვას ვერ შეძლებს.

„მითხარით, როგორ ვიყიდო ბავშვებისთვის დაახლოებით 300 ლარის წიგნები და რვეულები, როცა ოჯახის შემოსავალი თვეში მხოლოდ 400-500 ლარია?! მარტო წიგნებში რომ ამხელა თანხა გადავიხადო, ბავშვებს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჩანთებიც ხომ უნდათ? მერე მთელი თვე მშივრები მყავდეს?

ან ეს რვეულები რაღა უბედურებაა? კიდევ ერთი გზა გამონახეს ხალხისთვის ფულის წასართმევად?! ჩვეულებრივ რვეულებში რომ ეწერათ ბავშვებს რა მოხდებოდა? ჩვეულებრივი რვეული 40 თეთრი ღირს და წიგნებს რომ მოყვება, ისინი 3-4 ლარი.

ათჯერ ძვირი რატომ უნდა გადავიხადო? თან წიგნების უმეტესობას 3-4 რვეული მოყვება. რომ გაიძახიან წიგნები იაფია, 10 ლარზე ძვირი არ ეღირებაო, იმას რატომ აღარ ამბობენ, რომ ერთი მაგდენი რვეულებში უნდა გადავიხადოთ? ანუ, თითო წიგნი 10 ლარი კი არა, 20 ლარი ღირს!" – აცხადებს ქალბატონი ნანა.

თ. მათეშვილი

# „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას ლოპოტას სპეცოპერაციის გამო აკრიტიკებს

ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციურმა კოალიცია **„ქართულმა ოცნებამ“** ხელისუფლება დაადანაშაულა იმაში, რომ მისთვის ჩვეული სულსწრაფობით მოიქცა ლოპოტას ხეობაში სპეცოპერაციის ჩატარების დროს.

ქართული სპეცსამსახურების სამი წარმომადგენელი, მათ შორის, ერთი სამხედრო ექიმი და შეიარაღებული ჯგუფის 11 წევრი დაიღუპა 29 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს საზღვრის დაღესტნის მონაკვეთის სიახლოვეს მომხდარი შეტაკების დროს.

მას შემდეგ, რაც მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ სპეცოპერაციას პანკისის ხეობის რამდენიმე მკვიდრი ემსხვერპლა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძულებული გახდა, შეეცვალა თავისი თავდაპირველი განცხადება, რომ მოკლულ მებრძოლთა შორის საქართველოს მოქალაქეები არ იყვნენ და 3 სექტემბერს დაადასტურა, რომ ორი მოკლული მებრძოლი საქართველოს მოქალაქე იყო. მან, ასევე, განაცხადა, რომ დანარჩენი ხუთი, რომელთა ცხედრების იდენტიფიცირებაც მოხდა, რუსეთის მოქალაქე იყო, კერძოდ, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მკვიდრები.

გავრცელებულ განცხადებაში კოალიცია **„ქართულმა ოცნებამ“** დაგმო ხელისუფლების **„დანაშაულებრივად უპასუხისმგებლო საინფორმაციო პოლიტიკა“.**

**„სრულიად აშკარაა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო რამდენიმე დღის განმავლობაში საგულდაგულოდ უმალავდა საკუთარ მოსახლეობას სოფელ ლაფანყურთან ლიკვიდირებული ადამიანების ვინაობას და ურცხვად ტყუოდა, თითქოს მათ შორის არ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები“,** – ნათქვამია განცხადებაში.

**„იმავდროულად, ვრცელდება შემაძრწუნებელი დეტალები დაღუპული თანამოქალაქეების ნათესავებზე მორალური ზეწოლისა და გარდაცვლილთა ნეშტებით მათთან პირდაპირი ვაჭრობის თაობაზე“,** – აცხადებს **„ქართული ოცნება“,** რომელიც პანკისის ხეობიდან გავრცელებულ ინფორმაციას გულისხმობს, რომლის თანახმადაც, ხელისუფლება ცდილობდა, აღეკვეთა ინფორმაციის გაჟონვა მედიასაშუალებებში და ეუბნებოდა ადგილობრივებს, რომ სპეცოპერაციის დროს დაღუპულები ჩუმად, ჟურნალისტების დასწრების გარეშე, დაეკრძალათ.

**„ასეთი დამოკიდებულება ბუნებრივად იწვევს საზოგადოების სამართლიან გაღიზიანებას და აძლიერებს ეჭვებს ისედაც ნდობადაკარგული ხელისუფლების მიმართ. როგორც ჩანს, პრეზიდენტ სააკაშვილს აწყობს, მუდმივად ამყოფოს საზოგადოება განსაცდელის მოლოდინის მდგომარეობაში და ამ გზით დათრგუნოს მოქალაქეთა თავისუფალი ნება“,** – ნათქვამია განცხადებაში.

**„გარდა ამისა, იმ მწირი და წინააღმდეგობრივი ინფორმაციითაც კი, რასაც ხელისუფლება ავრცელებს, რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ შემთხვევაშიც ხელისუფლება მისთვის ჩვეული სულსწრაფობით მოიქცა და სპეციალური ოპერაცია დაიწყო იმ ვითარებაში, როცა სრულად არ იყო ამოწურული მოლაპარაკების რესურსი და რჩებოდა მსხვერპლის თავიდან აცილების თუნდაც მინიმალური შანსი“,** – განაცხადა **„ქართულმა ოცნებამ“.**

## პოეზიის კუთხე

### ჩქიმი ბები

ოჭიშ გოდირაკილ გაფუ,
სი ხანდაქუ მორპუროსქუ,
თომაქ ადრე გერჩიალუ
მალას ღორონთ ქოდოიძახუ.
თეზმა სქუაშ მარდუალცუ
ხოლო ჯგირო გიდგუ შური,
გურც დაჩხირი გონტუდ ირო
ხოლო ძალამ მუკოსქიდი.
ქომონჯქ ადრე მეგიდინუ,
უჩათ გინწერ დო გიძვაძვი,
კოჩის ტყობას გალე-გალე
ჩილამურით გილენგარდი.
სქუალეფი თეში მორდი,
კოცუ ვაშუ სქანი ნინა,
მოთალებცუ უსოფუა,
ბრელ ხანც გოკო ხოლო რინა.
ღორონთ დუგორინუანცუ,
ჩქიმი გემუანი ბები,
სქანდა ვარე ორაგადე
მიკირთ-მოკირთ, ეშე გედი.
სქვერიშორო გილასხაპუ,
გიჩქუ სქან დო შხვაში ფასი,
დიდხანც გილაილენდუდასუ
მარდუალი, ჩქიმ დო შხვაში.

როზმირ გოგენია.

### დაასხით ღვინო

დაასხით ღვინო, რომ დავილოცოთ,
სანამ წავედით მარად უკუნეთს.
არ ვართ მესია და არც უხორცო,
ჩვენია მხოლოდ დღე-საუკუნე.
გულით შეუნდოთ ვინც საპყარია,
შემოდგით ღვინო მაღლა „ბედონით“,
ვინძლო დღეს ჩვენი გასაყარია,
ეგებ მოგვადგა არმაგედონი.
მაგრამ მე, ძმებო, არ ურჩევ მოკვდავს
ცხოვრების ზღვაში არმად იცუროს,
სანამ გონების ნათელი მოკვდა,
მომავლის რწმენა არ გადიწუროს.
გონება სიბრძნით დაგვიგეშია,
ვერას დაგვაკლებს სუსხი ზამთარის,
დაასხით ღვინო, გეტყვით ეშხიანს,
პატარა ლექსებს ამ მზის და მთვარის.
დაასხით ღვინო, სანამ მწყურია,
ნუ დამამადლით ღვინო-ელექსირს,
ქალის ტუჩივით რა მაცდურია,
მაინც ღვინოა უპირველესი.
დაასხით ღვინო, მორჩით ბოდიალს,
გულთან ვარამი არ გაიკაროთ,
ქალი მოიცდის, მგელი როდია,
ტყეში გაიქცეს, ან გაიპაროს.
გეყოთ მღვდელივით ენის ტარტალი,
მიდი თამადავ, ჰო, კაპიტანო!
ღვინით შემივსეთ ლუდის ბოკალი,
გოლი ცხრიანში რომ გავიტანო!
ნეტავ უღვინოდ რა გაგვაცინებს,
შევიმსუბუქოთ გულის დარდები,
მერე რად გვინდა, რომ გაგვაცილებს,
ღვინო, მუსიკა, ცრემლი, ვარდები.
მომართე ჩანგი, აბა მაესტრო,
თამადავ – შენ ხარ სუფრის განმგები,
ვინც გვერდითაა, თუ ვერ მოესწრო
მათ საკადრისი უძღვნათ ჰანგები.
დაასხი ბიჭო, ცოლიკაური,
ძარღვებში ცეცხლად გაიბრიალოს,
კოლხა-აიას ეშხით, აურით
მეგრულმა სუფრამ დაიგრიალოს.

ჯემალ ჯიქია

# რამდენიმე დღეში არჩევნებია – დაფიქრდი – ნუ აირჩევ სატანას!

## შენ, ჩემო თანამემამულევ, ძმავ, დაო, შვილო და მეგობარო, ნუ აირჩევ სატანას, რადგან:

– სატანა ჰყოფს, უფალი კი აერთიანებს!

– სატანამ ოფიციალურად გაანახევრა საქართველო და იგი მას არასოდეს გააერთიანებს!

– სატანა მალე გაამეოთხედებს საქართველოს!

– სატანამ მოჰკლა ზურაბ ჟვანია, გურამ შარაძე, სანდრო გირგვლიანი და სატანამ ჩახოცა მხეცურად, ქალაქის ცენტრში, სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდები!

– სატანამ გარეკა საქართველოდან, ლუკმა-პურის საძებრად, დამშეულ-გაღატაკებული ქართველები და მათ ნაცვლად შემოთესლა საქართველოში გადამთიელები!

– სატანა ცდილობს ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდოს ქართველები და გააჩაღოს სამოქალაქო ომი, რაც საქართველოს საბოლოოდ დაშლას და განადგურებას უქადის!

– სატანა ანადგურებს მდიდარ ქართულ ტრადიციებს და რყვნის ისტორიულად ლამაზ და წესიერ ქართველ ხალხს!

– სატანა მდიდრდება ქართველი ხალხის გამათხოვრების ხარჯზე!

– სატანა ცრუობს უსირცხვილოდ, მუდამ ატყუებს ხალხს, ხოლო ვინც მის სიცრუეს არ დაიჯერებს, მასზე ძალადობს და კლავს კიდეც!

– სატანა მეგობარს მტრად წარმოგიდგენს, მტერს კი მეგობრად გჩრის ცხვირში!

– სატანა ანგრევს, იპარავს და თავხედურად ითვისებს ხალხის საკუთრებას და სახალხო დოვლათს!

– სატანა თავისთვის სასახლეებს იშენებს, მაშინ, როცა უბრალო ხალხს თავზე ჭერი ექცევა!

– სატანა კლავს ეკონომიკას, სოციალურ სფეროს, მეცნიერებას და აღაზევებს ჰომოსექსუალიზმს, ლესბოსელობა, პროსტიტუციას და ნარკომანიას!

– სატანა თავად არის მექალთანე, ლოთი და გარყვნილი ნარკომანი!

– სატანა სისტემატურად უზრდის ხალხს ტარიფებს, აძვირებს ენერგორესურსებს, კვების პროდუქტებს, სამედიცინო მმომსახურეობას, სამკურნალო პრეპარატებს და ნელი სიკვდილისათვის სწირავს ხალხს!

– სატანა უცხო მიწაზე, სასიკვდილოდ ერეკება ქართველ ჯარისკაცებს!

– სატანა ანგრევს რელიგიურ მრწამსს და დაუნდობლად ებრძვის ეკლესიას!

– სატანა უზრდის ქვეყანას საგარეო ვალს და მუდმივ კაბალას უმზადებს მას, რადგან მისი მტრული მოქმედებებით გაღატაკებული სახელმწიფო ვერასოდეს გადაიხდის ამ ვალს!

– სატანა ხარხარებს და მღერის მაშინ, როცა ხალხი გასაჭირისაგან ტირის!

– სატანა დემოკრატიის ნიღბით ქმნის დიქტატურას და ცინიკურად იჩემებს მის მიერვე დანგრეული სახელმწიფოს აღმაშენებლის ტიტულს!

– სატანა აწიოკებს თავისუფალ ბიზნესს და ქმნის მონოპოლიურ გარემოს, რაც მძიმე ტვირთად აწვება ხალხს!

– სატანა მუდამ თავხედობს და ანგარიშს არ უწევს არავის, თვით უფალსაც კი!

ნუთუ, ყოველივე ეს, ეს არ არის იმდენად სარწმუნო, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმა არ მისცე სატანას?

თუ ევროპელები და ამერიკელები ვერ ამჩნევენ საქართველოში მათ მიერვე შემოთესლილ სატანას, მაშინ ჩვენ უნდა განვუცხადოთ მათ, რომ საქართველოში სატანის მმართველობის ჟამი ამოიწურა!

სატანა კი ბორგავს, სიკვდილივით ეშინია არჩევნების წაგების, რადგან ეს მხოლოდ მისი პოლიტიკური სიკვდილი არ იქნება და მას აუცილებლად მოუწევს პასუხისგება მრავალ დანაშაულის ჩადენასა და უკანონობაზე!

სატანა ბორგავს, ცდილობს მის მიერ დაშინებულ და თვალდაბნეულ ხალხს თავი მოაწონოს და მხოლოდ მომავლის გეგმებზე ესაუბრება ამომრჩეველს, რადგან წარსულში სასიკეთო და სასარგებლო არაფერი გაუკეთებია ხალხისათვის!

ვერც გააკეთებს, რადგან სატანა მხოლოდ პირად სარფზე ზრუნავს და დამშეული ხალხის ბედი დიდად არ ანაღვლებს!

სატანა ხალხს აშინებს პოლიციით, ჯარით, არარსებული საგარეო საფრთხით და თან ყველას უჩიჩინებს: “არჩევნებს მაინც ჩვენ მოვიგებთ, ამიტომ, გიჯობთ ხმა კვლავ ჩვენ მოგვცეთო”.

არ მოტყუვდეთ!

სატანა ძალისა და სიცრუის გამოყენების გარეშე ისეთი არარაობაა, გერმანელები რომ ამბობენ: “Loch end loch” (ხვრელი ხვრელში).

მხნედ დადექით, ჩვენო ძმებო, მეგრელებო!

თქვენ ხომ უშიშარი სული წინაპართაგან მოგდევთ და შიშის გამოვლინება სწორედაც რომ წინაპართა ხსოვნის შეურაცხყოფა იქნება!

ნუთუ ეჭვი გეპარებათ, რომ დღეს საქართველოს ქართველთმოძულე ხელისუფალი ჰყავს?

ამიტომ, სირცხვილია, რომ მეგრელებს სხვა კუთხის შვილებმა გვაჯობონ საქართველოს სიყვარულში!

**არჩევანი შენზეა, ქართველო ხალხო!**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოში 1990 წლის აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით და ზოგიერთი პარტიის უკადრის მცდელობათა შესახებ-საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება და მისი ოპოზიცია ხშირად ერთნაირად იქცევიან, რამეთუ ისტორიული და პოლიტიკური მეხსიერება ღალატობთ. შეგნებულად ივიწყებენ ან არ ახსოვთ ისეთი მნიშვნელოვანი თარიღები, რაც დაკავშირებულია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასა და გამარჯვებასთან, რის შედეგადაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ბოლო ათი დღის მანძილზე, ვაკვირდებით და ვერ აღმოვაჩინეთ თუნდაც ერთი ფაქტი, ან მინიშნება, რომ ორივე მხარეს გაეხსენებინა 1990 წლის აგვისტოს მოვლენები, როცა საბჭოთა რეჟიმის მკაცრ პირობებში ათეულ ათასობით მამულიშვილის ქუჩაში გამოსვლითა და დამოუკიდებლობის კატეგორიული მოთხოვნით, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გამარჯვებას მიაღწია; მშვიდობიანი და სამართლებრივი ზეწოლის შედეგად, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო კანონი მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების შესახებ, რის საფუძველზეც საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული თავისუფალი არჩევნები.

**„9 აპრილის“** საზოგადოება და ახალი ეროვნული მოძრაობა **„სამშობლო“** ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ მთავარია ქვეყანაში კანონიერების, ანუ ლეგიტიმურობის აღდგენა და ერთიანობა. როდესაც ბ-ნი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე ქვეყნის გადარჩენის პრეტენზიით (2011 წ. ოქტომბერი), ჩვენ ვურჩიეთ კანონიერების აღდგენასა და ეროვნულ ერთიანობაზე ეზრუნა, ხელი შეეწყო თბილისში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომის მოწვევა-გამართვისათვის. მას 6 წერილი (მიმართვა) გაეგზავნა და დღემდე არ პასუხობს.

დღევანდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებელია განვჭვრიტოთ არჩევნების სავარაუდო შედეგები. **„ქართული ოცნება“** მოხვდება ხუთეულში (არ იქნება გამარჯვებული). ის ამჟამად მე-2 ან მე-3 ადგილისათვის იბრძვის. ლეიბორისტული პარტია შეიძლება ხუთეულში მე-4 ან მე-5 ადგილზე გავიდეს, ან საერთოდ, პარლამენტის მიღმა აღმოჩნდეს.

ოპოზიციურ პარტიებს ჰყავთ დაქირავებული კონსულტანტები, ე.წ. **„პიარშჩიკები“**, რომლებიც ფაქტობრივად წარმართავენ მათ საქმიანობას. ამჟამად, მათი რჩევით, ოპოზიციური პარტიებისათვის ერთგვარი ხსნა აღმოჩნდა კანონიერი ხელისუფლების დეპუტატებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრების ჩათრევა მათ საარჩევნო კამპანიაში. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ გროზნოში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნულია: არავითარი თანამშრომლობა ხუნტასთან, დიქტატორ ე. შევარდნაძესთან. მიუხედავად ამისა, უზენაესი საბჭოს ზოგიერთი დეპუტატი **„გაიყიდა“** და შევიდა ე. შევარდნაძის პარლამენტში. ზოგი ამჟამადაც შედის ე. შევარდნაძის მემკვიდრე მ. სააკაშვილის პარლამენტში (მონაწილეობს არჩევნებში). ეროვნულ მოძრაობს ჰყავს მოღალატეები (ა. ასათიანი, გ. სანიკიძე და სხვ.). ამჟამად ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების ჩათრევა გარკვეული დაინტერესების შედეგად, დავალებული აქვს ზ. გამსახურდიას ე.წ. თანამებრძოლ (ფულის ტომარას ამოფარებულ) ს. ბრეგაძეს.

ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარის ბ-ნი შ. ნათელაშვილის მხრიდან არის მცდელობა ქვეყანაში ლეგიტიმურობის აღდგენისა. ჩვენ მივესალმებით იმ ფაქტს, რომ ე. შევარდნაძის დიქტატურის დამკანონებელი შ. ნათელაშვილი, რომელიც 1992 წლიდან იყო დიქტატორ ე. შევარდნაძის პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე (ბურჯანაძე-სააკაშვილამდე), მისი ინიციატივით გამოითქვა მცდელობა კანონიერების აღდგენისა. ის მოითხოვს, რომ არჩევნების შემდეგ, პარლამენტის პირველი სხდომა გახსნას კანონიერი ხელისუფლების, ანუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა. მიგვაჩნია, რომ ეს კონკრეტული ფაქტი (ჯერჯერობით ინიციატივა) არის სახელმწიფო დანაშაულის ტოლფასი. თუ მათ ლეგიტიმურობის აღდგენა უნდათ, უწინარესად უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ თბილისში, განაახლოს ფუნქციონირება (გარკვეული ვადით) და დანიშნოს ლეგიტიმური არჩევნები, როცა ისინი ამას საჭიროდ მიიჩნევენ.

**„9 აპრილის“ საზოგადოების თავმჯდომარე და ახალი ეროვნული მოძრაობა „სამშობლო“-ს სპიკერი თამაზ ბიბილური**

## მ ი მ ა რ თ ვ ა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებს, საქართველოს ძველ და ახალ ხელისუფლებათა წარმომადგენლებს, უფლებათა დამცველებს, ჟურნალისტებს, პოლიტიკურ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, კეთილი ნების ყველა ადამიანს.

1989 წლის 4-9 აპრილის დღეები იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდის დასაწყისი, ხოლო 1990 წლის აგვისტო ეროვნული მოძრაობის **„მეორე ტალღა“**, როცა საბჭოთა რეჟიმის მკაცრ პირობებში ათეულ ათასობით მამულიშვილის ქუჩაში გამოსვლითა და დამოუკიდებლობის კატეგორიული მოთხოვნით ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მეორე გამარჯვებას მიაღწია, მშვიდობიანი და სამართლიანი ზეწოლის შედეგად, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო კანონი მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების შესახებ, რის საფუძველზეც საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული თავისუფალი არჩევნები.

1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრის ჩათვლით, საქართველოში მოხდა სახელმწიფო-კრიმინალური გადატრიალება და ძალადობის გზით მოსულსა და **„გაპრეზიდენტებულ“** შევარდნაძეს სამშობლოს თავისუფლებისა და კანონიერების დამცველთა რამდენიმე ათასი ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

1991-1993 წლებში, საქართველოში განხორციელებულმა შეიარაღებულმა გადატრიალებამ და კონსტიტუციური წყობილების დამხობამ, სათავე დაუდო დაუსრულებელ შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებებს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევას. მას შემდეგ მავნე ტრადიციად დამკვიდრდა ხელისუფლების ძალადობრივი ცვლა, რის გამოც მისი, ანუ ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხი დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

მოვითხოვთ, XX საუკუნის 90-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა უარი თქვან წარსულში არსებულ პოლიტიკურ დაპირისპირებათა გაგრძელებაზე და სახელმწიფოს გადასარჩენად მხარი დაუჭირონ ეროვნული მოძრაობის **„ახალი ტალღის“** დაწყებას. ეროვნულმა მოძრაობამ უნდა შეძლოს აღუდგინოს უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს იმ მიზნითაც, რომ მან (უზენაესმა საბჭომ) დანიშნოს და ჩაატაროს არჩევნები, რის შედეგადაც ლეგიტიმური ხელისუფლება დაუბრუნდებოდა ქვეყანას და აღადგენდა ნდობას პოლიტიკურ ძალთა შორის.

1990-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს, ვისაც ხელი არა აქვს გასვრილი თანამემამულეთა სისხლში, ვთხოვთ მობრძანდნენ 2012 წლის სექტემბრის თვეში, ყოველი კვირის ხუთშაბათ დღეს, 14-დან 15 საათამდე პარლამენტის შენობის წინ, **„9 აპრილის“** მემორიალთან და ეროვნული თანხმობისა და საყოველთაო შერიგების ნიშნად, ერთმანეთს გაუწოდონ მეგობრობის ხელი! შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ ახალი თაობის, მათ შორის ახალგაზრდებს, რომლებიც იზიარებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეხედულებებს.

პარლამენტის შენობასთან ერთად დგომით, პატივი მივაგოთ ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაპოვარს. აღვადგინოთ სამართლიანობა და ვიზრუნოთ ეროვნული გამთლიანებისათვის. ქვეყნის წინსვლას განაპირობებს მხოლოდ ლეგიტიმურობის აღდგენა.

კვლავ ვდგავართ გზაგასაყარზე: ერთ მხარეს არის ქრისტეს გზა, ილიასა და ზვიადის გზა, მეორე მხარეს კი ბარაბას გზა! აირჩიეთ ქართველებო!

მასმედიას ვთხოვთ გააშუქოს ეს მნიშვნელოვანი შეხვედრები.

**„9 აპრილის“ საზოგადოება,**
**ახალი ეროვნული მოძრაობა „სამშობლო“**
2012 წელი

# უბედურო საქართველოვ საით მიდიხარ!!!

## („ვარდების რევოლუცია“ და სახელმწიფო კანიბალიზმი)

2007 წლის 20 მაისი, გურამ შარაძის მშფოთვარე ცხოვრების უკანასკნელი დღე გამოდგა. მელიქიშვილის გამზირზე მიმავალი მეცნიერი, დღისით, მზისით ხალხის წინაშე ქუჩაში დახვრიტეს. ძიების შედეგად დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის განყოფილებას მკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე პატრულმა შეატყობინა: **„ნაპოვნია მოკლული გურამ შარაძე“**. ისიც გახდა ცნობილი, რომ მკვლელობის ადგილიდან გარკვეული მანძილის დაცილებით პატრულის 4 მანქანა იდგა და გ.შარაძის მოკვლას ელოდა. მკვლელობის მომენტიდან 3 წუთში ისინი ადგილზე მივიდნენ. თვითმხილველების მტკიცებით, სისხლში მცურავ გ. შარაძის ცხედარს პლედი მხოლოდ მას შემდეგ გადააფარეს, როცა მისი სიკვდილის ნამდვილობით თვით ვ. მერაბიშვილი დარწმუნდა. **აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გ.შარაძის ადვოკატი ნ. ნიშნიანიძე ხაზგასმით წერს: „თვითმხილველები ამბობენ რაც საკუთარი თვალით ნახეს, კერძოდ... როგორ მოვიდა მკვლელობის ადგილას მერაბიშვილი, ჩამოსწია ავტომანქანის შუშა და ნახა რა გურამ შარაძის სისხლში მცურავი სხეული, მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა ბატონი გურამის ცხედრისათვის პლედის გადაფარება.“ ამ ამაზრზენ და კანიბალურ ფაქტთან დაკავშირებით, ოთარ ქაროსანიძემ კიდევ უფრო შემზარავი მესიჯი გაუგზავნა გარდაცვლილ გ.შარაძეს: „ხომ ჩაგაძაღლეს, შე ფაშისტო!“ ჩვენი უბედურება იმაშია, რომ „ნაციონალების“ კანიბალ ხელისუფალთა მსახური, ქართული კულტურის დიდ მოამაგეს გ. შარაძეს ფაშისტს რომ ეძახდა, ვერ ხვდება, რომ, თვითონ, ჭეშმარიტი ფაშიზმისა და კანიბალიზმის სენით დაავადებული, გაურკვეველი ეროვნების მქონე ადამიანების მიერ შექმნილი პოლიტიკური ძალის მონას წარმოადგენს. ასეთი არაკაცები, ჩვენს გვერდით ამაყად დააბიჯებენ და მათ მიმართ არანაირ რეაგირებას არ ვაკეთებთ.** რაც შეეხება სასამართლო პროცესს და გ.ბარათელის მკვლელად გამოცხადებას, ადვოკატმა ნ.ნიშნიანიძემ ხელისუფლების მიერ უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი უწოდა. ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას; გ. შარაძის მკვლელობიდან რამდენიმე თვეში, საქართველოს ხელისუფლებამ ქართულ კულტურას, მეცნიერებას, მართლმადიდებლობას საფუძვლიანად შეუტია. ინტელიგენციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა **„ამოკნავლების“** ფორმით ხმა მხოლოდ მაშინ ამოიღო, როცა მათ ჩასარეცხად მ. სააკოვმა მყარი ფუნდამენტი შეამზადა. **უკვე ძალიან გვიანი იყო! ქართულ მეცნიერებასა და ინტელიგენციას მეომრული სულისკვეთების მქონე მოუსყიდველი ინტელექტუალური სარდალი აღარ ჰყავდა. მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთი წევრების მიერ კულუარებში გაუბედავი ფორმით წამოსროლილ საპროტესტო საყვედურს, ხელისუფლება ყურადღების ღირსადაც არ თვლიდა და დაჩქარებული ტემპით ქართველთა შიშის ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოქცევას ცდილობდა.**

ქვეყანაში შექმნილი განუკითხაობისა და უმძიმესი პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, 2007 წლის ნოემბრიდან ქართველი ხალხის **„გამოღვიძება“** და სახელისუფლებო კანიბალებად ჩამოყალიბებული ყოფილი **„კმარელებისადმი“** დაპირისპირება დაიწყო. საზოგადოების რისხვისა და უკმაყოფილების პროცესმა იმდენად მაღალ საფეხურს მიაღწია, რომ კაცთმოძულეობის იდეოლოგიის ერთ- ერთმა პროპაგანდისტმა გიგა ბოკერიამ, მანქანის **„რაზვალქმნილი“** ბორბლის მსგავსად მბრუნავი თვალებით აღქმული სინამდვილის ფონზე, მუქარით განაცხადა: **„ვინმეს ღმერთი არ გაუწყრეს და რაიმე ტიპის ძალადობრივი ქმედებისკენ ხელი არ წაუცდეს, თორემ სახელმწიფოს პასუხი უმკაცრესი იქნება.“** ძალადობრივი ქმედების მიუღებლობის საკითხი წინა პლანზე იმ ადამიანმა წამოსწია, რომელმაც მ. სააკაშვილთან, ვ. მერაბიშვილთან, ზ. ადეიშვილთან და სხვებთან ერთად, ქვეყანაში მოდერნიზებული ფორმის კანიბალიზმი და ფაშიზმი დაამკვიდრა. უდანაშაულო ადამიანების სისხლით თბილისის ქუჩების მორწყვა მაქვს მხედველობაში. იმავე საკითხთან დაკავშირებით **„ნაციონალების“** ერთ-ერთი უნიჭო და თუთიყუშის დონეზე დასული მოფაშისტო-კანიბალი დ. კირკიტაძე ნიშნის მოგებით იმუქრებოდა: **„სახელმწიფოში ცეცხლი არ ანთია და ვინც შეეცდება ამ ცეცხლის დანთებას და ნავთის დასხმას, ძალიან მკაცრ პასუხს მიიღებს. თავისი ყიჟინით, წკმუტუნით და კნავილით ვერ გააჩერებენ სახელმწიფოს მშენებლობას.“** ჯერ ერთი, საინტერესოა რომელ კონტინენტზეა ამათ მიერ აშენებული ქართული სახელმწიფო?! და მეორეც, გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლშევიკების დონეზე **„მოაზროვნე“** ამ ყოვლად უწიგნურ სატანას ელემენტარული განსჯის უნარი რომ ქონოდა, ქვეყანაში იმ უსამართლობის აალებულ ცეცხლს დაინახავდა, რომელმაც ათეულობით უდანაშაულო ახალგაზრდისა და ამდენივე საშუალო ასაკის ქართული ინტელიგენციის სიცოცხლე რომ ჩაფერფლა. უბედურება იმაშია, რომ **„კალიფორნიის სათბურებში“** გამოყვანილმა კლონებმა, რომლებიც მიზანმიმართულად ფაშიზმისა და კანიბალიზმის ცნობიერებით იქნა დაპროგრამებული, ქართველი ხალხის სამართლიანობისა და კონსტიტუციური უფლებების პრაქტიკაში დამკვიდრების მოთხოვნა საერთაშორისო საზოგადოებას გაუკუღმართებული ფორმით წარუდგინეს. გასული საუკუნისა და დღევანდელობის ისტორიის მცოდნე ადამიანისათვის ნათელია, რომ ნოემბრის მოვლენებთან მიმართებაში, **„ვარდოსანი“** კანიბალებისა და XX საუკუნის საბჭოური იდეოლოგების მხრიდან ოპოზიციისადმი მიდგომის ფორმები იდენტურია. 1936 წელს დაბეჭდილ წიგნში **„კაპიტალიზმის რესტავრატორები და მათი დამცველნი“** ვკითხულობთ: **„ღალატი, ვერაგობა, მკვლელობანი, კაპიტალიზმისკენ დაბრუნება, აი ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ბანდიტური ბრბოს ნამდვილი ფაშისტური პროგრამა... განადგურებული და გასრესილია საერთაშორისო ფაშიზმის მოწინავე რაზმი, რომელიც ცდილობდა... გამცემლური მუშაობა გაეჩაღებინა ჩვენს დიად, ბედნიერ, სასიხარულო ქვეყანაში... რომელიც ლენინ-სტალინის წინამძღოლობით ახალი... საზოგადოებისკენ მიდის.“** (გვ.103) ნოემბრის მოვლენებთან მიმართებაში **„ვარდოსანთა“** ხელისუფლების შეფასება ასეთი იყო: მესამე ქვეყნის წაქეზებით სახელმწიფო წყობის დამხობის მცდელობა, ოპოზიციის მიერ შეცდომაში შეყვანილი ხალხის ხულიგნური გამოხტომა, სამართალდამცველებზე ხელის აღმართვა და ა.შ. ქვეყნის **„სახალხო დამცველის“** მიერ შეგროვილი დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ხელისუფლებაში მოკალათებული მაღალჩინოსნების მიერ გაკეთებული ზემოაღნიშნული შეფასებები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. იგი საერთაშორისო ორგანიზაციების მისამართით იყო გადმოსროლილი და იდეოლოგიურად სატყუარ ბადეს წარმოადგენდა. მიზანი, მშვიდობიანი მომიტინგეებისადმი ანგარიშსწორების საფეხურის მომზადება იყო. **ხელისუფლება იმითაც სარგებლობდა, რომ ოპოზიციის ლიდერები გაუბედავად მოქმედებდნენ, პარლამენტის თავმჯდომარის – ნ. ბურჯანაძის მიერ გადმოსროლილ მოლაპარაკებების სატყუარა ანკესზე წამოგებულნი შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ. მომიტინგეთა წინაშე დასაკლავი ხარივით ღრიალებდნენ – „მიშა მოვდივარ!“ და უმოქმედობით, პოლიტიკურად ქუჩის ყვერული ოპოზიციის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. დროის გაყვანის ტაქტიკური ხერხი, ხელისუფლებამ ოპოზიციისა და მომიტინგეთა იდეოლოგიურად დასამუშავებლად – უცხო ქვეყნის მართულად გამოსაცხადებლად და საერთაშორისო არენაზე მისგან „მტრის ხატის“ შესაქმნელად გამოიყენა.** სამწუხაროდ, იდეოლოგიურ ფრონტზე (შინ და გარეთ) ოპოზიცია ხელისუფლებასთან საომრად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ამ ფონზე, ევროსაბჭოსა და აშშ-ის ზოგიერთი მაღალჩინოსნების წაქეზებით, ქართველთმოძულე მ. სააკაშვილს მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ შურისძიების **„მადა“** ისევ დაბრუნებოდა. უცხოელი **„მრჩევლების“** შეგონებით, ქართველთა სადამსჯელო ღონისძიება ისეთი ფორმით უნდა გატარებულიყო, რომ ხელისუფლებისადმი შიში და მონური მორჩილება ურჩი ქართველების შინაგანი ცნობიერებიდან ათეული წლების მანძილზე არ ამოშლილიყო. 2007 წლის 7 ნოემბერი საქართველოს მესამე რესპუბლიკის უახლესი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული ფურცელია. ეროვნული ღირსების დაბრუნების, ახალი არჩევნების დანიშვნისა და ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრების მოთხოვნით, ქუჩაში გამოსული ასიათასობით ადამიანის დასარბევად, ეროვნული მოძრაობის წამოსასხამში გახვეულმა გვარგადაკეთებულმა და გაურკვეველი წარმომავლობის ნაბიჭვრებმა, კანიბალიზმისა და ფაშიზმის უპრეცედენტო მეთოდები გამოიყენეს. 7 ნოემბერმა, მასშტაბურობითა და ადამიანთა დაუნდობლობით, 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებიც კი დაჩრდილა. მით უმეტეს, ორივე შემთხვევაში, საბჭოურმა ძალოვანმა სტრუქტურებმა, ქართველთა დასასჯელად უპატრონო სახლებში გაზრდილი და **კგბ**-ს ლაბორატორიებში ფსიქოლოგიურად დამუშავებული მკვლელები გამოიყვანა. ისინი ადამიანურობის თვალსაზრისით უფრო მაღალ დონეზე აღმოჩნდნენ, ვინემ უცხოელი სპეციალისტების მიერ გაწვრთნილი და ფსიქოლოგიურად დამუშავებული **„ქართული“** სპეცნაზი. ჩატარებული ძიებისა და კვლევითი სამუშაოების შედეგად დადგინდა: საქართველოს ხელისუფლებამ, რუსთაველის გამზირზე და რიყეზე მყოფი მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ იმ პერიოდის საკანონმდებლო აქტებით აკრძალული საშუალებები გამოიყენა: 1) ადამიანისთვის მომწამლავი გაზი, 2) მოწამლული წყლის ჭავლი, 3) აზერბაიჯანიდან უკანონოდ შესყიდული რეზინის ტყვიები, 4) აშშ-ის ხელისუფალთა ნებართვით, იმ მომენტში საქართველოში საექსპერიმენტოდ ჩამოტანილი ახალი ფსიქოტროპული აპარატი, რომელსაც 2000 ჰერცის სიმძლავრის აკუსტიკური გამოსხივება აქვს და ადამიანის ტვინზე უარყოფითად მოქმედებს. ეს **„აკუსტიკური ზარბაზანი“** აშშ-ის ხელისუფლებამ პირველად ერაყის მოთარეშე თალიბების წინააღმდეგ გამოიყენა, მისი მეორედ გამოცდა, სამართლიანობის დასამკვიდრებლად მებრძოლი ქართველი ერის დასაჩლუნგებლად 2007 წლის 7 ნოემბერს იქნა გამოყენებული. ამ ფაქტით დადასტურდა, რომ ამერიკის კონტინენტის 100 მილიონიანი ინდიელი აბორიგენი მოსახლეობის ამომწყვეტთა შთამომავლობის მიერ შექმნილი ქვეყნის ხელისუფლებისათვის, 3,5 მილიონიანი საქართველო **„საექსპერიმენტო საცდელ მეურნეობას“** წარმოადგენს, რომლის **„დირექტორად“** მ. სააკაშვილია დანიშნული.

ძალოვანი უწყებების მხრიდან არაადამიანურობისა და ველურობის დონეზე მოქცევის რეალურ სურათს, უმოწყალოდ ნაცემ და ასფალტზე დაყრილ სისხლში მცურავ დასახიჩრებულ მომიტინგეებთან სასწრაფოს ექიმთა არმიშვება, გაქცეული მომიტინგეების სადარბაზოებში დადევნება და **„დუბინკების“** ცემით **„სიკვდილის პირამდე“** მიყვანის ფაქტები წარმოადგენს. ამის შესახებ, საქართველოს **„სახალხო დამცველის“** ს. სუბარის მიერ მ. სააკაშვილისადმი ოფიციალურად გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: **„არანაკლებ დანაშაულია და რეზინის ტყვიებზე არანაკლებ მწარეა ის ცინიკური განმარტებები, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებმა შემოგვთავაზეს – კანონში რეზინის ტყვია არ წერია, მაგრამ იგულისხმებაო. ნდობა იკარგება... როცა უტიფრად ხდება შეცდომის ან დანაშაულის უეჭველ ჭეშმარიტებად შემოსაღება. ხელისუფლებაში არის გარკვეული გავლენიანი ჯგუფი, რომელსაც ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაჭრის გზად მხოლოდ ძალადობა და ძალის გამოყენება ესახება.“** რაც შეეხება ხალხის საპროტესტო გამოსვლის მიზეზს, სამთავრობო ტყუილის – **„ხელისუფლების გადატრიალების მცდელობის“** საპირისპიროდ, იმავე წერილში ხაზგასმითაა მითითებული, რომ 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო გამოსვლები **„შედეგი იყო მკვლელობებისა, ნგრევებისა, წართმევებისა, დაშინებისა და შემდეგ ტელევიზიით ყველაფერ ამის ცინიკური ღიმილით გამართლებისა. ცხოვრებისეული გამოცდილების არმქონე სახელმწიფო მოხელეები ლამის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტად გაამწარებდა ადამიანებს, ძალადობა და თვითნებობა თავის გამოჩენის ასპარეზი გახდა. ერთი ღვრიდა ღვინოს, მეორე ანგრევდა გარაჟებს და ლოჯებს, მესამე ართმევდა მიწას და სახლს, მეოთხე ხურავდა საწარმოს და ა.შ.... ეს ხდებოდა ვითომდა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა... ასეთ ვითარებაში სახელმწიფო მოხელეებს ხშირად ერევათ ერთმანეთში პირადი და სახელმწიფო ინტერესები... თუმცა ეს არა თუ შეცდომად, არამედ გმირობად მიიჩნეოდა. ჩინოვნიკები კარიერას იკეთებდნენ ადამიანის ცრემლსა და უბედურებაზე.“**

ეს ვრცელი ამონაწერი საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩადენილი კანიბალისტური ქმედებების მხილებას წარმოადგენს. იმის სანაცვლოდ, რომ სპეცნაზის მიერ მშვიდობიან მომიტინგეებთან მიმართებაში ჩადენილი დანაშაულის აღიარება მომხდარიყო, პირიქით, აქტიური სპეცნაზელები ექვსიათასდოლარიანი პრემიით დააჯილდოვეს. ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულის ფონზე, პარლამენტის თავმჯდომარემ ნ. ბურჯანაძემ, შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს ვ. მერაბიშვილს ქვეყნის გადამრჩენი უწოდა. ჩემს მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტები იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება და მისადმი დაქვემდებარებული ძალოვანი სტრუქტურები, ცნობილი ნიუ-იორკელი მაფიოზი მკვლელების – ლუის ბაჩელტერის და ალბერტო ანასტაზიას მიერ XX საუკუნის 30-იან წლებში შექმნილ **„მკვლელთა კორპორაციის“** მსგავს გაერთიანებად ჩამოყალიბდა, რომელსაც მ. სააკაშვილი, ვ. მერაბიშვილი, ზ. ადეიშვილი, ბ. და დ. ახალაიები მართავენ. ცნობილი ფაქტია, რომ აშშ-ში ამ ორგანიზაციას ყველა სახეობის მკვლელობებს უკვეთავდნენ. რაც შეეხება შემსრულებლებს, **მას „ბრუკლინელ ბიჭებს“** ანუ მკვლელებს ეძახდნენ. ასეთი **„ბრუკლინელი ბიჭები“,** უფრო სწორად ნაბიჭვრები (გურამ დონაძე, ოლეგ მელნიკოვი, ვასილ სანოძე, გ. ღვინიაშვილი, ირაკლი ფირცხალავა, გიორგი და ვიქტორ ხიზანიშვილები, ირაკლი ქადაგიძე, გიორგი ნაკანი, გიორგი ცააძე) შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის უწყებებში მრავლადაა თავმოყრილი.

ქართულ პოლიტიკურ სპექტრს **„მკვლელთა კორპორაციისა“** და **„ბრუკლინელი ბიჭებისგან“** ქვეყნის განთავისუფლების რეალური შანსი 2008 წლის 20 იანვარს მიეცა. მხედველობაში მაქვს გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნების ინაგურაციის გასაპროტესტებლად იპოდრომზე შეკრებილი 300 ათასი მომიტინგის ფაქტი. საუბედუროდ, ქართული ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი იმ მომენტში ერის ბელადობისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. გადეძლებულ მდგომარეობაში მყოფნი, საზოგადოებას ქუჩის პოლიტიკურად მეძავი ოპოზიციის ამპლუაში მოევლინა. ფულზე დახარბებულმა (ძმები გრეჩიხები), ხელისუფლებასთან ხალხის ზურგსუკან **„საბარიგო“** გარიგებები დაიწყეს, ერის ინტერესები ფეხებზე დაიკიდეს და XXI საუკუნის კანიბალთა ბატონობისაგან ქვეყნის განთავისუფლების, სამართლიანობის და ღირსების აღდგენის რეალური შანსი ხელიდან გაუშვეს. მათი უმოქმედობის შედეგს 2008 წლის აგვისტოს მოვლენები, დაკარგული ტერიტორიები, ბრძოლის ველზე უსარდლოდ დარჩენილი და მტრისგან უმოწყალოდ ჩახოცილი ახალგაზრდები წარმოადგენს. ისტორიას უმკაცრესი კანონები გააჩნია. არა თუ პოლიტიკოსს, არამედ ერსაც კი საბედისწერო მომენტში დაშვებულ შეცდომას არ აპატიებს. შეუწყნარებელ დანაშაულებრივ ქმედებებზე პასუხის არგების გამო, ჰაოსიანთა საამაყო შვილი **(იხ. WWW. planeta – armenia. do. am. Знаменитые АРМ: Диаспора: Арцах (НКР)** გვ.8.) კიდევ უფრო გათამამდა. მხედველობაში მაქვს კალიფორნიელი სომხების მიერ შეჭედილი უნაგირის ქართველი ერის კისერზე საფუძვლიანად ჩადგმისა და ერის ფსიქოლოგიურად მფორთხავ მდგომარეობაში დაყვანის მცდელობა. ამ მიზანს ემსახურებოდა და ემსახურება, ქართველთა წინააღმდეგ კანიბალიზმის გაუგონარი და ამაზრზენი მეთოდების გამოყენება. ამ მხრივ მიშა-ვანოს დუეტი შეუდარებელია. მაორის ტომის ბელადთა დონეზე მოაზროვნე ამ სახელმწიფო მოხელეებმა, 2011 წლის 26 მაისს გამთენიისას რუსთაველის გამზირზე და კინოთეატრ **„რუსთაველში“** თავშეფარებულ მომიტინგეებს ენით აუწერელი ამაზრზენი სადიზმით გაუსწორდნენ. მათი ფანტაზიის შედეგად შექმნილი ხალხისადმი ანგარიშსწორების ბარბაროსული მეთოდის ფორმები, შუა საუკუნეების ევროპელ ჯალათებსაც კი შეშურდებოდათ. პირდაპირ უნდა განვაცხადო: მ. სააკაშვილ-ვ. მერაბიშვილის მიერ ჩატარებული ზემოაღნიშნული ოპერაცია– **„რუსთაველის გამზირი“,** კანიბალიზმით შეზავებული **„დემოკრატიული შუქურის“** ბრწყინვალე დემონსტრირება იყო.

**გიორგი სუფსისპირელი**

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

# არნო ხიდირბეგიშვილი: „დოშუევი და დანარჩენები დახოცეს იმიტომ, რომ მათ ივანიშვილის მოკვლაზე უარი თქვეს?!“

ინტერვიუ **„საქინფორმის“**
მთავარ რედაქტორ
**არნო ხიდირბეგიშვილთან:**

**– ბატონო არნო, დღეს საქართველოში ორი მთავარი თემაა: არჩევნები და სპეცოპერაცია ლაფანყურში, რომლებზეც გვინდა, გესაუბროთ. ბოლოდან დავიწყოთ: თქვენი აზრით, რა მოხდა სინამდვილეში ლოპოტას ხეობაში?**

– ყველაფერი, რაც დღეს საქართველოში ხდება, ოდესღაც აქ უკვე ხდებოდა. გამოცანის გასაღებია ორი სიტყვა: **„ფეხსაცმელი“** და **„შოკოლადი“**. განვმარტავ:

შევარდნაძე, რუსეთის ჯიბრზე, ჯერ **„ელაქუცებოდა“** ჩეჩენ საველე მეთაურ რუსლან გილაევს, ხოლო როცა 2001 წელს სააკაშვილმა **„ქუსლებზე დაბიჯება“** დაუწყო, მან, ხელისუფლების შესანარჩუნებლად, აფხაზეთში გილაევის ლაშქრობის ინსცენირება მოაწყო და კოდორის ხეობაში რუსეთის სპეცრაზმს ჩააბარა ის. თუმცა, შევარდნაძემ დაჭრილი რუსლან გილაევი მაინც გადაარჩინა – ვერტმფრენი გაუგზავნა, და გილაევი მოგვიანებით – 2004 წელს, დაღესტანში ხელში შოკოლადი **„ალიონკათი“** დაიღუპა...

სააკაშვილი, რუსეთის ჯიბრზე, თავდაპირველად, ასევე, ელაქუცებოდა ჩრდილოკავკასიელებს – პანკისის ხეობაში შეიფარა, მათი ყოველგვარი ლეგალიზება მოახდინა, მისცა რა საქართველოს მოქალაქეობა, შექმნა მათთვის **„საელჩო“** ხიზრი ალდამოვის ხელმძღვანელობით და ტელეკომპანია **„პიკი“** **„ჟურნალისტ“** ოლეგ პანფილოვის (შემოკლ – **ЖОП**) ხელმძღვანელობით, მოაწყო სამსახურში შსს-ის ანტიტერორისტულ ცენტრში, აგრეთვე, ჩაატარა საქართველოში რიგი **„კონფერენციები“**, რომლებიც ჩეჩნების, ინგუშების, ჩერქეზების გენოციდის აღიარებით დამთავრდა. ხოლო როდესაც 2012 წელს ივანიშვილმა **„ქუსლებზე დაბიჯება“** დაუწყო, მან, ხელისუფლების შესანარჩუნებლად, დაღესტნიდან ბოევიკების გადმოსვლის ინსცენირება მოაწყო და ყველა მათგანი გაანადგურა. **„უცნაური“** იარაღის გარდა (ნაირ-ნაირი წარმოების, მსგავსი დანაყოფების მიერ მთებში არასდროს გამოყენებული – როგორც ოფიციალური სპეცჯგუფების, ისე ბანდფორმირებების მიერ, ერთი ნაკაწრის გარეშეც კი, და დაუკომპლექტებელი – ჭურვები გამშვები დანადგარების გარეშე, რაციები სამშენებლო სამუშაოთა მწარმოებლებისა და მეამწეებისთვის, დატენვის გარეშე, ერთ დღესაც რომ ვერ მუშაობს), მათ ქართული წარმოების შოკოლადი **„ბარამბო“** უპოვეს...

– რას მიაღწია ამით სააკაშვილმა?

– სააკაშვილს უნდოდა, **„როგორც უკეთესია“**, და გამოუვიდა, **„როგორც ყოველთვის“** – მან საპირისპირო შედეგი მიიღო.

ვერსია 1 (თითქმის ოფიციალური): სააკაშვილმა არჩევნების წინ **„ერთი გასროლით ორი კურდღლის მოკვლა“** მოინდომა:

ა) მთელ მსოფლიოს უჩვენოს, რომ **„ფეეს-ბე“** ტყუის და საქართველოში ბოევიკები არ არიან, ხოლო როცა გამოჩნდებიან – რუსეთის ტერიტორიიდან გადმოდიან, **„სადაც, საქართველოსაგან განსხვავებით – ბარდაგია!“**, და მათ სასტიკად უსწორდებიან;

ბ) მცირედი მლიქვნელობა პუტინთან: აქაოდა, დიდმა დემოკრატიზატორმა და რეფორმატორმა სააკაშვილმა **„დიდსულოვნად“** გაანადგურა შენი მტრები, რადგან ტერორიზმი, პირადი მტრობის მიუხედავად, ჩვენი საერთო მტერია!

ვერსია 2 (რეალური): პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩრდილოკავკასიური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებთან მოლაპარაკება მიმდინარეობდა ივანიშვილის ლიკვიდაციის თაობაზე, რაზეც მათ **„ხელი არ მოაწერეს“** – პოლიტიკური (ზაკაევმა დაურეკა ამჟამად მოკლულ თავის ყოფილ მცველს, დოშუევს, და აუკრძალა), ან ფინანსური (არასაკმარის ფულს და გარანტიებს სთავაზობდნენ), თუ წმინდა მამაკაცური მოსაზრებებით (ივანიშვილს ჩვენი მოძმე ქართველი ხალხი პატივს სცემს და მისი **„დაბრედვა“** არაკაცურია).

ამიტომ, ემანდ, რამე არ წამოსცდეთო, თავად მათი ლიკვიდაციის ბრძანება გაიცა, **„ნულოვანი ტოლერანტობის“** გამოვლინებით. გამოდის, რომ დოშუევი და დანარჩენები იმის გამო დახოცეს, რომ მათ ივანიშვილის მოკვლაზე უარი თქვეს?!

**– ვერსიების სიმრავლის მიუხედავად, ამაზე ჯერ არავის ულაპარაკია...**

– მე არაფერს ვამტკიცებ, ეს – ჩემი ვარაუდებია, სიმართლეს საგამოძიებო კომისია იტყვის, რომლის შესახებ 5 სექტემბერს ისაუბრა ახმედ ზაკაევმა ექსკლუზიურ ინტერვიუში, თანაც სწორედ – ივანიშვილის ტელეარხ **„TV 9“**-თვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ მის სიტყვებს: **„მე ვიცი, რომ ბატონი დოშუევი რუსეთში არ ყოფილა! ვიცი, რომ ბოლო ნახევარი წელი ის საქართველოში ცხოვრობდა! და ამიტომაც ჩემთვის სრულიად გაუგებარია – როგორ და რანაირად აღმოჩნდა ის ამ ჯგუფში... ჩვენ საკმარისი საშუალებები გვაქვს საქართველოს ტერიტორიაზე იმისთვის, რომ საკუთარი გამოძიება ჩავატაროთ“.**

საბოლოოდ, სააკაშვილმა, იმის მაგივრად, რომ საქართველოში ვინმე **„საეჭვო ჩრდილოკავკასიელების“** არყოფნა დაემტკიცებინა, მათი იქ ყოფნა დაამტკიცა, თანაც – საკმაოდ ხანგრძლივი.

**– შოკოლადთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგებია, ბატონო არნო, მეორე საკვანძო სიტყვაზე – „ფეხსაცმელზე“ რაღას გვეტყვით?**

– როდესაც ზურაბ ჟვანია მოკლეს, გეგმა ისეთივე იდიოტური იყო, როგორიც ახლა – მაშინაც ფეხსაცმელზე **„გაიყიდნენ“**: გარდაცვლილი პრემიერი **„კონსპირაციულ ბინაში“**... ფეხსაცმლის გარეშე აღმოაჩინეს!

დღეს პანკისში სახლიდან ფლოსტებით გამოდიან – მეგობრებთან ერთად ტყეში პიკნიკზე, შინ კი... ფეხსაცმლით ბრუნდებიან! მეგობრები კი ტყეში რჩებიან, დახოცილები...

დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები: ბიჭების მკვლელობა, რომელთა სახელები მათი ოჯახებისა და თანასოფლელების გარდა არავინ იცოდა, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას გაცილებით უფრო ძვირი დაუჯდება, ვიდრე პრემიერის მკვლელობა, რომლის სახელი მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი იყო!

**– არჩევნების თემაზე გადავიდეთ: თქვენი პროგნოზი.**

– იცით, რაზე ფიქრობენ დასავლეთის ლიდერები, როცა შუაღამისას ლოგინში ეღვიძებათ?! პრეზიდენტები, პრემიერები, გენმდივნები და პარლამენტარები?

**– ალბათ, სექსზე?**

– არა, სააკაშვილზე! **„რატომ არ მიდის?! რატომ არ უნდა, პატარა ქვეყნის ლეგიტიმურ პრეზიდენტს 9 წლის მმართველობის შემდეგ ხელისუფლება შემცვლელს კანონიერად გადასცეს?!“** ეს ვერაფრით გაუგიათ...

და იცით, რატომ? იმიტომ, რომ მთელი ამ 9 წლის განმავლობაში ბევრი ჩვენი დასავლეთელი **„მეგობარი“** ფანტასტიკურ ხელფასებს და კიდევ უფრო ფანტასტიკურ **„ატკატებს“** იღებდა იმისთვის, რომ საქართველოს სააკაშვილის თვალით უყურებდნენ! ახლა კი იმის აღიარება, რომ საქართველოში ისინი არა დემოკრატიის, არამედ დიქტატურის აშენებას უწყობდნენ ხელს, მათთვის საკუთარი სისულელის აღიარებას და პოლიტიკური კარიერის დასასრულს ნიშნავს: გამოდის, რომ მთელი ეს წლები დიქტატორს ეხმარებოდნენ... ამიტომ მათთვის დღეს საუკეთესო გამოსავალი – სააკაშვილის **„ხავერდოვანი“** წასვლაა.

**– ბატონო არნო, გახსოვთ, როდესაც 2003 წლის ნოემბერში, „ხავერდოვანი“ გადატრიალების დღეებში მიშა სააკაშვილმა რუსთაველის გამზირზე პარლამენტის წინ შეკრებილ ხალხზე მიუთითა და მიკროფონში ჩაჰყვირა: „რა სინდისით გვიყურებს შევარდნაძე კრწანისიდან?! იმ ხალხის მეათედს, რამდენიც აქ შეიკრიბა, ჩემთვის რომ ეთქვა – წადი, დაუფიქრებლად წავიდოდი!“? ყველაზე თამამი გამოთვლით, „ვარდების რევოლუციის“ დღეს იქ, მაქსიმუმ, 30 ათასამდე „რევოლუციონერი“ იყო, ახლა კი სააკაშვილის წინააღმდეგ – მთელი საქართველოა, მაქსიმუმ, 30 ათასი მისი ერთგული ლაქიის გამოკლებით...**

– რა თქმა უნდა, მახსოვს. რაც შეეხება არჩევნებს, ახლა აღარ გავიმეორებ კონკრეტულ ფაქტებს – როგორ **„გაბერეს“** გაყალბების **„მასტერებმა“** პარლამენტარიზმის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო **„ერთიანი საარჩევნო სია“**, რითაც მომავალი არჩევნები, პრაქტიკულად, უკვე გააყალბეს (ეს ფაქტები დაწვრილებით არის აღწერილი **„საქინფორმის“** პუბლიკაციებში **„ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიის წევრი – არჩევნების ფალსიფიკაციის მეთოდებზე“** და **„ოლიგარქის შეცდომა“**).

ამასთან, არ მსურს ტრაგიკული მოვლენების პროვოცირება, რომლებიც, ვშიშობ, შესაძლებელია მოხდეს... საქართველოში ხომ ყოველთვის მოიძებნებიან **„მასტერები“**, რომლებმაც მარჯვენა მოჰკვეთეს სვეტიცხოვლის ამშენებელ დიდოსტატ არსაკიძეს – რატომ კარგი აგიგიაო; რომლებმაც **„მარჯვენა მოჰკვეთეს“** ყოვლადწმიდა სამების ტაძრის ამშენებელ მილიარდერ ივანიშვილს (წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა ხომ მისთვის მარჯვენის მოკვეთის ტოლფასი იყო!);

**„მასტერები“**, რომლებიც ხოცავენ ან აძევებენ თავისივე პრემიერებსა და მილიარდერებს, რომლებსაც მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ხელისგულზე ატარებდნენ! და მხოლოდ საქართველოში არიან **„მასტერები“**, რომლებიც პატრიარქს უყვირიან და შეურაცხყოფენ მას...

# მკითხველის გამოხმაურება №186 „ილორში“ გამოქვეყნებულ წერილზე: „რას შეგპირდნენ „მეუფეო“ ასეთს, ნამუსზე ხელი რომ აგაღებინა?!.“

პატივცემულო რედაქცია!

ღრმად შეგვძრა გაზეთში ამ სათაურით გამოქვეყნებულმა წერილმა, რომლის ავტორები არიან ანტვერპენში მცხოვრები ქართველები – **ვასილ ხომერიკი, გივი შავიშვილი.**

მეც, ასეულ ათასობით ჩემს თანამემამულესთან ერთად, საზღვარგარეთ ვცხოვრობ და მრავალ ჩემს თანამემამულეთა მსგავსად მხოლოდ მედიის, მათ შორის გაზეთ **“ილორის”** საშუალებით ვეცნობი საქართველოში შექმნილ მძიმე სოციალურ, ეკონომიკურ და, რაც მთავარია, სამარცხვინო პოლიტიკურ მდგომარეობას, რომლის ავტორები გათავხედებული ნაციონალები და მათი თავგასული, დიქტატურის ბაცილაშეყრილი **“ბელადი” მიხეილ** სააკაშვილია.

ქვეყნის და ქართველი ერის გადასარჩენ არჩევნებამდე სულ უფრო მცირე დრო რჩება. როგორც, ამას წინათ **„ილორი“** იუწყებოდა – **ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები დავანგრევინოთ და შევალახინოთ იმ ანტიქართულ ძალებს, რომელსაც მიშა სააკაშვილი და მისი ე.წ. ნაციონალები ჰქვიათ.** ეს ის ძალაა, რომელიც გაცხადებულად ამბობს – **ჩვენ თუ არ ვიქნებით, ჩვენს შემდეგ ქვა უთოვიაო!**

სხვას რას უნდა ნიშნავდეს ე.წ. პრეზიდენტის განცხადება – **ეგღა მაკლია ჩემი აშენებული თქვენ ჩაგაბაროთო!**

ჩვენ არ ვიცით, არჩევნებამდე, კიდევ მოგვეცემა თუ არა **„ილორ“-ში** ჩვენი ნააზრევის გამოქვეყნების შესაძლებლობა და ამიტომ, თეზისების სახით მაინც გაგაცნობთ იმ საკითხებს, რომლებიც უსათუოდ უნდა გამოვიდეს მკითხველთა სამსჯავროზე.

–ის, რომ, თვალსა და ხელს შუა ყალბდება ჩვენი თანამედროვეობის ისტორია, უდიდესი დანაშაულია ქართველი ერის და მომავალი თაობების წინაშე.

–ის, რომ, ქვეყნის პრეზიდენტი, მიშა სააკაშვილის ყოველდღიური სამარცხვინო საქციელი მისი სულიერი ავადმყოფობის შედეგია, არ ანთავისუფლებს მას მომავალში პასუხისმგებლობისგან და მისი ბრალდებულის სკამზე ჯდომა რომ გარდაუვალია, კარგად უნდა ესმოდეს იურიდიულ, საფინანსო, ჯანდაცვისა და თავდაცვის საპარლამენტო კომისიებს და მათ თავმჯდომარეებს, რადგან, თუ ისინი, ერთი კაცის (თანაც ქვეყნის პრეზიდენტის!), ავადყოფნას და მავნებლობას ვერ ამჩნევენ, ქვეყანას და იქ მცხოვრებ ხუთ მილიონამდე ადამიანს როგორღა მოუვლიან?..

ამიტომაც მათაც უნდა აგონ პასუხი მომხდარზე!

წესად გვექცა, სიხარულის თუ გაჭირვების ჟამს ისევ წარსულს და წინაპრებს წავეპოტინებით. ვერც ჩვენ გავექეცით ამ ჩვევას და დიდი კონსტანტინეს, ლამის თეთრ ლექსად თქმული **„დიდოსტატის მარჯვენა“** დაგვიდგა თვალწინ:

– ერთადერთი, ვისაც, სიკვდილივით უფრთხოდა **„აფხაზთა რანთა და ქართველთა, მეფეთ-მეფე გიორგი“** – მელქისედექ კათალიკოსი იყო!

**„...ბასილი კეისარს ვებრძოდი ხმალდახმალ და ხვიარებისა მეშინოდა ტყეში!.. მხდალიც ვყოფილვარ და უშიშიც... მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატნია!.. თრიაქით მთვრალმა, დედიჩემის დისწული გირშელ მოვაკვლევინე!..“**

...და, ასე ტრაგიკულად სრულდება საქართველოსთვის თავდადებული, მაგრამ, ზოგჯერ თავნება მეფეთ-მეფის აღსარება, რომელსაც თავის ძუძუმტეს – პიპას უბარებს!

როგორც ვხედავთ, ისტორია მეორდება, ოღონდ – საქართველოს დღევანდელი **„მეფედქცეული“**, დღედაღამ **„თრიაქით მთვრალი“** მიშა შლეგიც **„ხმალდახმალ“** საკუთარ სამშობლოში, ქართველთა ჯიშსა და მოდგმას ებრძვის!..

მეფე გიორგისგან განსხვავებით, მას არც **„მელქისედექ კათალიკოსისა“** ეშინია და, არც სხვა რამ, ქართულ ზნეობას დაგიდევთ – ამ ბოლო დროს ისე გათავხედდა ეკლესია-მონასტერთა გუმბათებსაც გადაუარა და ის ადგილებიც შეგვიბილწა, მართალია, ქვეყნის ავჟამიანობისას ნანგრევებად ქცეული, მაგრამ, სულის სიღრმემდე საამაყოდ რომ მიგვაჩნდა!

ყველგან, ყველაფერს აქვს დასასრული, მაგრამ საქართველოში ეტყობა არა!

–ჯანდაბას, ამ შეურაცხადმა იზეიმოს და გახსნას – საროსკიპოები, გვირაბები, ბუჩქნარები, ჰომოსექსუალთა და ლესბოსელთა კაფე-ბარები!.. ყველაფერს ეშველება!.. ბოლოს და ბოლოს, რამდენი უნდა მოასწროს ამ სამიოდ კვირაში, მაგრამ ეკლესია-მონასტრებთან მაინც ნუ მიუშვებთ – მათ მომავალში ვერ დაანგრევთ და ახალს ვერ ავაშენებთ, ამ შეურაცხადისგან შებილწულს და შეურაცხყოფილს კი ვერაფერი გაწმინდავს!

**დავით შოთაძე,**
**გერმანია, კობლენცი**

# ლა-ზარე

ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი თავისებურ სასაუბრო ენას ფლობს. მე ამჯერად მაღალ განვითარებულ ცოცხალ ორგანიზმებზე – ცხოველებსა და ფრინველებზე შევჩერდები. ისინი ყველანი თავიანთ ენაზე ლაპარაკობენ, რომლის დროსაც იყენებენ თანხმოვან ბგერებს, თუმცა ხმარებაში აქვთ ასევე ხმოვნებიც, მაგრამ ერთი ან ორი, თუმცა არა ერთდროულად. მაგალითად ძაღლი ყეფის დროს ერთ ხმოვანს იყენებს, წკმუტუნის დროსაც სხვა ერთ ხმოვანს. ასეა ნებისმიერი ცხოველი თუ ფრინველი. ერთადერთია ადამიანი, რომელიც ხუთ ხმოვანს იყენებს ერთდროულად თანხმოვნებთან ერთად აზრის ჩამოყალიბებაში. ამის გარდა, მხოლოდ ადამიანს აქვს ღვთისგან ის ნიჭი, რომ ნებისმიერი მისი ნათქვამი ბგერისთვის მიესადაგებინა გრაფიკული ნიშანი – ასო. ასო-ბგერამ მიიღო სახელდება და ამ სახელდებულ ასო-ბგერებს ანბანი ეწოდათ. სწორედ ამ ასო-ნიშნებიდან პირველს ეწოდება **„ანი"** და აღინიშნება **„ა"** გრაფემით. იგი მოიაზრება საწყისად, საწყისი ყოვლისა კი ღმერთია – მე ვარ ანი – ამბობს უფალი. იგია ყოველივეს საწყისი უსასრულობაში. ღმერთი ხომ ყოვლისმომცველია, უსულოთა, სულდგმულთა, მათი კავშირისა და ურთიერთდამოკიდებულებებისა. პავლე მოციქული ბრძანებს – **„იგია საწყისი, ყველა მოკვდავზე უწინარეს დაბადებული, რათა ყველაფერში პირველობდეს."** (კოლ. 1.18)

ხილული სამყაროს შექმნა, უხილავი სამყაროს შექმნის, ე.წ. ნულოვანი დღის შემდეგ დაიწყო. ამიტომაც ხილულ სამყაროში პირველი ციფრი ერთიანია, ანუ **„იგია საწყისი" – „იქნება უფალი მეფედ მთელს ქვეყანაზე; იმ დღეს ერთი იქნება უფალი მისი სახელიც ერთი იქნება".**

ამ გაგებით, უფალ იესო ქრისტეს, რომელიც **„ყველაფერში პირველია",** ციფრობრივ ენაზე შეესაბამება **„ერთი"** – 1.

ქართულ ანბანში მეორე ადგილზე დგას ასო-ნიშანი **„ბ"**-(ბანი), რომელიც შეესაბამება ძე ღმრთისას(ძე მამაშია და მამაა ძეში). მამამ ძედ ქრისტე მოავლინა ადამიანებთან, რომელმაც კაცობრიობის ცოდვები თავის თავზე აიღო, ჯვარზე გაეკრა, ეწამა და ადამიანს დაუბარა: ჩემს მეორედ მოსვლამდე თუ არ მოინანიებ და არ გამოიყენებ შენთვის ნაბოძებ თავისუფლებას სიკეთისათვის, ყველაფერს აზღვევო. მაშ ასე, 2 – **„ბ"**-(ბანი). **„ბა"** ქართულში პირმშოს ნიშნავს (აქედან ბაია).

ქართული დამწერლობის მესამე ასო-ნიშანი **„გ"**-(განი), ეს არის სულიწმინდა, რომელზედაც ძე გვმოძღვრავს, რომ სულიწმინდას მასზე წინ თუ დავაყენებთ, ის არ განაწყენდება. მაშ ასე, 3 – „გ"-(განი).

როგორც ვთქვით, **„ა"** ყოვლის საწყისია, იგი არა მიწიერია, არააქაური. არააქაური, იმიერი კი **„ი"** ასო-ნიშნით გამოისახება ქართულ ენაში. ე.ი. ორი ასო-ნიშანი გვაქვს, რომლებიც აზრობრივად გამოსახავენ საწყისს იმიერიდან. ეს ყველაფერი იმიერიდან მოეწოდა იმ უმაღლეს სრულყოფილ სულდგმულს, რომელიც ადამიანობისთვის მოამზადა ღმერთმა და ერთმანეთთან კავშირისთვის მოუვლინა ასო-ნიშანი **„ე"**-(ენი). ჰოდა, ჰოი საოცრებავ, ამ სამი ხმოვნის ასო-ნიშანთა თანმიმდევრობით შერწყმა ერთმანეთთან, დედამიწის ყველა ხალხთა ენებთან შედარებით, აუზენაესებს ქართულ ენასა და მის დამწერლობას. თუ ამ ხმოვნებს ერთმანეთის მიყოლებით შეხორცებულად დავწერთ, მივიღებთ ასო-ნიშან **„უ"**-ს, რომელშიდაც უბრალო თვალითაც ჩანს ასო-ნიშანი **„ო"**(ონი) და საბოლოოდ ჩვენი დალოცვილი დედაენის გვირგვინი **„უ"**. ამ ასო-ნიშანში ღმერთმა მოგვცა ხუთივე ხმოვანი **„ა", „ი", „ე", „ო"** და თავისთავად **„უ"**. რაც მოგიყევი ძვირფასო მკითხველო, თუ გაგაგებინე, ვარ ბედნიერი. შენ ფლობ აზრს, შინაარსს **„უ"**-ს შესახებ. ე.ი. შენ **„უ"**ფალი! შეგეწიოთ უფლის მადლი.

ძვირფასო მკითხველო, ხმოვნების შესახებ აქ შევჩერდეთ. ჯერ განვიხილოთ ჩვენთვის სასაუბროდ საჭირო ასო-ნიშნები და შემდეგ განვაგრძოთ თხრობა ხმოვნებთან დაკავშირებით.

შესავალი, რომელიც გავაკეთე, გარკვეულწილად საყრდენი იქნება იმ თემის გასაგებად, რაზედაც უნდა ვისაუბროთ. მაშ, ვიწყებ:

ადამიანისთვის (მხედველობაში მაქვს მატერიალურის და იდეალურის შერწყმის უმაღლესი ფორმა) საწყისი მისი ბავშვობაა. ყველა ბავშვს კი გაუთავებლად შეუძლია ისმინოს ზღაპარი და ეს შემთხვევითი არ არის. ამით ბავშვში იღვიძებს და ხორცს ისხამს ის, რაც ღმერთმა მასში ჩააბუდა.

მინდა შეგახსენოთ, არაერთი ზღაპრის ერთ-ერთი პერსონაჟია ალი. მრავალი ზღაპარი და გადმოცემაა იმის შესახებ, რომ მონადირეს ალი აეკიდა, მგზავრი ალს გადაეყარა, მეთევზეს ალი დაესხა და რა ვიცი, რამდენი ამის მსგავსი.

და მაინც, რა არის **„ალი"**? ჩვენ რომ არაფერი ვთქვათ, რა ვუყოთ მუსულმანურ სამყაროს, სადაც სიტყვა **„ალი"** საუკეთესო აზრის მომცველ სიტყვათა შორის პირველობს?

ზღაპრები გადმოგვცემენ, რომ ალი მონადირეს დაეწია და დაუძახა, რაღაც მოიმოქმედა, გაქრა და გარკვეული დროის ან მანძილის გავლის შემდეგ კვლავ გამოეცხადა. პირადად, მეც მინახავს ჩემს სინამდვილეში ისეთი ადამიანები, რომლებიც ასეთ ამბებს საკუთარ თავგადასავლად დიდად სარწმუნოდ ჰყვებოდნენ, ანდა სანდო ადამიანების მიერ მონათხრობით მარწმუნებდნენ. ეს რომ მარტო მე მომესმინა და მხოლოდ ერთი ადამიანისგან, არ გამიკვირდებოდა, მაგრამ ამ ჩემგან უხილავში ბევრი **„ვიხილე"**. ბოლოსდაბოლოს, იმ პირველსაწყისსა და ჩვენს შორის რაღაც შემაერთებელი ხომ არსებობდა და ახლაც აგრძელებს არსებობას?!

ადამიანის შინაგანი სამყარო მრავალი **„ელემენტისგან"** შედგება. მათგან ძირითადი და ყოვლისმომცველია ცნობიერი და არაცნობიერი (ქვეცნობიერი, გულისთქმა). მიუხედავად იმისა, რომ არაცნობიერი არ არის ამოტანილი ფხიზელი განცდის დონეზე, მას უზარმაზარი როლი ენიჭება ადამიანის ყოფნის ასეთობისთვის და თუ ცნობიერი და არაცნობიერი ერთმანეთს ემთხვევა, ეს უკვე ჰარმონიაა.

არაერთი ეზოთერიკოსი მიუთითებს, რომ ქართულში **„ალი"** სულს გამოსახავს. მე ამ საკითხის შესახებ ჩემეული შეხედულება მაქვს და შევეცდები თეორემისეული მტკიცებით წარმოგიდგინოთ მისი ჭეშმარიტება.

არ არსებობს სარწმუნოება, რომელიც სულს არ ადიდებს. სწორედ ამის შედეგია, თუნდაც მუსულმანებში სახელ **„ალის"** განსაკუთრებული თაყვანისცემა. ჩვენ, ქრისტიანები და განსაკუთრებით მართლმადიდებლები, საოცარი მაგალითების მცოდნენი ვართ, როცა ადამიანი სულის ღმერთთან ყოფნისთვის, სულის განდიდებისთვის, წარმოუდგენელი წამებით ასრულებს სიცოცხლეს.

ისეთ რამეს მოგიყვებით, რომელიც, შეიძლება, ჩემზე კარგად იცოდეთ, მაგრამ მასზე ყურადღება არ გაგიმახვილებიათ. ბევრისთვის დამისვამს შეკითხვა, თუ რა ჰქვია ქართულში იმას, რაც ყოველთვის არსებობს და მისი მოსპობა არ შეიძლება. პასუხიც სხვადასხვაგვარი მიმიღია, მაგალითად: მარადიული, სამუდამო, უბერებელი და ა.შ. ვინ მოსთვლის კიდევ რა. როცა მე ყველას უარვყოფ, მერე თვითონ მეკითხებიან, აბა შენ გვითხარი, რა არის ასეთიო. ჰოდა, მეც ვეუბნები, ეს არის სიტყვა **„სულ-ი"**. ამის შესახებ ლექსიც მაქვს გამოქვეყნებული გაზეთში **„მეტი სინათლე"**:

**„რომ იყო და რომ არის და რომ იქნება, ქართველები ამბობენ რომ არის „სულ"-ო"**

ე.ი. სულ ნიშნავს მარადიულს – იგი მუდმივს გამოსახავს.

როცა ღმერთმა ადამიანის გაჩენა გადაწყვიტა თავის სახედ და ხატად, – მოზილა ქანი, მისცა ფორმა და მერე შთაბერა სული მისი. ღმერთი მარადიულია, მის მიერ მატერიალურში შთაბერილი სულიც მარადიულია. ადამიანი ქანისა და ღვთის ჩანაბერი სულის კომბინაციაა, ამიტომაც გვეუბნება: მიწა ხარ, მიწად იქეციო. ხოლო სული, რომელიც სხეულს გაეყარა, უკვდავია, შთამბერავთან ბრუნდება. იგი, ამიერშია თუ იმიერში, არის სულ – მუდმივად. სწორედ აქედან უნდა მომდინარეობდეს სიტყვა **„სული"** და როგორც ვთქვით, იგი უკვდავია.

არაერთ შვილმკვდარ ადამიანს (მათ შორის ბიზნესმენებიც იყვნენ) ველაპარაკე ამის შესახებ, რომ მისი შვილი, როგორც სული, უკვდავია და შესაძლოა, უფლის ნებით, ხელახლა დაიბადოს.

**„ნუ გაგიკვირდება, რომ გითხარი: თქვენ მაღლიდან ხელახლა უნდა იშვათ-მეთქი"** (იოანე, 3.7)

**„მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ჩემი მორწმუნე, რომ მოკვდეს კიდეც, გაცოცხლდება"** (იოანე, 11.26)

**ჩაგიდგამთ ჩემს სულს და გაცოცხლდებით; დაგსვამთ თქვენს მიწაზე და მიხვდებით, რომ მე, უფალმა ვთქვი მიძინებული გამოიღვიძებს, ზოგი საუკუნო სიცოცხლისთვის, ზოგი საუკუნო გმობისა და შერცხვენისათვის"** (დანიელი, 12.2)

რა თქმა უნდა გაოცებული მისმენდნენ და სიამოვნებდათ ამის გაგება, მაგრამ მეკითხებოდნენ: რატომ დამტანჯა ღმერთმა, თუ ასეაო. იმიტომ, ალბათ, რომ ცოდვა გაქვთ ჩადენილი, ან შენ, ან შენს წინაპარს და ამით ზღავთ-მეთქი. ეს კი აღარ სიამოვნებთ და თავის მსხვილი ბიზნესიდან გაჭირვებულთ, ანდა კეთილ საქმეს რაიმე რომ არგონ, თავს იკავებენ. თუმცა უფალი ამბობს: **„უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ჩემს სასუფეველში."**

ყოველ ქართულ ასო-ნიშანს თავისი სახელი, ნომერი, რიცხობრივი მნიშვნელობა და შინაარსი აქვს. ასო ნიშნებისგან შედგება ქართული ანბანი, რომლის ურთიერთწყობა წარმოადგენს ქართულ დამწერლობას, ქართულ ენას, რომელიც 4000 წლის წინ მოკვდა (სწორედ ამის დამტკიცებაა ჩემი მიზანი). იგი ჩვენთვის შეუცნობელი იყო, ახლა კი დაიწყო გაცოცხლება. **„ქება და დიდება ქართულისა ენისა"** გვამცნობს:

**„და ესე ენა,**
**შემკული და კურთხეული სახელითა უფლისა თა,**
**მდაბალი და დაწუნებული, -**
**მოელის დღესა მეორედ მოსვლასა უფლისასა,**
**და საწაულად ესე აქუს: ას-ოთხი წელი უმეტე ს სხვათა ენათა**
**ქრისტე ს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე."**

ჰო, დაიწყო ლაზარემ – ქართულმა ენამ – გაცოცხლება-აღდგინება. აღსრულდება იოანე ზოსიმეს მიერ **„გადმოჩხიბნილი"** წინასწარმეტყველება. ღვთის ნებით, ყველა ღმერთთანმყოფელს შეუძლია წვლილი შეიტანოს მის გაცოცხლებაში. სწორედ ასე ინება ღმერთმა, რაღაც მე ამომეცნო ამ საიდუმლოებიდან, გაიღო მისმა უზენაესობამ ჩემზე მისი კეთილი ნება, რამეთუ ყველას და ყველაფერს თავისი მისია აქვს (ვისაც რა მიეცა, იგივე მოეკითხება).

ჩემი მიზანია, ერთმანეთს დავუკავშირო: წმინდა სამება – ერთარსი, ქართული ენა, ქართულ ენაში ჩადებული საიდუმლოებანი, ლაზარე და იესოს ზოგიერთი წინათქმანი. ამ განაზრახის აღსრულება არ შემიძლია ქართული ანბანის გარეშე, ამიტომ საუბარს გავაგრძელებ მის შესახებ, რასაც ზემოთგანხილული ასო-ნიშნების შემდეგ პირველ ნომრად განვიხილავ. მისი სახელია – **„ლ"** (ლასი) და ნომერია 12. იგი უშუალოდ ყველაფერზე პასუხისმგებელია – ერთთან, ორთან და მათ ჯამთანაც 12=1+2=3 (როგორც ვთქვით 1, 2, 3 – ა, ბ, გ ასოთა ნომრებია). იგი ქართულში სულს გამოსახავს.

ყველას გაუგონია, დაუძლურებულ სხეულზე იტყვიან, ძლივს მილასლასებდა, ლასლასით მიდიოდა. ასე მხოლოდ სულზე იტყვიან და სხვა არაფერზე.

სხვათაშორის გიორგი ჩიტაიას ნარკვევში ვკითხულობთ: **„ქართლში როცა სათევზაოდ მიდიოდნენ, ლოცვით სულს სთხოვდნენ: ლასო, თევზი დაგვაჭერინე, ხელი მოგვიმართე და პირველ ნადავალს შენ შემოგწირავთ".** ეს მაგალითი ბატონ რამაზ პატარიძეს მის ხელით საგოგმანებელ წიგნში **„ქართული ასომთავრული"** აქვს შეტანილი. ასე რომ, თუ წინაპართა ფესვებზე ვართ აღმოცენებული, აქ სადავო არაფერი უნდა იყოს.

ზემოთ ჩვენ მივუთითეთ, რომ ასო-ნიშანი **„ლ"** (ლასი) ქართულში სულის გამომსახველია, რის სისწორეშიც გზადაგზა არაერთხელ დავრწმუნდებით. განვიხილოთ „ლ"-ს დამოკიდებულება და **„შემოქმედება"** ქართული ხმოვნების მიმართ.

ასევე, უკვე ვისაუბრეთ **„ალის"** შესახებ, თუ როგორ ეცხადება იგი ადამიანს და როგორ უჩინარდება შემდეგ. ე.ი. მას შეუძლია იყოს ამიერშიც და იმიერშიც, ანუ ხილულშიც და უხილავშიც. თურმე ეს არის ის, რომელიც მიდის და მოდის ხან სხეულით, ხან სხეულის გარეშე. თანამედროვე ტექნიკაც და აზროვნებაც კი, უძლურია მის ყოვლისშემძლეობასთან.

ქართულმა ენამ და არა მარტო ქართულმა, იცის სულის სიცოცხლე და ამიტომაა ხშირად ადამიანებს სულადობით ითვლიან – ხუთი სული სტუმარი, ათ სულზე სუფრა და ა.შ.

თუ სული წმინდაა და უბიწო, მაშინ სხეული, რომელშიც ეს სულია ჩასახლებული, კეთილია, სინდისიანი. ამიტომაა ქართულში სული და სინდისი გაიგივებული. სხეული, თავისთავად, ნივთიერია, ხრწნადი და ბილწი, მას მხოლოდ სული მართავს. როცა ადამიანი ზედმეტ სიმკაცრეს იჩენს, დაუნდობელია და სხვისი ტკივილის არაფერი გაეგება, ამბობენ, უსულგულოაო.

**„უფალო ღმერთო მაცხოვარო ჩუენო, შემოქმედო და დამბადებელო ყოველთა არსთაო, რომელმა მიუწვდომელითა მოწყალებითა შენითა შეჰქმენ კაცი, განსასრულებლად ყოვლისა ქმნილებისა შენისა, და დაადგინე იგი მეუფედ და მცველად გამგებლად მისა, სახედ მეუფებისა შენისა;"** – ვკითხულობთ **„მამის ლოცვაში"**. ე.ი ღმერთმა ადამიანში ჩადო ღმერთის მიერ შექმნილი ყოველი არსი.

თუ კვერცხი ჯანსაღია, მზადაა სულის **„მისაღებად"** მასში ჩასაბუდებელი სული მოიხსენიება **„ლა"**-დ. **„ლა"** სულია, რომელიც მოდის მატერიაში (ნივთიერში, მყარში) ჩასაბუდებლად. მე საუბარს განვაგრძობ ადამიანთან დაკავშირებით, რამეთუ ღმერთმა იგი თავის სახედ და ხატად შექმნა. როგორც კი მდედრში (სადედოში) საკუთარი სულის გარდა სხვა სული დაიბუდებს, მას ორ საჭურჭლე მიწას, ორკეცს, ანუ ორსულს ეძახიან (სულხან-საბა). სხეულში ჩაბუდებული სულის სახელია – **„ლე"** (და ამბობენ ლეშიაო, ე.ი **„ლე"**-ში(ნ)). **„ლე"** სხეულში გარდაცვალებამდე რჩება. გარდაცვალებისას სული ეცლება მატერიას (ხრწნადს, ნივთიერს) და გადის **„ლი"** მდგომარეობაში, ე.ი. ესაა სული, რომელიც თავისუფალია ხრწნადისგან, იგი უკვე იმიერშია. (სხვათაშორის, **„ინი"**, თითქმის ყველა ენაზე არააქაურს, უცხოს ნიშნავს). ამიტომაცაა ქართველი რომ მშობელი ხდება, ეუბნებიან – შვი-**„ლი"**-ს შეძენა მომილოციაო. მან ხომ **„ლი"** შვა, **„შვილი"** – სული დაბადებულია სხეულში.

**ჯემალ ჯიქია**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

## ზაზა ფაჩულია: ბოსნიასთან თამაშის იმედი ჯერ კიდევ მაქვს




რუმინეთთან მატჩის შემდეგ იქაურმა ჟურნალისტებმა ზაზა ფაჩულიას კომენტარი გამოაქვეყნეს, რომელშიც საქართველოს ნაკრების კაპიტანი ამბობდა: მცირე ტრავმა მქონდა და მოედანზე გასვლა აღარ გავრისკეთო.

დაახლოებით ასეთივე სიტუაცია იყო პირველ წრეში – ფაჩულიამ რუმინეთთან ვერ ითამაშა, ხოლო სამ დღეში ბოსნიურ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა.

4 სექტემბერს ვარჯიშზეც იმ იმედით შევედით, რომ კაპიტანი მწყობრში დაგვხვდებოდა, მაგრამ იგი მოედნის გვერდით იდგა და დანარჩენების ვარჯიშს ადევნებდა თვალს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით დავინტერესდით. როგორც აღმოჩნდა, მას კვლავ მუხლზემოთა კუნთი აქვს დაჭიმული და სიარულშიც ხელს უშლის.

– ბოსნიასთან მოედანზე გასვლის იმედი ჯერ კიდევ მაქვს, თუმცა მატჩი ახლა რომ ტარდებოდეს, ნამდვილად ვერ ვითამაშებდი. ბოსნიას 5 სექტემბერს, 19 საათზე დავუპირისპირდებით. მანამდე დრო არის, დილას ვარჯიშიც გვაქვს და კიდევ შევხედავ. დილას თუ არა, იქნებ საღამომდე მაინც დამიცხრეს.

– ბოლო მატჩი რუმინეთში გქონდათ, რომელსაც ტრიბუნებიდან მიადევნე თვალი. რა შეიძლება ითქვას განვლილ შეხვედრაზე?

– მეტოქემ თბილისში უკეთესად ითამაშა, ვიდრე სიბიუში. სეზონის დაწყებამდეც აღვნიშნე, რომ ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი ყველას ჰქონდა, თუმცა მას მერე ჩვენ და რუმინეთი სხვადასხვა პოზიციაში აღმოვჩნდით.

საქართველოს ნაკრები სატურნირო ცხრილის სათავეშია, რუმინეთს ერთი მოგება აქვს. ასე რომ, სიბიუში ჯგუფის ლიდერების სტატუსით ჩავედით და გავამართლეთ კიდეც.

– ბოსნიის ნაკრების პლუსებზეც ვთქვათ...

– ჩვენს მეტოქეს ორი უმაღლესი დონის კალათბურთელი ჰყავს – მირზა ტელეტოვიჩი და ნიჰად დედოვიჩი.

მათზე ბევრი რამაა დამოკიდებული, თუმცა ყველა დანარჩენ კალათბურთელსაც დიდი ყურადღება სჭირდება. მოდუნება არ შეიძლება.

– ბოსნიას მაღალი ცენტრები ჰყავს, თუმცა პირველ მატჩში ბევრი ვერაფერი დაგვაკლეს...

– სხვადასხვა შეხვედრას სხვადასხვაგვარი მიდგომა სჭირდება. ზოგი მეტოქე მსროლელია, ზოგი ფარქვეშიდან ცდილობს უპირატესობის მოპოვებას. სწორედ ამიტომ მწვრთნელი ყველა მატჩს ინდივიდუალურად უდგება და სხვადასხვა ტაქტიკაზე გვამუშავებს. ბოსნიურმა თამაშმა ჩაიარა. ახლა თბილისური შეხვედრაა, რისთვისაც ჩვენი გუნდი სათანადოდაა მზად.

## ალექსანდრე ჩივაძე: ახალგაზრდული ნაკრები სწორი გზით მიდის

21-წლამდელთა შორის ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველო-ესტონეთის მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გუნდების მთავარი მწვრთნელები წარსდგნენ.

**ფრანკ ბერნდჰარტი:**

„გაწბილებული ვარ, არაერთი კარგი შანსი ვერ გამოვიყენეთ. არ გაგვიმართლა".

**ალექსანდრე ჩივაძე:**

„მინდა ბიჭებს გამარჯვება მივულოცო. ბოლო ოთხი მატჩი სხვადასხვა შემადგენლობით ვითამაშეთ, სამი მოვიგეთ და ერთი ფრედ დავასრულეთ.

ესტონეთს 9 ფეხბურთელი ჰყავდა 1990 წელს დაბადებული, ჩვენი ფეხბურთელების უმეტესობა კი 2-3 წლით უმცროსი გახლდათ. ახალგაზრდულ ასაკში ასეთი სხვაობა ბევრს ნიშნავს. ჩვენი ექვსი ფეხბურთელი 19-წლამდელთა ნაკრების წევრია – ასე იყო დღეს.

მომდევნო შესარჩევისთვის ვემზადებით და ვფიქრობ, სწორი გეზი გვაქვს აღებული.

ამ შეხვედრაში ხარვეზები გვქონდა, თუმცა ფეხბურთელებმა ჟინიანად ითამაშეს და მათი მადლობელი ვარ.

თუ 17 და 19-წლამდელთა ნაკრებს აქვს იმის საშუალება, რომ ჰქონდეს გრძელვადიანი შეკრებები და ითამაშოს სხვადასხვა ტურნირში, ახალგაზრდული ნაკრები ამას მოკლებულია, ფაქტობრივად, ორი დღე გვაქვს ხოლმე გუნდის მოსამზადებლად კონკრეტული მატჩისთვის.

კიდევ ბევრი ფეხბურთელის გამოცდას ვაპირებთ. თამაშის წინა დღეს ვარჯიშზე დაშავდა ჯაბა ჯიღაური, ძალამიძე კი უკვე ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული".

## თბილისის „დინამო" IFFHS-ის საკლუბო რეიტინგში ვეღარ მოხვდა

სამწუხაროდ, ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის (IFFHშ) მორიგ საკლუბო რეიტინგში მხოლოდ სამი ქართული კლუბია შეყვანილი.

400 კლუბისგან შემდგარ ამ ავტორიტეტულ რეიტინგში ვეღარ მოხვდა თბილისის „დინამო", რომელიც ცოტა ხნის წინ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელთა შორის საუკეთესო პოზიციაზე იმყოფებოდა, მაგრამ ევროთასებზე ვერმოხვედრამ თბილისელთა გუნდი საგრძნობლად უკან დახია.

დღეისთვის ქართული კლუბებიდან ყველაზე მაღლა, 205-ე ადგილზე ევროპის ლიგის პლეიოფამდე მისული „დილაა", რომელიც წინა თვეში 251-ე საფეხურს იკავებდა.

„ზესტაფონი" 224-ედან 286-ე ადგილამდე დაქვეითდა, რუსთავის „მეტალურგი" კი 241-ედან 247-ე პოზიციამდე დაეშვა.

რეიტინგის საუკეთესო სამეული უცვლელია, საუკეთესო ათეული კი ასე გამოიყურება:

1. ბარსელონა (ესპანეთი)
2. უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე)
3. რეალი (ესპანეთი)
4. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)
5. ჩელსი (ინგლისი)
6. ატლეტიკო (ესპანეთი)
7. ბილბაო (ესპანეთი)
8. ბაიერნი (გერმანია)
9. ლიბერტადი (პარაგვაი)
10. კორინთიანსი (ბრაზილია)

## იუმორი

თუ გასუქების გეშინიათ ჭამის წინ 100 გრამი კონიაკი დალიეთ

– შიშის გრძნობა გაგიქრებათ.

* * *

– ზოია მე შენთვის პირველი მამაკაცი ვარ?

– აპა რა, ბიჭო! მეც არ ვიფიქრე აგი კაცი რაცხა მეცნობა-თქვა?!

* * *

– შენი სიდედრი დავინახე ავტომატით.

– კი, დეინახავდი. მე ვათხოვე...

– ომში მიდიოდა?

– არა, ბაზარში.

* * *

– სკლეროზი რა არის ჯიმ? - ეკითხება ერთი მოხუცი მეორეს.

– რა მკითხე?

– როდის?

* * *

– გათხოვებას რომ აპირებ, ბორშჩის გაკეთება მაინც თუ იცი? – ეკითხება დედა ქალიშვილს.

– ვიცი, აბა არ ვიცი?!

– აბა, რა არის საჭირო ბორშჩისათვის?

– მშიერი ქმარი.

* * *

თუ გასუქების გეშინიათ ჭამის წინ

50 გრამი კონიაკი დალიეთ - შიშის გრძნობა გაგიქრებათ.

## იმიტირებული ტაში – „ნაცმოძრაობის" ნოუ-ჰაუ

**რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტი სააკაშვილი თერჯოლის რაიონის სოფელ ახალთერჯოლის მოსახლეობას შეხვდა „ნაცმოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ კახა ბუცხრიკიძესთან ერთად.**

**– რა მოხდა თერჯოლაში?**

**– ამის თაობაზე კოალიცია „ქართული ოცნების" წარმომადგენელი გია ცაგარეიშვილი გვესაუბრება:**

**– თერჯოლაში ჩატარებულ ამ შეხვედრას ადგილობრივების გარდა, ქუთაისიდან და ზესტაფონიდან ავტობუსებით ჩამოყვანილი ადამიანებიც ესწრებოდნენ, ძირითადად, გამგეობებისა და ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები, თუმცა, 400 კაცზე მეტი არ შეიკრიბა. ეს მიტინგი გამორჩეული იყო იმითაც, რომ მასზე ნაცმოძრაობამ „ორიგინალური" ნოუ-ჰაუ წარმოგვიდგინა: დააყენეს საგანგებოდ ჩამოტანილი ხმის გამაძლიერებლები, რომელიც ტაშის იმიტაციას ახდენდა – მქუხარე აპლოდისმენტები წინასწარ იყო ჩაწერილი... მიტინგის მსვლელობისას არაერთხელ შეიქმნა კურიოზული სიტუაცია იმის გამო, რომ ჩაწერილი ტაში ზოგჯერ „ნამდვილ ტაშს" არ ემთხვეოდა, ზოგჯერ კი ისე ხმამაღლა ისმოდა, სააკაშვილის ხმასაც ფარავდა, რაც ცხადია, დამსწრე საზოგადოების ღიმილს იწვევდა. საქმე ის არის, რომ გავრცელებული ინფორმაციით, ქვეყნის პირველი პირი უკმაყოფილოა „ნაცმოძრაობის" შეკრებებზე მისული ხალხის სიმცირით და, შესაბამისად, აპლოდისმენტებით, ეს ახალი პიარილეთიც ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად დასჭირდათ!**



ნ. კვიტაშვილი

## გენადი ონიშენკო: „ქართული ღვინის აკრძალვამ საქართველოში მეღვინეობა გადაარჩინა"

რუსულ ბაზარზე ფალსიფიცირებული ქართული ალკოჰოლური სასმელის აკრძალვამ საქართველოში მეღვინეობის ჭეშმარიტად უძველესი კულტურა საბოლოოდ გაქრობას გადაარჩინა. ამის შესახებ რუსეთის მთავარმა სანიტარმა, ბატონმა გენადი ონიშენკომ განაცხადა:

**„დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ მე კახეთის მეღვინეობის კულტურის ერთ-ერთი დამსახურებული მოღვაწე ვარ. მე ქართველებს მეღვინეობის უძველესი კულტურა შევუნარჩუნე, რომელიც ძირითადად საქართველოს მხოლოდ ამ რეგიონისთვის არის დამახასიათებელი. ყველა ბოთლი ფალსიფიცირებული ნარეცხით იყო სავსე, რომელიც ქართულ ღვინოდ საღდებოდა",** – აღნიშნა მთავარმა სანიტარმა რადიო **„ეხო მოსკვის"** ეთერში.

გენადი ონიშენკომ განაცხადა, რომ როდესაც რუსეთმა ქართულ ღვინოზე ემბარგო დააწესა, ამ პროდუქციის ისეთი ცნობილი ნიმუშები, როგორიცაა **"ქინძმარაული"** და **"ხვანჩკარა"**, რუსეთის თითქმის ყველა სოფლის მაღაზიაში იყიდებოდა. მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის ეპოქაში ამ მაღალხარისხიანი ღვინოების ყიდვა მხოლოდ მოსკოვის, ლენინგრადისა და ქვეყნის სხვა დიდი ქალაქების ელიტურ მაღაზიებში იყო შესაძლებელი.

**„მიმდინარეობდა საბჭოთა ბრენდების ექსპლუატაცია, რომლებიც პრესტიჟულად მიიჩნეოდა. ამ ყველაფერში ჩვენი რუსული ბიზნესი იყო დამნაშავე. ბიზნესში მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც არ იცავდნენ ტრადიციებს. რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის აკრძალვა ამპუტაცია იყო, საჭირო იყო იმ სალაფავის ორი მესამედის თავიდან მოშორება, რომელიც ჩვენს ბიზნესში არსებობდა",** – განაცხადა გენადი ონიშენკომ.

2006 წელს რუსეთმა საქართველოდან მინერალური წყლისა და ღვინის იმპორტი აკრძალა.

ISSN 1987-8966 „ილორი"

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ „ილორის" გაცნობა შეგიძლიათ „საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge